# საერთო გაზეთი

№11 (195) • 3-6.III, 2012 წელი • გამოდის ოთხშაბათს და შაბათს • www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com • ფასი 1 ლარი


## ჯონდი ბაღათურია:

## 28 Tebervals miSa, rogorc prezidenti da politikosi, damTavrda!



ფაქტია, რომ სააკაშვილი გაიქცა დარბაზიდან... როგორც „ბაში-აჩუკშია“ — ახლა გინდა შეიტანონ, გინდა გამოიტანონ, ეს თავიანთი „გაგორებული ფალავანი“.

## მიხეილ სააკაშვილი:



## `putins patiosani Tvalebi aqvs... me mas vende da arc Sevmcdarvar, man gaakeTa yvelaferi, rasac dampirda!~

## თემურ შაშიაშვილი:



## Tu daakvirdiT vin wamoxta `gaiSniki~ cagareiSvilisgan prezidentis dasacavad? _ univermaRis direqtori eldari!

## რეზო ამაშუკელი:



„როსტომ-ხანიც გჯობს,
გარყვნილო, —
— ძუკნა ხარ, არა ხვადიო!..
როდემდე უნდა აყვირო
ეს ხალხი — წადი, წადიო?!

სახეზეც გამოგეყარა
ყველა ნაკლი და ზადიო,
პირში გაფურთხებს ქვეყანა: —
გადაეთრიე, წადიო!



მეც წავალ,
აღარ დავუცდი,
სავსე ქუჩებს და
სტადიონს...
სამ მარცვალს მაინც
დავტოვებ —
ლალს,
მარგალიტს და
სარდიონს!“

## talaxis `abazanebi~ saqarTvelosTvis

## სოსო ჯაჭველიანი:



„ერთი სიტყვით, მიშა ნებივრობს ფეშენებელურ სასტუმროში, წამოწოლილია, გადაფარებული აქვს თავზე საბანი და არის ერთ კრუსუნში და ჭინთვაში. ცალ ხელში ტელეფონი უკავია და საზღვარგარეთ ელაპარაკება „კოლმეურნეობის თავმჯდომარის დას“. საქართველომ კარგად იცის, ვისაც შეიძლება ელაპარაკებოდეს. იმ ქალს ეუბნება: ოხ, შენი თავი ახლა აქ გამიგორა და მთელი საქართველო და ქართული პოლიტიკა, აი, აქ მკიდიაო და ხელს იკიდებს იმ ადგილას.



ამ კაცს მაშინაც და ახლაც საქართველო და ქართული პოლიტიკა ჰკიდია „იქ“.




**27 თებერვალს მედიაჯგუფი „აჭარა P.S.“-ის პრესკლუბიდან აჭარის მუსლიმანური მრევლის წარმომადგენლებმა, ბათუმში აზიზიეს სახელობის მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგ გაავრცელეს მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი, სადაც ისინი კატეგორიულად დაუშვებლად მიიჩნევენ რეგიონში მსგავსი რელიგიური ნაგებობის მშენებლობას.**



# saqarTvelos prezidents baton mixeil saakaSvils

**ბატონო მიხეილ,**

საქართველოს და თურქეთის კულტურის სამინისტროებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებმა ისტორიულ კულტურულ ძეგლთა აღდგენის თაობაზე ჩვენს მოსახლეობაში ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია. ხელისუფლების წარმომადგენელთა და მათი გავლენის ქვეშ მყოფი ტელეარხების მიერ რელიგიური საკითხებით მანიპულირება დღითიდღე ართულებს დამოკიდებულებას ქრისტიან და მუსლიმან ძმებს შორის, რაც ჩვენთან,ნ დღემდე საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში არასდროს ყოფილა. აასეთი მიდგომა ამ საკითხისადმი გახდა საბაბი პროვოკაციების მცდელობისა, რაც საფრთხეს უქმნის ჩვენს რეგიონს და მდგომარეობის დესტაბილიზაციით ემუქრება.

რეალური საფრთხის არსებობაზე მიუთითებს ჩვენი კუთხის ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიერ არაერთხელ გამოცხადებული განგაში და ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიება, რომლის წინაშეც ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი, ვისაც აწუხებს ჩვენი ერის ღირსეული მომავალი, შეუძლებელია დარჩეს გულგრილი. საზოგადოებრივი ორგანიზაციების „აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის,“ „ქართული აკადემიის,“ „ემსახურე საქართველოს“ და „სახალხო კრების“ მიერ ჩატარდა ერთობლივი ბრიფინგი... 8 თებერვალს „აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის“ თავმჯდომარემ, მწერალმა და ფილოსოფოსმა ნიაზ ბოლქვაძემ თავის მიმართვაში თანამემამულეებისადმი მასმედიით (გამოიცა ბროშურის სახით) წარმოადგინა საფუძვლიანი ანალიზი შექმნილი ურთულესი მდგომარეობისა, ასევე მისგან გამოსავალი გზებისა და მოუწოდა მოსახლეობას არ წამოეგონ წინასწარ განზრახულ პროვოკაციებს... ცნობილმა ქართველმა პოეტმა, პროფესორმა, „ქართული აკადემიის“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა შოთა ზოიძემ დედაქალაქის ინტელიგენციას ცენტრალური პრესით შეახსენა მოსალოდენელი საფრთხე და შველა ითხოვა მოხედონ აჭარას...

ბატონო პრეზიდენტო, ზემოთ აღნიშნული საკითხები თქვენთვის კარგადაა ცნობილი, ამიტომ სანამ მოკლედ მოგახსენებთ ჩვენს სათქმელს, შეგახსენებთ: დღევანდელი თურქეთის სახელმწიფოში არსებული ქართული ისტორიული კულტურის ძეგლები, რომელთა აღდგენაზეცაა ლაპარაკი, ჩვენს ისტორიულ სამშობლოში მდებარეობს, რომელიც თავის დროზე ოსმალთა იმპერიამ მიიტაცა. დღეს თურქეთის სახელმწიფო, ოსმალთა იმპერიის მემკვიდრე, როგორც საქართველოს მეზობელი და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა, რომელიც თქვენი წყალობით, აჭარაში ჩვენი ადგილობრივი მოსახლეობისაგან განსხვავებით განუზომელი უფლებებით სარგებლობს, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე ჩვენთან ერთად უნდა ზრუნავდეს მათ სახელმწიფოში ქართული ისტორიული ძეგლების გადარჩენაზე და არ ითხოვდეს მის სანაცვლოდ, ფაქტობრივად, ახალი საკულტო ნაგებობის აგებას.

ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლნი ქ. ბათუმში თურქეთის სახელმწიფოს მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ამაოხრებელის სულთან აზიზის სახელობის მეჩეთის მშენებლობის აუცილებლობას ამართლებენ თითქოსდა ჩვენი, აჭარის მუსლიმანი მოსახლეობის ინტერესების დაცვის დემონსტრირებით, რომ ისინი თითქოსდა იცავენ აჭარაში ადგილობრვ მუსლიმან ქართველთა დემოკრატიულ უფლებებს შევიწროვებისაგან, რაც არ შეესაბამება სიმართლეს და სრულიად უსაფუძვლოა. ასეთი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი რელიგიით აშკარა სპეკულირებად და ქრისტიან და მუსლიმან ძმებს შორის შუღლის ჩამოსაგდებად, პროვოკაციის მცდელობად უნდა შეფასდეს, რაც კიდევ ერთხელ ვამბობთ, ღვთის წყალობით და ჩვენი წინა თაობების გონიერებითყარასდროს ყოფილა და არც ჩვენ დავუშვებთ.

აქედან გამომდინარე, ღვთისა და ერის წინაშე უპირველეს მორალურ პასუხისმგებლობად მიგვაჩნია, როგორც ადგილობრივ ძირძველ მკვიდრთ, მუსლიმან ქართველებს, ჩვენთვის საამაყო ღვაწლმოსილ წინაპართა მსგავსად, გამოვხატოთ ჩვენი მოქალაქეობრივი პოზიცია და ჩვენს ქრისტიან ძმებთან ერთად ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის სამართლიანად გადაწყვეტისათვის.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით „აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის“ თავმჯდომარის ბატონ ნიაზ ბოლქვაძის მიერ თანამემაულეებისადმი თავის მიმართვაში გაკეთებულ განცხადებას: ჩვენთვის დიდად ძვირფასია ოშკი და სხვა იქ არსებული ჩვენი ისტორიული კულტურის ძეგლები, მაგრამ მათ სანაცვლოდ ვერ დავაყენებთ ეჭვქვეშ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ეროვნულ ცნობიერებას ქრისტიან და მუსლიმან ძმებს შორის მშვიდობიან და მეგობრულ თანაარსებობას“.

თურქ ხალხთან ჩვენი მეზობლობა და მომავალში სასურველი მტკიცე მეგობრობა, თვით ღმერთის ნებითა და ბუნებით არის განპირობებული, რასაც დიდად მივესალმებით. აქვე სამართლიანობის გულისათვის უნდა ითქვას, რომ ქ. ბათუმში თურქეთის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ჩვენი კუთხის ყველაზე სასტიკი ამაოხრებული, დამპყრობელი სულთან აზიზის სახელობის მოქმედი მეჩეთის ან მუზეუმის მშენებლობა სრულიად მიუღებელია. იგი ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ ღირსებას, დაუშვებლად მიგვაჩნია ეროვნულ და სახელმწიფოებრივ უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისიდან გამომდინარე, რადგანაც მასში შორს გამიზნული, მზაკვრული იდეოგლოგიის სიმბოლო ჩანს, რომელიც შავბნელ ისტორიულ წარსულს გვახსენებს, მეჩეთი არ უნდა აიგოს თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფო მოლაპარაკებების შედეგად, რაც უადვოდ პოლიტიკური ხასიათისაა. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული და სახელმწოფო ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი პოზიცია არა ერთხელ გამოხატა აჭარის მთავარმა მუფტმა ბატონმა ჯემალ პაქსაძემ, რომელსაც სრულიად ვეთანხმებით.

ქ. ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს აჭარის მუსლიმანი მრევლის საჭიროებისამებრ, ჩვენი მოთხოვნით და საშუალებებით, თუ ამაში ვინმე დაგვეხმარება, როგორც პიროვნება, საზოგადოების წარმომადგენელნი დიდად მადლიერნი ვიქნებით.

ქართველი მუსლიმანი და ქრისტიანი ძმები ღვაწმოსილ წინაპართა მსგავსად კვლავაც მხარდამხარ თავად ვიზრუნებთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ეროვნული და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჩვენი სალოცავების ასაგებად. ამ გზაზე კი მთავარი პოზიცია უნდა იყოს ჩვენი ერთსულოვნება, რომლის წინაშეც ყოველგვარი პროვოკაცია უძლურია. წინააღმდეგ წასვლის მსურველთა საქციელი ერის ღალატად უნდა შეფასდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ აჭარის მკვიდრნი, ქართველ მუსლიმანთა საზოგადოების წარმომადგენელნი, ვუერთდებით 4 მარტს ქ. ბათუმში თავისუფლების მოედანზე საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ დაღუპულ ჩვენს გმირთა საფლავებზე, საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაგეგმილ მოსახსენებელ ღონისძიებას.

ბატონო პრეზიდენტო, ვიმედოვნებთ, რომ გაითვალისწინებთ აჭარის მკვიდრ ქართველ მუსლიმანთა აზრს აღნიშნულ საკითხისადმი, არ დაუშვებთ საქართველოს და თურქეთის სახელმწიფოებს შორის ზემოთხსენებული ხელშეკრულების სისრულეში მოყვანის მცდელობას, რაც მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ და ზნეობრივ ნორმებს, რომელსაც შეიძლება მრავალი გაუთვალისწინებელი და გამოუსწორებელი სავალალო შედეგები მოჰყვეს.

**მიმართვას ხელს აწერს**
**160 მუსლიმანი ქართველი**
**(ხელწერების შეგროვება გრძელდება)**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალაა.

*საქართველოს პარლამენტში მიხეილ სააკაშვილის მოხსენებასა და გამართულ დებატებზე „საერთო გაზეთს“ პარლამენტის დეპუტატი, „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი* **გია ცაგარეიშვილი** *ესაუბრა*



# gia cagareiSvili:

# TabaSiri maqvs kabinetSi da gogoriSvils unda mivutano

**— ბატონო გია, ხელისუფლებას კონკრეტული ფაქტების საფუძველზე სერიოზული ბრალდებები წაუყენეთ. თუმცა მმართველმა გუნდმა თქვენი ბრალდებები არ მიიღო და გაიშნიკი გიწოდათ?**

— ხელისუფლებამ რვა წლის განმავლობაში ჩიჩქნა, თავდაყირა დააყენა ჩემი ბიოგრაფია და ბოლოს მიაგნეს იმას, რომ ზუსტად ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობდი საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში, ორი წელი კი საქართველოს გენერალურ ინსპექციაში. მაშინ, როცა ბალავაძეები, გაბაშვილები მაგიდის ქვეშ დარბოდნენ მე წამლის გამყიდველ, კაცის მკვლელ, პოლიციელებს დავსდევდი. მათგან განსხვავებით, ვემსახურებოდი ჩემს ქვეყანას და ფიცი მქონდა დადებული არა „ნაცმოძრაობის“ წესდებაზე, არამედ საქართველოს კონსტიტუციაზე. მათ ორჯონიკიძეებისა და ფილიპე მახარაძეების სული უდგათ ვითომ ქართულ მკერდში.

„გაი“ მათთვის არის სახელმწიფო ავტოინსპქცია, რომელიც 1995 გაუქმდა იქამდე, სანამ ამ უწყებაში სამუშაოდ მივიდოდი. პირადად შსს ოფიცერი ვიყავი და უწყება დავტოვე იმიტომ, რომ იქ იყო საშინელი ჭაობი, კორუმპირებული ადამიანების ხროვა. ამიტომ გოგორიშვილმა, ცისკარიშვილმა, რაც არ უნდა იყვირონ: ცაგარეიშვილი „გაიშნიკი“, მათგან არაფერი მომეწებება, რადგან ადამიანი ღირსეულად უნდა აფასებდე მოწინააღმდეგეს მისგან შეურაცყხოფა რომ მიიღო.

**— ბატონო გია, თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებზე პრეზიდენტის მხრიდან მიიღეთ ადეკვატური პასუხები ?**

— ცხადია, ხელისუფლების მხრიდან ვერცერთ შეკითხვაზე შესაბამისი პასუხი ვერ მივიღე. მიზეზი იყო ის, რომ ფეხი მათთვის მტკივნეულ წერტილზე დავაბიჯე. სასახლეების სურათები, რომელიც პარლამენტში წარვადგინე, რეალურად უმრავლესობის წევრებს ეკუთვნით და არაფერი მომიგონებია. დიღომში სიხარულიძის ქუჩაზე გაიარეთ და ნახავთ ყველაფერს. ბარნოვზე ჩემი სახლის წინ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელმა აიშენა სახლი, მამაზეციერმა კი არა. რეზო ამაშუკელს ჰკითხეთ, ვისი სახლია მისი სახლის ცხვირწინ აშენებული, რა თქმა უნდა, გივი თარაგამაძის. საინტერესოა, საიდან ეს სასახლეები, ცხადია, ნაქურდალით, ქართველი ხალხის წვალებით ნაშოვნი ფულით. ამიტომ მიხეილ სააკაშვილს ვუთხარი, მას აქვს 2 არჩევანი: ერთი ჯორჯ ვაშინგტონის, რომელმაც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში უარი თქვა, მესამე ვადით საპრეზიდენტო არჩევნებზე, ან ვლადიმერ პუტინს, რომელიც, ფაქტობრივად, რუსეთის დიქტატორი გახდა. თუმცა ქართველ და რუსს ხალხს შორის ერთი პრინციპული განსხვავებაა-რუსი ხალხი ქართველებისგან განსხვავებით ძალიან მომთმენია. მათ, როგორც ჩანს, პუტინი ყელში არ ამოსვლიათ, ქართველებს კი სააკაშვილი ნამდვილათ მობეზრდათ.

**— როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის განცხადებებზე რატომ ჰქონდა მიხეილ სააკაშვილის მკვეთრი რეაქცია. უჭირს მას კრიტიკის აღქმა?**

— სააკაშვილი შეუწყნარებელია ყოველგვარი საღი აზრის, კრიტიკის მიმართ. ის ვერ იტანს კრიტიკოს ადამიანებს და მათი ფიზიკური განადგურება სურს. ამიტომ დაემსგავსა სხდომათა დარბაზი ნამდვილ ვაკხანალიას, ბაზარს.

**— მიხეილ სააკაშვილის მოხსენებდან ნათლად გამოიკვეთა, რომ იგი „ნაცმოძრაობასთან“ ერთად არსად წასვლას არ აპირებს და საკმაოდ შორს მიმავალი გეგმებიც აქვთ. უფრო მეტიც, მიხეილ სააკაშვილის თქმით, იგი ყველაფერს გააკეთებს არჩევნებში მისი გუნდის გასამარჯვებლად?**

— ოპოზიცია მოცემულ სიტუაციაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აპირებს. იმ შემთხვევაში, თუ გააყალბებენ არჩევნებს ხალხი თავისი არჩევანის დასაცავად ქუჩაში აუცილებლად გამოვა და იძულების წესით გაისტუმრებენ მიხეილ სააკაშვილს. საბოლოოდ დადგება შედეგი, რომ უმცირესობა იქნება გამარჯვებული, უმრავლესობა კი დამარცხებული

**— ბატონო გია, მიხეილ სააკაშვილმა გამოსვლაში აღნიშნა, რომ მისმა გუნდმა ჩამოაყალიბა დემოკრატიული სახელმწიფოს მოდელი: გააუმჯობესეს საარჩევნო სისტემა, ბიზნეს-გარემო, გაიზარდა პარტიების დაფინანსება და ა.შ. რეალურად თუ მართლაც ასეთი წარმატებული და დემოკრატიული ქვეყანა ვართ, რატომ გვყავს უამრავი უმუშევარი, რატომ არ ბრუნდებიან ემიგრანტები?**

**— მიხეილ სააკაშვილი ბლის ხეზე ზის და ატმის კურკებს ისვრის. იგივე ხეზე სხედან მერაბიშვილიც, ადეიშვილიც და ა.შ. მას უნდა შევახსენო, რომ არცერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში არ არსებობს ამდენი უმუშევარი ადამიანი, დემოკრატიულ საზოგადებაში არ არბევენ მიტინგებს, ადამიანებს არ აკავებენ აზრის გამოხატვისთვის. დემოკრატიულ ქვეყანაში ქალაქი და სოფელი წელში გამართულია და არაა ჩვენსავით ჩამოქცეული, დემოკრატიულ სახელმწიფოში მედია თავისუფალია, დემოკრატიულ ქვეყანაში სოლომონ ქიმერიძეს არ კლავენ და შემდეგ არ ამბობენ, კრეტინი ჩინოსნები, რომ თურმე ფეხი დაუცურდა და ეს გახდა სიკვდილის მიზეზი. პირდაპირ გეუბნებით, ესენი არიან მკვლელები, სადისტები და მთავარი მკვლელი-მერაბიშვილი უდგას უწყებას სათავეში. მისი მეუღლე კი პირადად იყო ჩაბმული სანდრო გირგვლიანის ფიზიკურ განადგურებაში.**

**— ბატონო გია, დებატებმა გვიჩვენა, რომ ქართველი პოლიტიკოსები პოლიტკორექტულობისგან საკმაოდ არიან. როგორ ფიქრობთ, ასეთ ადამიანებს ენდობა ამომრჩეველი?**

— ძალიან გთხოვთ, საერთო ქვაბში ყველას ნუ მოგვხარშავთ. ჩემი მხრიდან არანაირი უცენზურო სიტყვა არ გაჟღერებულა. როგორ ფიქრობთ, ჩემთვის ადვილია ამდენი ყიამყრალი ადამიანის მოსმენა, გგონიათ მკვლელებთან ერთ შენონაში მუშაობა მარტივია? მათ უმრავლესობას ხელები სისხლში აქვს ამოსვრილი, იმისთვის რომ საკუთარი ძალაუფლება გაემყარებინათ. ხათუნა გოგორიშვილი, ქალი, რომელიც ჩემი 8-წუთიანი გამოსვლის დროს მაგიდაზე ხელს ისე ურტყამდა, მგონია, მარჯვენა ხელი მინიმუმ ნაღრძობი, ან მოტეხილი უნდა ჰქონდეს, რომელ კორექტულობაზეა საუბარი. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო ქალბატონ გოგორიშვილს-პარლამენტში თაბაშრი მაქვს და ჯობს ხელი შეიხვიოს იმისთვის, რომ შემდეგ უკეთესად დაარტყას.

**— ბატონო გია, თითქმის ყველა საუბრობს, პრეზიდენტის 2012 წლის მოხსენება, წინა გამოსვლებთან შედარებით, ყველაზე სანახაობრივი იყო. საკმაოდ მწვავე გამოსვლა ჰქონდა ოპოზიციასაც. მოგეხსენებათ, საპარლამენტო დებატებს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც ესწრებოდენ, როგორ ფიქრობთ, შესაძლოა, პარლამენტში გაგონილის შემდეგ შეიცვალოს მათი დამოკიდებლება საქართველოს მისამართით და მათ ყველაფერი კვლავ ვარდისფერ ფერებში არ აღიქვან?**

— ვფიქრობ, ჩვენმა ფრაქციამ გამოცდა მშვენივრად ჩააბარა. დიპკორპუსს აქვს თავისი პროტოკოლი და შესაბამისად, გარკვეულ ჩარჩოებში არიან მოქცეული, ამიტომ ნუ მოვთხოვთ იმას, რაც ჩვენი გასაკეთებელია. ისინი არ ერვიან ქვეყნის შიგნით მიმდინარე



პრცესებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცეკას მდივნები იქნებოდნენ.

**— ბატონო გია, ამ კონკრეულ შემთხვევაში რა ევალება დიპლომატირი კორპუსის წარმომადგენლებს?**

— მათი მოვალეობაა საკუთარი ქვეყნის მთავრობებს ინფორმაცია მიაწოდონ იმაზე, ის რაც ნახეს პარლამეტში და რაც ხდება ქვეყანაში. ამ კუთხით „ქართული ოცნების“ ფარგლებში უკვე კარგად ვმუშაობთ, ვხვდებით დიპლომატებს, დიასპორის წარმომადგენლებს და ა.შ. სხვათა შორის, ეს ის ინსტრუმენტია, რომელსაც ოპოზიცია სათანადოდ არასდროს იყენებდა.

**— თუმცა ოპოზიციის წარმომადგენლები ხშირად ხვდებით დიპკორპუსის წევრებს?**

— ვხვდებოდით, მაგრამ ძალიან გვიჭირდა მათთან ურთიერთობა, თუმცა დღეს ასე აღარაა. მიზეზი იყო ის, რომ ხშირ შემთხვევაში ოპოზიცია უსისტემოდ მუშაობდა. უნებლიედ ვეწერებოდით ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ თამაშებში. მაგალითად, ხელისუფლებას აწყობდა გაგვემართა მიტინგი და ჩვენც გავრბოდით ქუშაში, სანაცვოდ კი მმართველი გუნდი საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში მარგინალებად გვნათლავდა.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, რა იყო თქვენი წარუმატებლობის მიზეზი, პოლიტიკოსებს არ გქონდათ სათანადო გამოცდილება?**

— ამის ბევრი მიზეზი არსებობდა. ეს იყო გამოუცდელობა, სათანადო კონტაქტების, ფინანსების არარსებობა. მაშინ ვსწავლობდით პოლიტიკური ბრძოლის ხერხებს და ცხადია, შეცდომებიც გვექნებოდა, მაგრამ მთავარია, ადამიანმა საკუთარ შეცდომებზე ისწავლოს და დანაშაული აღარ გაიმეოროს. ვფიქრობ, დღევანდელმა ოპოზიციამ „ქართული ოცნების“ სახით ისწავლა, შეცდომებზე დაღვინდა, დაიხვეწა. დღეს უკვე „ქართული ოცნება“ ბევრად უფრო მობილიზებული, უფრო მიზანმიმართულია, ვიდრე რამდენიმე ხნის უკან გაერთიანებული ოპოზიცია.

**— ბატონო გია, დებატებისას უმრავლესობის წევრმა პეტრე ცისკარიშვილმა აღნიშნა, რომ ოპოზიცია უუნაროა და იგი ქართველ ხალხს სთავაზობს, მხოლოდ თავის ტკივილს და არა თავის ტკივილის წამლს. როგორია თქვენი კონტრარგუმენტი?**

— ჩვენი დანიშნულებაა ხელისუფლებისთვის ვიქცეთ მუდმივ თავის ტკივილად. ქვეყნის ავთვისებიანი სიმსივნე მიხეილ სააკაშვილია და დროულად უნდა ამოვკვეთოთ, სანამ საქართველოს საბოლოოდ გაანადგურებს.

**— ბატონო გია, რას ფიქრობთ ახალ ინიციატივაზე, ვგულისხმობ რუსეთთან ცალმხრივად სავიზო რეჟიმის გაუქმებას. რატომ მიიღო მიხეილ სააკაშვილმა ასეთი გადაწყვეტილება?**

— ინფორმაცია გვაქვს, რომ მიუნხენში კულუარული შეხვედრა შედგა მიხეილ სააკაშვილსა და რუსეთის ფედერაციის მაღალჩინოსნებს შორის, თუმცა რა შეთანხმებას მიაღწიეს, ჯერჯერობით, უცნობია. ვსვამ კითხვას-ბიზნესმენი რომელიც რუსეთიდან რუსულ ფულს შემოიტანს კაკებეშნიკი აღარ იქნება?

**მირანდა ნაბახტეველი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

*გვესაუბრება პარლამენტარი* ***ჯონდი ბაღათურია.***

**— ბატონო ჯონდი, საპარლამენტო დებატების დროს თქვენი გამოსვლისას სააკაშვილმა დარბაზი დატოვა. ეს არის დემოკრატი მმართველის საქციელი?**

— ეს იყო ჩვეულებრივი კრიმინალის ქმედება, რომელმაც ვერ გაუძლო მხილებას. სანამ დარბაზიდან გავიდოდა, მანამდე მემუქრებოდა, ანუ ემუქრებოდა პარლამენტის წევრს, შემდეგ ადგა და გაიქცა. თურმე სათადარიგო გასასვლელიდან უნდოდა გაპარვა. დაცვა და მთავრობას წევრები დასევიან და ძალით მოუბრუნებიათ, არ უნდოდა თურმე მობრუნება.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო პოლიტიკოსის საქციელი.

**ეს იყო ჩვეულებრივი კრიმინალის ქმედება, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს სხვისგან მიტაცებული და წაგლეჯილი**

და ეს ხდება არა გარეშე თვალისგან ჩუმად, დაფარულად, როგორც ეს კრიმინალებს სჩვევიათ, არამედ ღიად, პირდაპირ ეთერში, პარლამენტის დარბაზში.

რაც მან გააკეთა, იმით კიდევ ერთხელ დაარწმუნა ყველა, რომ ჩემი სიტყვები ყველაფერი მართალი იყო.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ სააკაშვილის ოჯახის წევრები კორუფციულ ქსელში არიან. გაქვთ მტკიცებულებითი დოკუმენტები იმის დასადასტურებლად, რომ რაც თქვით — მართალია?**

— ნაწილი მაქვს. დოკუმენტები იმ ფაქტებზე, რაზეც ვილაპარაკე — მაქვს. დანარჩენი კიდევ შესასწავლია.

მაგალითად, მე დოკუმენტური მტკიცებულებები მაქვს, როგორ გადადიოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება პრეზიდენტის ოჯახის წევრთა საკუთრებაში. ამაზე მეტი რაღა გინდათ.



**ფრაგმენტები ჯონდი ბაღათურიას** გამოსვლიდან: „მინისტრებზე რომ არ ვილაპარაკოთ, მე თქვენს ქონებრივ დეკლარაციას წარმოგიდგენთ, რომელიც 2004 წელს შეადგინეთ. იგი საკმაოდ მოკრძალებული იყო მაშინ. თქვენი ქონება იყო 95 000 ლარად შეფასებული ბინა მეუღლის სახელზე, 9500 „სოსიეტე ჯენერალში", 3500 ევრო თი-ბი-სი ბანკში. სულ ეს არის, სხვა არანაირ ბიზნესსა და შემოსავალს არც თქვენ და არც თქვენი ოჯახის წევრები არ ფლობდით. თქვენი მამა ერთი ჩვეულებრივი, როგორც ამბობენ, კვალიფიციური ექიმი იყო, თქვენი დედა ერთი ჩვეულებრივი მეცნიერმუშაკი. თქვენი ძმები სხვა არანაირ ბიზნესსა და შემოსავლებს არ ფლობდნენ. დღეს თქვენ ხართ ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი საქართველოში. თქვენ ფლობთ და აკონტროლებთ ნავთობის და ოქროს საბადოებს (დარბაზიდან შეძახილები, — ნუ ყვირიხართ, — ჯონდი ბაღათურია) და საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეებს, მთლიანად აკონტროლებთ საწვავის ბიზნესს, სარეკლამო ბიზნესს, ფლობთ მედიამაგნატ „რუსთავი-2"-ს, რომელიც თქვენს კლასელზე გაქვთ გაფორმებული.

თქვენი მამა არის საქართველოში ყველა ბალნეოლოგიური კურორტის მფლობელი, ხოლო თქვენი დედის საკუთრებაშია უმსხვილესი ბიზნესი უმაღლესი განათლების სფეროში — ეს არის ტექნიკური უნივერსიტეტი, ყოფილი გეპეი.

# 28 Tebervals miSa, rogorc prezidenti da politikosi, damTavrda!

მაქვს ასევე მტკიცებულება, რომ მისმა ოჯახმა ორი ტრანშის სახით ივანიშვილის ფონდი „ქართუდან" მიიღო მილიონ 100 000 ლარი საჩუქრად. კანონში კი წერია, 1000 ლარზე მეტი საფასურის საჩუქრის მიღების უფლება მთელი წლის განმავლობაში პირს არა აქვს. ამას კი მიღებული აქვს 1 მლნ 100 000 ლარი. ერთი — 2009 წელს 456 000, 2010-ში 644 000 და არც ერთი არა აქვს მითითებული არც 2009, არც 2010 წლის შემოსავლების დეკლარაციაში, არც ქონების დეკლარაციაში. ჯერ ერთი, საერთოდ არ ჰქონდა მიღების უფლება და მერე მიიღო და დამალა. ორივე დარღვევა არის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც პრეზიდენტმა ჩაიდინა.

ეს საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ დაიწყოს პარლამენტმა ამ საქმეების გამოძიება და ვაპირებთ კიდევაც — უნდა შეიქმნას შესაბამისი საპარლამენტო-საგამოძიებო კომისია, შესწავლილი იქნას სააკაშვილის და მისი გარემოცვის საქმიანობა.

**— მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტია, მაგრამ გეთანხმებით, კანონის დარღვევის უფლება არ აქვს.**

— მიხეილ სააკაშვილი არის დე-ფაქტო მმართველი. მან ორჯერ მიიტაცა ძალაუფლება — 2003 წელს შემოიჭრა პარლამენტში, დიახ, ბანდიტურად შემოიჭრა, მიიტაცა ძალაუფლება და სხვათა შორის, ხალხიც მოატყუა. 2008 წლის 5 იანვარს პირდაპირ გააყალბა არჩევნები და ახლა ამ მონაპოვარს ხელიდან არ უშვებს. ის ყველაფერს გააკეთებს, რომ დეფაქტო ძალაუფლება, რომელიც აქვს — შეინარჩუნოს.

**ფაქტია, რომ გაიქცა დარბაზიდან, როგორც „ბაში-აჩუკშია" — ახლა გინდა შეიტანონ, გინდა გამოიტანონ, ეს თავიანთი „გაგორებული ფალავანი".**

**გაიგეთ ხალხო, სააკაშვილი დამთავრდა!** პოლიტიკოსი, რომელიც ხულიგანს უწოდებდა 15 წლის ბავშვს უაპელაციოდ, მერე იმუქრებოდა და გაიქცა, კარგით, რა.

**— დარბაზი ძალიან ღელავდა. არ ისმოდა კარგად, მაგრამ შეძახილები იყო. რა უნდოდათ, რას გეძახდნენ?**

— მე რომ გამოვდივარ, ყოველთვის, როგორც წესი, იწყება მაგიდაზე ხელების ბრახუნი და ფეხების ბაკუნი. რაზე უნდა ილაპარაკო ამ შემთხვევაში?! ამ ხმაურის ფონზე ვლაპარაკობ ყოველთვის პარლამენტში.

რა არის ეს, რა დონეა?! სკოლაშიც არ ვაკეთებდით ასეთ რაღაცებს.

**— ბატონო ჯონდი, თქვენ მიგაჩნიათ, რომ პარლამენტი შექმნის საგამოძიებო კომისიას სააკაშვილისა და მისი ოჯახის წევრების საქმიანობის გამოსაძიებლად?**

— ეს არის ჩვენი პოლიტიკური სვლა. და იგი, რა თქმა უნდა, შედეგზეა გათვლილი, მაგრამ თუ არ შეიქმნა, კიდევ ერთხელ გამოჩნდება, რომ იგი არის კორუმპირებული და ხელს უშლის ისეთი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას, რომელმაც მისი და მისი კლანის შავბნელი საქმეები უნდა გამოიძიოს.

მაღალი ალბათობით, სააკაშვილი შეეცდება ჩააგდოს ეს ინიციატივა.

**— მიუხედავად ყველაფრისა, სააკაშვილის არჩევნებით გაშვება რეალობად მიგაჩნიათ?**

— ეს არის ჩვენი სურვილი და მოქმედების გეგმა, მაგრამ თუ სააკაშვილი არჩევნებს გააყალბებს, ხალხი ქუჩაში გამოვა! გარდაუვალია. ხალხი გამოვა და დარწმუნებული ვარ, ძალიან მკაცრი რეაგირება იქნება საერთაშორისო საზოგადოებისგან.





**ფრაგმენტები ჯონდი ბაღათურიას გამოსვლიდან**

**მიხეილ სააკაშვილი: ბატონო ჯონდი, ბატონო ჯონდი, ერთი რაღაცა მინდა...**

**ჯონდი ბაღათურია: მაშინ დრო დამიმატონ.**

**მიხეილ სააკაშვილი: კი, კი, დაგიმატებენ.**

**ჯონდი ბაღათურია: დამიმატებთ?** ***(მიმართავს პარლამენტის თავმჯდომარეს).***

**მიხეილ სააკაშვილი: მათქმევინეთ, კაცო.**

**მამაჩემი ბალნეოლოგიურის მფლობელი არ არის, მაგრამ დირექტორი ნამდვილად არის, აქვეა, 300 მეტრში.**

**ტალახში გორაობა არის თქვენი ბუნებრივი მდგომარეობა.**

**ჯონდი ბაღათურია: მე შეურაცხყოფით არ დამიწყია.**

**მიხეილ სააკაშვილი: შეურაცხყოფა არ მოგიყენებია? აბა, რას აკეთებ ბოლო ერთი საათია?**

**ისეთი მაგარი ტალახია, აქედან, ვთხოვთ და მანდატურები წაგყვებიან. გავამზადებინებ თქვენთვის აბაზანას, ჩაგაწვენენ ტალახში, ოღონდ ნამდვილად ხარისხიანში და კარგად დაგზილავენ, როგორც საჭიროა და გაგივლის ყველა ფანტაზია თავიდან ბოლომდე.**

***(სააკაშვილი დგება და დარბაზიდან გადის).***

**ჯონდი ბაღათურია: აი, ეს არის თქვენი ზრდილობა. აი, ეს არის თქვენი ტაქტი. ჯერ გამობრძანდით და აქედან იწყევლებოდით, საავადმყოფოებში უნდა დაწვეთ ოპოზიციონერებიო და აი, ახლა თქვენ ტოვებთ დარბაზს. ეს არის თქვენი ტაქტი და მოთმინება ოპოზიციისგან სიმართლის მოსმენის...**

**ვაგრძელებ: ეს არის 14 პროცენტი ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის** ***(საუბარია სააკაშვილის დედის — გიული ალასანიას ბიზნესწილებზე — ი.კ.)***, **წილი შავი ზღვის უნივერსიტეტში და პრეზიდენტის ბრძანებულებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 101 000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწა.**

**ბატონებო, ამ ქონების დიდი ნაწილი დაგროვილია პრეზიდენტის განკარგულებებით, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ქონება პირდაპირ გადადიოდა პრეზიდენტის და მისი ოჯახის წევრთა მფლობელობაში.**

**ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, დღეს ყალიბდება ორი მონოპოლია. ერთი, ბენდუქიძის ხელმძღვანელობით, მეორე გიული ალასანიას ხელმძღვანელობით და ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ დღეს მაღალი ფასები უმაღლეს სასწავლებლებში თქვენს კომერციულ ინტერესებს ემსახურება. მთავრობის გამდიდრების პირდაპირპროპორციულად ქვეყანა გაღატაკდა. ქვეყანაში 900 000 ადამიანი სიღატაკის პროგრამაშია რეგისტრირებული, 600 000 ადამიანი ამ პროგრამაში მოხვედრას ითხოვს და თქვენ უარს ეუბნებით უსახსრობის მოტივაციით. ამას პლუს კიდევ 500 000 პენსიონერი. ჯამში ეს არის 2 მლნ. 100 000 ადამიანი, რომელიც სიღატაკის ზღვარს მიღმაა. ასე რომ, ბატონებო, პენსიონერები, რომლებიც თქვენ მოატყუეთ, შიშით ცხოვრობდნენ ქვითრიდან ქვითრამდე. თქვენს მიერ გადმოგდებული და ნაწყალობევი 20-ლარიანი ვაუჩერის მოლოდინში.**

– რატომ ხართ დარწმუნებული, რომ საერთაშორისო საზოგადოება ხმას აიმაღლებს?

– თითქმის დარწმუნებული ვარ, ამის თქმის საშუალებას პირადი კონტაქტები მაძლევს.

იგი არჩევნებს აუცილებლად გააყალბებს, რადგან თუ არ გააყალბა – წააგებს. მისი ავტორიტეტი ისედაც დაბალი იყო და ამ უკანასკნელი დებატების დროს კიდევ უფრო დაბლა დაეშვა.

წარმოიდგინეთ, ობამა ან სარკოზი, ან ანგელა მერკელი სხედან და უყურებენ, როგორ ილანძღება, იმუქრება და გარბის დარბაზიდან. ასეთ პრეზიდენტს ხელს აღარ ჩამოართმევენ. მისი ავტორიტეტი, და საქართველოში დემოკრატიის მშენებლობის იმედები პიარში დახარჯული მილიარდები ტყუილად დაიკარგა.

– **რატომ ხართ დარწმუნებული...** ლისით" და ერთი უბრალო ბინით მოვიდა და დღეს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია.

**– სააკაშვილი რატომ არ დაინტერესდა, საერთოდ, ვისი იყო ეს ფოტოები?**

– თავიდან უნდოდა პიარი გაეკეთებინა, ვითომ შევისწავლი ამ ფოტოების წარმომავლობასო, მაგრამ თვითონვე რომ აღმოჩნდა მერე ლუსტრირებული, ადგა და გადაისროლა. ამასაც აღარ გამოვიძიებო. ვანო გადავარჩინე, რა. (იცინის).

**– თქვენს გამოსვლამდე დარბაზი შედარებით მშვიდი იყო. არ მოელოდნენ ასეთ მწვავე გამოსვლას? „თავი ქუდში აქვთ" ნაციონალებს?**

– ჩემი გამოსვლის აქცენტები თავიდანვე იცოდნენ. წინა გამომსვლელმა თქვა – აი, ახლა მონოკი მიპირისპირდებიან, რომლებსაც ჩემთან გადასარევი ურთიერთობა აქვს პირადი კონტაქტების დროს. დარბაზში აბრახუნებს, ყვირის, გარეთ რომ გამოდის, ჩვეულებრივად მომიკითხავს. ვერ გავიგე, რაა ეს, თუ არ მოგწონს ჩემი გამოსვლა, გამოდი შენც და დამისაბუთე, რა ვთქვი ცუდი, რა უბედურებაა ფეხების ბაკუნი.

მიშას თვალში უნდათ, კაი ბიჭები გამოჩნდნენ – ესაა მაგათი ვაჟკაცობა.

**– ბატონო ჯონდი, რაც ჩვენ ვსაუბრობთ, თქვენი ტელეფონი, ფაქტობრივად, არ გაჩერებულა. სოციალური ქსელები და ფორუმები სავსეა თქვენი მადლობებით, მხარდაჭერით, რატომ გამოიწვია, თქვენი აზრით, ასეთი ერთგვაროვანი რეაქცია თქვენმა გამოსვლამ?**

– იმიტომ რომ უმაღლესი

## დამთავრდა მიშა, მორჩა, როგორც პრეზიდენტი და როგორც პოლიტიკოსი.





**ფრაგმენტი ჯონდი ბაღათურიას გამოსვლიდან: საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ამბობს, რომ საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრს შეუძლია 1000 ლარის ოდენობით საჩუქარი მიიღოს. ეს არის ფონდი „ქართუს" ანგარიში, სადაც პირდაპირ ვკითხულობთ –„ქართუ" ფონდიდან თქვენი მეუღლის მფლობელობაში არსებულმა რადიო „მუზამ" მიიღო ჯერ 456 000 და მერე 644 000 ჯამში მილიონ 100 000. ეს სავსებით საკმარისია იმისათვის (და ეს დეკლარაციაში არა გაქვთ შეტანილი), რომ თქვენი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. მონოპოლიზებულია ბიზნესი. (დარბაზიდან ისმის ხმაური, ნუ ყვირიხართ, – ამბობს ჯონდი ბაღათურია) მონოპოლიზებულია ბიზნესის ყველა დარგი და ყველა ბიზნესს სათავეში უდგას თქვენ მიერ ხელდასმული კლანის მეთაური. შესაბამისად, იხურება წარმოებები, ხალხი კარგავს სამუშაო ადგილებს, ამ ხალხის ქონება და საცხოვრებელი ბინები დაყადაღებული აქვს ბანკებს, ეს ბანკები არის სახელმწიფო ჩინოვნიკების საკუთრებაში. სამუშაო და ბიზნესი არის მხოლოდ ხელისუფლების წევრთა პრივილეგია.**

**ესაა თქვენი ძალაუფლება. ერთხელ ამ დარბაზში შემოიჭერით 2003 წელს, მერე არჩევნები გააყალბეთ 2008 წელს, ახლა ვეღარ ელევით მიტაცებულ ძალაუფლებას. კონსტიტუცია თქვენს ინტერესებს მოარგეთ და ცდილობთ ძალაუფლება სამუდამოდ შეინარჩუნოთ. ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით თქვენ აგრძელებთ ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. ცდილობთ ბათუმის ცენტრში ააშენოთ თურქ-ოსმალთა იმპერიის სულთნის აზიზიეს სახელობის მეჩეთი. ეს არის სიმბოლო ოსმალთა ბატონობისა საქართველოზე, სიმბოლო საქართველოს დამარცხებისა. თქვენ ხშირად ცდილობთ გაავლოთ პარალელები ქართველ მეფეებთან, რომელთანაც საერთო არაფერი გაქვთ. თუ რომელიმე მეფეს მაგონებთ, ეს არის როსტომ ხანი, რომელიც ტომით ქართველი იყო და აღზრდით, კულტურით და ცნობიერებით – სპარსი. იგი დაუნდობლად ებრძოდა საქართველოს ეკლესიას, ქართულ ტრადიციებს და ყოველგვარ ქართულ გამოვლინებას.**

**დამთავრდა მიშა, მორჩა, როგორც პრეზიდენტი და როგორც პოლიტიკოსი.**

მე თვითონ ვხედავდი ტრიბუნიდან ამერიკის და დიდი ბრიტანეთის ელჩებს, ისინი ბოლომდე ადევნებდნენ თვალს მის მოქმედებებს. რაც გააკეთა სააკაშვილმა, როგორც პრეზიდენტმა – ილანძღა, იმუქრა, ბოლოს გაიქცა დარბაზიდან. ეს საკმარისია, მისი სახე ყველამ კარგად დაინახოს – ეს არ არის დიქტატორი პოლიტიკოსის საქციელი, ეს არის, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კრიმინალისთვის დამახასიათებელი მოქმედებები.

ქართველმა ხალხმა და მსოფლიო საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს გაყვლეფით გამდიდრდა ეს კაცი, ხელისუფლებაში შავი რუსული „ვიპოლიებზე ილაპარაკებენო და ა.შ. მაგრამ თავდაჯერებული მაინც ნამდვილად ჩანდნენ. მშვიდად ისხდნენ ჩემს გამოსვლამდე. უმრავლესობას 1 საათი და 35 წუთი მისცეს, ჩვენს ფრაქციას 15 წუთი. იფიქრეს, რა უნდა თქვას 15 წუთში? თანაც ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენასაც ცდილობდნენ – ნებისმიერ ჩემ გამოსვლას თან უმრავლესობის ფეხების ბაკუნი და ხელის მაგიდაზე დარტყმები ახლავს.

**– სხვა ოპოზიციონერებს ასე არ უკეთებენ?**

– სხვებზე არის შემახილები, მაგრამ ჩემი გამოჩენა, რატომღაც, წითელი ნაჭერივითაა მაგათთვის. როგორც ჩანს, და ეს დებატებისასაც გამოჩნდა, მიშას განწყობაა ასეთი და ესენი ახმაურებენ ამ განწყობას. ისეთი დეპუტატებიც ტრიბუნიდან პრეზიდენტის მიმართ მწვავე კრიტიკის დეფიციტი ნამდვილად არსებობს. მეორეც, ქვეყანაში არსებობს შიში და უცებ, სააკაშვილმა თვითონ დაიხია უკან და თვითონვე გახდა გაქცეული.

**– ამბობენ, რომ პატრიარქი გააცილა, სუფთა ჰაერი ჩაყლაპა.**

– კარგით, რა. პატრიარქი საათნახევრის წასული იყო. ჰაერი კი არა, ის.

**ფაქტია, რომ გაიქცა დარბაზიდან, როგორც „ბაში-აჩუკშია" – ახლა გინდა შეიტანონ, გინდა გამოიტანონ, ეს თავიანთი „გაგორებული ფალავანი".**

უკვე გვიან არის მისი გამართლება.

**ირანდა კალანდაძე**

---

teleNEWS teleNEWS teleNEWS



**ხათუნა ლაგაზიძე:** შიშის თემა დღეს ძალიან აქტიურია საქართველოში და თუკი საზოგადოება, ოპოზიცია მიაღწევს იმას რომ დაიძლიოს ეს შიში, ეს იქნება ძალიან დიდი წარმატება. საქართველოს ოპოზიციის ყველაზე დიდი მიღწევა იქნება სწორედ ეს, რომ საზოგადოება გაათავისუფლოს შიშისგან.

პრეზიდენტის გამოსვლა მთლიანად პიარზე იყო ორიენტირებული. სააკაშვილის მოხსენებით ნათლად გამოიკვეთა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ბოლომდე იბრძოლებს ხელისუფლებაში დარჩენისთვის. საზოგადოება მართლაც დიდი მოლოდინით ელოდებოდა პრეზიდენტის გამოსვლას, საიდანც უნდა გამოჩენილიყო ნაცმოძრაობა მთელ რესურს, გამოიყენებს ხელისუფლებაში დასარჩენად თუ სამართლიანი არჩევნების გზით დატოვებს ხელისუფლებას. პრეზიდენტმა ამაზე ნათლად უპასუხა მთელ მსოფლიოს და ეს აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილის კატეგორიული ტონის ფონზე,რომელიც ძალიან მაგონებს 2003 წლის ვარდების რევოლუციის წინა პერიოდში ჩვენი დასავლელი პარტნიორების ტონს მაშინდელი ხელისუფლებისადმი. ქალბატონი ვოლანდერის გამოსვლაში ტონალობა სცილდება ყოველგვარი დიპლომატიის ფარგლებს და 4 გვერდზე გაწერილ სიტყვაში მეტად მკაცრი რიტორიკით არის ნათქვამი, რომ დემოკრატიოულ ქვეყნებში არმიის ფუნქცია არის სახელმწიფოს დაცვა საგარეო აგრესიისა და არა დაცვა პოლიტიკური სისტემის დაცვა. ეს იყო შოკისმომგვრელი ტონალობა. ეს იყო ისტორიული გამოსვლა, რადგან ძალიან ხაზგასმით დაკავშირდა 2012-13 წლის არჩევნების დემოკრატიულობა საქართველოს ოცნებასთან ნატოში გაწევრიანების შესახებ. პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ თუკი საქართველო ვერ ჩააბარებს ამ გამოცდას - ვერ ჩაატარებს სამართლიან არჩევნებს, მაშინ საქართველო უნდა დაემშვიდობოს ნატოში გაწევრიანებაზე ოცნებას. დასავლელი პარტნიორების ამ მესიჯს „ქართული ოცნება" ბოლო თვეებია აქტიურად აჟღერებს, სამაგიეროდ, ხელისუფლებისთვის ქილიკის საგნად იყო ქცეული და იმედს ვიტოვებ, ახლა მაინც მიაქცევენ ყურადღებას ქარბატონი ვოლანდერის სიტყვებს. და ყველაზე მთავარი, მკვეთრი ხაზგასმა აშშ-ს ადმინისტრაციისგან, რომ ქართულმა არმიამ თავი უნდა შეიკავოს პოლიტიკურ მხარედ დაფიქსირებისგან. რაც იმას მიანიშნებს, რომ აშშ-ს აქვს შიში, რომ საქართველოში არსებობს ალბათობა მომავალ არჩევნებში ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისა.

ამასთან, პრესაში ფართოდ ვრცელდება ინფორმაცია ხელისუფლების მიერ ე.წ. რეზერვისტთა ჯგუფების ჩამოყალიბების შესახებ სამეგრელოში, ამ ფეთქებადსაშიშ რეგიონში.

სააკაშვილმა თავისი გამოსვლით პირდაპირ უთხრა ამერიკას, რომ მათ დირექტივებს, რომ საქართველოში უნდა ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები, აბსოლუტურად აცდენილია და გათვალისწინებას არ აპირებს. არადა, აშშ-მ პირდაპირ თქვა, რომ თუ არ ჩავატარებთ დემოკრატიულ არჩევნებს, ჩვენ დავემშვიდობებით ნატოს და ევროკავშირს, არც პირდაპირ ნიშნავს, რომ დავრჩებით პირისპირ რუსებთან. სწორედ ეს საფრთხე დავინახე მე პრეზიდენტის გამოსვლაში. დამეთანხმეთ, რომ ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სოციალური თემებით მანიპულირება. დღეს საქართველო დგას ურთულეს არეალში, თუ ის მარტო დარჩა რუსეთთან, რომელიც, იუმორით რომ ვთქვათ, აწი უკვე უვიზოდ შემოიყვანს ჯარს საქართველოში, მაშინ იმ 1000 ლარის ამღებიც შეიძლება აღარ დარჩეს ქვეყანაში, პრეზიდენტი რომ გვპირდება.




**მთავარი, რისთვისაც უნდა ვიზრუნოთ 2012 წლის არჩევნებისთვის არის ის, რომ საქართველომ არ დაკარგოს ის მხარდაჭერები რაც მეტნაკლებად აქვს დემოკრატიული ქვეყნების მხრიდან და არ დარჩეს რუსეთის აგრესიის წინაშე.**

ამის საფრთხე თეორიულად არსებობს, რამეთუ რუსეთმა, რომელსაც ფაქტიურად გავლენის სფეროდ რჩება მხოლოდ მცირე აზია და კავკასია, ეგვიპტის ან სირიის მოდელი გადმოიტანოს საქართველოში და ამით კარტ-ბლანში აიღოს ოკუპაციისთვის. ასე რომ დღეს უფრო მნიშვნელოვანი გახლავთ არა ის, რამდენი ლარით გაიზრდება ჩვენი შემოსავალი, არამედ ის, რომ არ დადგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საკითხი.

teleNEWS teleNEWS teleNEWS



# talaxis `abazanebi~ saqarTvelosTvis

სახეგანათებულმა საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ლამის აირბინა პარლამენტის კიბეები, კიბის თავთან ერთიც შეიკუნტრუშა, მსწრაფლ გამოსტაცა თაიგული პარლამენტის კართან მდგარ, მის მომლოდინე მამაკაცს და შევარდა პარლამენტის დარბაზში.

მიხეილ სააკაშვილმა, საკუთრივ მისთვის განკუთვნილი თაიგულის ჩიორა თაქთაქიშვილისთვის გადაცემითა და კოცნით დაიწყო თანამემამულეების გაბრწყინება. ტუზდაცემული ჩიორა, ალბათ, პრეზიდენტის ბაგეების შენახებ



ლოყას, მომავალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე არ ჩამოიბანს, პრეზიდენტის თაიგულიდან კი, ჰერბარიუმს გააკეთებს, მაგრამ ამით, ქვეყანას რომ არაფერი ეშველება?

2003 წელი გამახსენდა, ვარდით ხელში რომ შევარდა იმავე კარიდან ყვირილით „გაგადექი! გადადექი!“ — სულს ძლივს ითქვამდა ჯავშანჟილეტში ჩაჭედილი. დაიჯერა, გადადგა „ის კაცი“, დაიხურა ქუდი და სახლში წავედიო, გამოაცხადა, — ეს კაცი, მიხეილ სააკაშვილი კი, ერთი, რომ არავის არაფერს უჯერებს და მეორე — ამბობს, არსადაც არ წავალ, მომავალი იქნება ამ პოლიტიკური ძალისო.

საზოგადოებას, პრეზიდენტისთვის, უკვე კარგა ხანია, კითხვები აღარ აქვს დასასმელი, პირდაპირ ბრალდებებს უყენებს.

მივყვეთ პრეზიდენტის სიტყვას, რადგან, არ შეიძლება, ქვეყნის პირველი პირი ეჭვმიტანილი იყოს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაში!

ბატონმა პრეზიდენტმა წუთიერი დუმილი გამოაცხადა ავღანეთში დაღუპული თხუთმეტი ქართველი ვაჟკაცის ხსოვნის საპატივცემულოდ, თუმცა დასძინა, ჩვენი ჯარისკაცების ავღანეთში ყოფნით ძლიერდება ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები და ჩვენი ქვეყნის მომავალიო.

რა საქმე აქვს ქართველ ჯარისკაცს ავღანეთში, ვის და რატომ ეომება, რა აქვს გასაყოფი ნებისმიერ ავღანელთან მაშინ, როდესაც მისი სამშობლოს ყოველი მხარე მიტაცებული და დაპყრობილი აქვს ყველა მეზობელს?

რატომ უნდა ეწირებოდეს ქართველი ბიჭების სიცოცხლე აშშ-ის ინტერესებს ავღანეთში მაშინ, როდესაც იმავე აშშ-ის ინტერესებში სრულებით არ შედის საქართველოს ინტერესებისთვის, თუნდაც ერთი ამერიკელი ჯარისკაცის სავარაუდო მსხვერპლად გაწირვა?

ხალხის ბრალდებაა — ბატონი სააკაშვილის მიერ მისაკუთრებული პრეზიდენტობის შესანარჩუნებლად შეწირული სისხლიაო...

## პრეზიდენტის ანგარიში

ბევრი რამ თქვა პრეზიდენტმა, მათ შორის ფრიად გასაოცარიც და ყოვლად უადგილოც, ისეთებიც, თქმის არსი რომ გაუგებარი დარჩა. მაგალითად, საქართველო ისევ წინ მიდის, მაგრამ ფაქტია და ამას ვერსად ვერ გავექცევით, უამრავი ჩვენი მოქალაქე, ჯერაც ვერ გრძნობს საკუთარი ოჯახების მაგალითზე ამასო; ათობით ათასი შრომისუნარიანი განათლებული მოქალაქე გვყავს, რომელსაც მუშაობა უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს სამუშაოს პოვნას და სამართლიანად სვამს კითხვას, რაში მადგია ქვეყნის ეკომონიკური პროცენტები და მიმზიდველი ბიზნეს-გარემო, თუ პირადად ჩემთვის, მაინც არ მოიძებნა ერთი ნორმალური სამსახურიო. ვიფიქრე, რაღაც მნიშვნელოვანს იტყვის-მეთქი და მოვემზადე გულისყურით მოსასმენად, — ტაშიიი! — გასულ წლის განმავლობაში ათობით ახალი კლინიკა გავხსენითო. რა ვქნათ, დარჩა ის ათობით ათასი შრომისუნარიანი და განათლებული უმუშევარი მოქალაქე კითხვაზე პასუხგაუცემელი...

პრეზიდენტმა განაგრძო, უამრავი ჩვენი მოქალაქე კითხულობს, რაში გვჭირდება თანამედროვე კლინიკა, თუ არ მაქვს მასში მკურნალობის ფულიო, — ახლა ამაზე პასუხის მოლოდინში გავისუსე, — გასული წლების განმავლობაში, თქვენ ხედავთ, რომ უფრო და უფრო მეტი ტურისტი ჩამოდის საქართველოშიო. ერიჰაა! ახლა კლინიკაში დაწოლის „მსურველი“ უპასუხოდ დარჩენილი მოქალაქეებიც დაემატნენ განათლებულ და შრომისუნარიან უმუშევრებს და იმ მოქალაქეებს, რომლებიც საკუთარ ოჯახებზე ვერ გძნობენ ეკონომიკურ წინსვლას...

პრეზიდენტმა განაგრძო, უამრავი ტურისტი ჩამოდის თბილისში, ბათუმში, კახეთში, საქართველოს სხვადასხვა ტურისტულ ცენტრებში, მაგრამ უამრავი სოფლის მკვიდრი კითხულობს, რა ხეირი მაქვს მე, სოფელ იფნარში ან სოფელ სამღერეთში მცხოვრებ კაცს, ბათუმში ან მესტიაში ჩამოსული ტურისტისგანო. თითოეული მათგანი სამართლიანად სვამს ასეთ შეკითხვებს და მე ყველა ამ ადამიანის მესმისო. ახლა, არ იფიქროთ, რომ იმ უპასუხოდ დარჩენილ მოქალაქეებს, იფნარელებისა და სამღერეთელების გარდა, ყვარელწყლელი და მთისძირელებიც შუერთდნენო. მერე რა, თუ „ქალაქელებს“ რადგან არ გვეხებოდა და ამიტომაც ვერ გავიგეთ, „სოფლელები“ ხომ „დაკმაყოფიდნენ“, როცა გაიგეს მათი მისამართით ნათქვამი პრეზიდენტის სიტყვა, „მათი მდგომარეობა ხაზს უსვამს ჩვენს უმთავრეს მოვალეობას, ვიზრუნოთ არა მარტო ქვეყნის განვითარებაზე, არამედ იმაზე, რომ გაფართოვდეს ამ განვითარების მოსარგებლე მოქალაქეების წრე. ჩვენ უნდა შევქმნათ არა მარტო მდიდარი ქვეყანა, არამედ უფრო ფართო წრე ხალხისა, ვინც ქვეყნის შიგნით იხეირებს, უფრო ფართო წრე განვითარებული სოფლებისა, უფრო ფართო წრე ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა, უფრო ფართო წრე სამოქალაქო ჩართულობისა და უფრო ფართო წრე საყოველთაო ოპტიმიზმისა და წარმატებისა,“ — ვერაფერს იტყვი კაცი, ისეთი სიტყვებია რიყის ქვას ხეთქვს...

„მთავარი შეკითხვა დღეს ისაა, თუ რამდენად შეძლებენ საზოგადოების ცალკეული წევრები ქვეყნის საერთო წარმატების გაზიარებას; რამდენად მოხერხდება, რომ ყველა ქართველმა იხეიროს ჩვენი ქვეყნის წინაშე გაჩენილი ახალი შესაძლებლობებით; ჩემი პასუხი ამ კითხვაზე ძალიან კონკრეტულია, — მე უარს ვაცხადებ შევეგუო ორად გაყოფილ ქვეყანას, სადაც, საზოგადოების მცირე ნაწილი ახერხებს დამსახურებული წარმატების მიღწევას, მაშინ, როდესაც მეორე, დიდი ნაწილი დაუმსახურებლად რჩება, თუნდაც ნაწილობრივ, უკან მოტოვებული. 2015 წლის ხედვა, რომელიც შარშან წარმოგიდგინეთ, რა თქმა უნდა, ძალაში რჩება, მაგრამ მე დღეს




მინდა გესაუბროთ იმ დამატებითი გეგმების შესახებ, რომელიც ჩვენს მთავრობას აქვს იმისათვის, რომ უფრო მეტმა ჩვენმა თანამოქალაქემ მიიღოს მეტი სარგებელი ქვეყნის მიმდინარე განვითარებიდან,“ — ბრძანა ბატონმა პრეზიდენტმა და გაურკვევლობაში დატოვა „დაუმსახურებლად უკან მოტოვებული საზოგადოების დიდი ნაწილიც.“

ბატონმა პრეზიდენტმა იმ ხუთ ძირითად ასპექტზე დაფუძნებულ გეგმაზე ისაუბრა, რომელიც უფრო მეტი ოჯახის წინსვლის საწინდარი უნდა გახდეს და ისეთ სიღრმეებში გადაიჭრა სამედიცინო სფეროში, ჯანდაცვის მინისტრს, ალბათ, გულის სიღრმეში შეშურდა კიდეც.

ნუ გეშინიათ და გქონდეთ ხვალინდელი დღის იმედი! — წითელ ზოლად გასდევდა მთელ მის გამოსვლას.

2 მლნ ტურისტი დამატებით 30 000 სამუშაო ადგილიაო, — სიტყვა არ თქმულა ამაზე უკეთესი პერსპექტივის დასაქმების სფეროში; სიტყვა არ თქმულა განათლების მიღების ხელმისაწვდომობა-



ზე; სიტყვა არ თქმულა მოზარდი თაობების სულიერებაზე ზრუნვის შესახებ...

ხუთი ახალი პროფესიული კოლეჯი გაიხსნებაო, გაცისკროვნებული სახით, თითქოს ნიშანს უგებდა ვინმეს, ისე გვამცნო ბატონმა პრეზიდენტმა, — რას ჰქვია „პროფესიული კოლეჯი“, — საბჭოთა პერიოდში „პროფესიული ტექნიკუმები“ რომ იყო, სადაც იმ მოსწავლეებს ამწესებდენ, რომლებიც სკოლაში დაბალი აკადემიური მოსწრებისა იყვნენ, ე.წ. „ოროსნები,“ როცა სკოლის დირექცია და პედსაბჭო ერთხმად დაასკვნიდა, რომ კონკრეტული მოსწავლე ვერ დასძლევდა სასკოლო პროგრამას. ძალიან მაინტერესებს, ბატონ პრეზიდენტს ერთხელ მაინც თუ ჩაუხედავს მისი შვილის სახელმძღვანელოებში? — დარწმუნებული ვარ, რომ არ ჩაუხედავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხუთი ახალი პროფესიული კოლეჯის გახსნით არ იამაყებდა და კიდევ უარესი, ყველა საჯარო სკოლას პირდაპირ გადააკეთებდა პროფესიულ კოლეჯად, რადგან, ზედაპირულ, ზოგად წარმოდგენას იძლევა დღევანდელი სასკოლო სწავლება და არა რისამე ცოდნას...

ტურისტების მომსახურება (ყოველმხრივი) და მუშახელი, — ესაა საქართველოს ნათელი მომავალი? ტრაქტორი და მასზე მისაბმელი ტექნიკა ააღორძინებს დაცარიელებული სოფლების მეურნეობას? ერთი წყება 70 იაპონიიდან შემოყვანილი ტრაქტორი ხომ გაფრინდა უკვე სადღაც (ასე თქვა იმ დროს სოფლის მეურნეობის მინისტრმა სვიმონიშვილმა), ახლა ახალი წყება მიჰყვება ტრექტორებისა და კომბაინებისა, — ნუთუ, ბატონ პრეზიდენტს მართლა სჯერა რასაც ამბობს თუ მხოლოდ ამბობს?

ადგილობრივი წარმოების უამრავი საქონელი სჭირდება ტურისტსაც და ინვესტორსაც, მათ დიდ მასასო, — მერედა სად აწარმოებს ამ საქონელს ბატონი პრეზიდენტის დაქვემდებარებაში დაჩოქილი ქვეყანა, როცა საქონლის მწარმოებელი საწარმოები არ არის; თელავის ბაზარში პიარის ნაწილად რომ შეიქროლა ერთხელ, ჰგონია, ბაზარში იყო და იცის, რა ფასის და სადაური პროდუქტითაა გაძეძგილი ბაზარი?

ბატონო პრეზიდენტო, არავინ მოგატყუოთ, არც პარლამენტის დარბაზში მსხდომებს აინტერესებდათ თქვენი ტირადის მოსმენა, არც ტელემაყურებელს, არც ჟურნალისტებს, საზოგადოების არანაირ ფენას, რადგან ისედაც ნათელი იყო, რასაც ბრძანებით, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ყველანი გისმედნენ. პარლამენტარებს სხვა გზა არ ჰქონდათ, არც მინისტრებს (ბატონ მერაბიშვილს ჰქონდა სხვა გზა და ამიტომაც არ მოისმინა თქვენი ყოველწლიური მოხსენება, მოგვიანებით, როცა მოიცალა, მაშინ მოვიდა) და მოწვეულ სტუმრებს; გადახედეთ ინტერნეტში გავრცელებულ იმ კადრებს, რომელიც თქვენი გამოსვლის ფონზე პარლამენტის სხდომათა დარბაზში მყოფთა რეალურ განწყობას ასახავს, ზოგს ღრმა ძილით სძინავს, ზოგი — ხატავს, ზოგი — მობილურით თამაშობს, ზოგი რაღაცას ჩხირკედელობს, ზოგი კი საათსღა დასცქერის, იმდენად არაფრისმთქმელი და მოსაწყენი იყო მათთვის ამ ყველაფრის მოსმენა, ყველაფრის, რასაც საზოგადოება, ყველაფერთან ერთად, სამარცხვინოდაც თვლის... ტელემაყურებელი, ანუ საზოგადოება საქილიკო საკბილოს ელოდა, რომელიც, წინასწარ იყო ცნობილი, რომ ბლომად იქნებოდა; ჟურნალისტები პროფესიულ მოვალეობას იხდიდნენ; ხოლო ვინც ვერ გისმინათ და არ გიყურათ, მათ არც იცოდნენ და არც იციან, რომ საქართველოს პრეზიდენტი ჰყავს, საქართველოს პრეზიდენტი კი არა, თვით საქართველო თუღაა სადმე დარჩენილი... თავს ნუღარ მოიტყუებთ ბატონო პრეზიდენტო, ნუღარ მოატყუებინებით თავს ნურც სხვას, დაიჯერეთ, რომ თქვენი აღარავის სჯერა და სხვასაც ველარ მოატყუებთ!

სინგაპურს გვერდი ვერ აუარეთ ბატონო პრეზიდენტო და გიკ-

ვირთ კიდეც, რა არ მოგვწონს „სინგაპურიზაციისა“. კი, შეიძლება ყველა მდიდარია სინგაპურში, მაგრამ არ მოგვწონს, რომ ბეჭდური და ელექტრონული მედია მთლიანად სინგაპურის იმ ხელისუფლებას ჰყავს მუჭში მომწყვდეული, რომელიც ადგილიდან არ იძვრის რამდენიმე ათეული წელია; იმ ხელისუფლებას, რომელსაც სწორედ სიმდიდრე ერჩივნა სინგაპურის თვითმყოფადობას; დიახ, არ გვინდა სინგაპურიზაცია, რადგან სინგაპურის ძირითადი მოსახლეობა მხოლოდ 17%-ია, სახელმწიფო ენა კი, ინგლისური! — ის სინგაპური არ არის. რაც შეეხება საქართველოს თქვენეულ „სინგაპურიზაციას“, ათიათასობით ინგლისურის მასწავლებლის ჩამოყვანა, ჩინელების, ინდოელების, „შავი კონტინენტის“ მკვიდრთა და კიდევ მრავალ სხვათა შემორეკვის სახით საქართველოში, — უკვე დაწყებულია!

დიახ, არ უნდა ქართველ ხალხს სინგაპურიზაცია! ქართველებს საქართველო გვინდა საქართველოში!

თქვენ ამას ვერ სწვდებით, რადგან, შეიძლება შიშის დროს „ვაი, დედას“ ქართულად წარმოთქვამთ, მაგრამ ქართულად არ აზროვნებთ და ქართულად არ გტკივათ!...

ბატონო პრეზიდენტო, გასული წლის 26 მაისს მსოფლიო შესძარით, ქვეყანა გადატრიალებას და რუსეთის ინტერვენციას გადაურჩა ჩვენი ძალისხმევითო და რატომ ერთი სიტყვით მაინც არ გაიხსენეთ ასეთი „მნიშვნელოვანი მოვლენა“?

თქვენ, პრინციპში, არც არაფერი გაგიხსენებიათ, მხოლოდ „პოტიომკინის სოფელზე“ ისაუბრეთ...

თქვენ მხოლოდ ის თქვით სიმართლე, რომ გუდიანი კაცი თუ კუდიანი ქალი არ მოვა და ვერც დაგძრავთ პრეზიდენტის სკამიდან, რომ ეს, ხალხის გადასაწყვეტია...

რაც შეეხება „შევარდნაძის მუმიფიცირებულ გვამებს“, ისინი, იქნებ იმავე დარბაზში გეძებნათ, სადაც ამ სიტყვებს ამბობდით, ბატონო პრეზიდენტო?



ლი თანაგუნდელების სახლების ფოტოები დაუდო წინ და რატომღაც, ივანე მერაბიშვილიდან დაიწყო. რა თქმა უნდა, ბატონი პრეზიდენტის ყველა თანაგუნდელის სახლის ფოტო არ წარმოუდგენია, მაგრამ მაინც.

ბატონმა ცაგარეიშვილმა არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ მიაჯახა ბატონ პრეზიდენტს, თქვენ ამბობთ, საწვავის ფასი საქართველოში, მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გამო იზრდება, სწორედ თქვენ ადგენთ ამ ფასებს, აბა, რით ახსნით იმ ფაქტს, რომ ხუთი სხვადასხვა კომპანია, ერთ დღეს, ერთ დროს, ერთი და იგივე მოცულობით უმატებს ფასს საცალო ბაზარზე, ეს კარტელური შეთანხმებაა, რომელიც კანონით ისჯებაო. ბატონმა გიამ არც ცალკეული მინისტრები და მათი „საქმენი საგმირონი“ დაივიწყა.

პარლამენტში, მანამდე მოწყენილობისგან ჩამოყვინთული „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ნამდვილად გამოაფხიზლა გამომსვლელმა, ივანიშვილის გვარის ხსენებამ კი უკმაყოფილების გამომხატავი შორისდებულების ამოშვების აუცილებლობაც გამოიწვია.

პარლამენტსგარეთ, — ხალხი, თანხმობის ნიშნად, კვერს უკრავს 29 თებერვალს პარლამენტში ნათქვამ ყველა ფრაზაზე ბატონ ცაგარეიშვილს...

რამდენად დაინტერესდება ბატონი პრეზიდენტი და მოახდენს თუ არა რაიმე სახის რეაგირებას ბატონი ცაგარეიშვილის გამოსვლაში მოყვანილ ფაქტებზე, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ის ხომ მაინც უნდა იკითხოს, (თუ აქამდე არ იცოდა, რომ მათი იყო) ეს სასახლეები რა სახსრებით ააშენეთო? როგორც შემდეგ ბრძანა ბატონმა პრეზიდენტმა, შსს მინისტრი ისეთივე გაღლეტილი ყოფილა დღეს, როგორიც მათი გაცნობის დღეს და საბრალო ადეიშვილსაც დღემდე ისეთივე ბათქაშჩამოცვენილი სახლი აქვს ალბათ, ყვარლის ბოლო, „ქართული ცივილიზაციისგან“ ყველაზე განაპირა სოფელში... კი, ბატონო, იქნებ, მართლაც ასეა და ბატონი ცაგარეიშვილი სხვისი სახლების ფოტოებს დააფრიალებს, ის მაინც ხომ უნდა გაარკვიოს, ვისია ეს „ძააალიან სახლები?“

კარგი, ამის გარკვევას ძალზე მცირე, მაგრამ მაინც დრო სჭირდება, მაგრამ მრავალმილიონიან საკუთარ რეზიდენციებზე (დედაქალაქში, მთაზე, ზღვაზე) რაღას ბრძანებს ბატონი პრეზიდენტი, — როცა ქვეყანაში, მილიონი ადამიანია სიღარიბის ზღვარს მიღმა, იმ ქვეყნის მეთაურს ამგვარი ფუფუნების უფლება ჰქონდა? რა ვუყოთ იმ ფაქტებს, რაც ქართულ სინამდვილეში შეულამაზებლად დევს? ნუთუ, ხალხს ყველაფერი ეჩვენება, ყველაფერი უკვე მართლა კარ-




გადაა და უსაქმურობისგან შარზე არიან?

პარლამენტის ტრიბუნიდან, ჯონდი ბაღათურიას სახით, კიდევ ერთი „შარიანი“ გადმოდგა და რაც ბატონმა ცაგარეიშვილმა დააკლო, მან დაამატა, თან ისეთები, რომ პრეზიდენტმა პარლამენტის სხდომათა დარბაზი ელვისებური სისწრაფით დატოვა...

დაასრულა ბატონმა ბაღათურიამ სიტყვა და ახმაურებული დარბაზის დაწყნარება, თვით დასაწყნარებელ ბატონ პრეზიდენტს მოუხდა: — „მე უბრალოდ მინდა, უმრავლესების წევრებს ვუთხრა, რომ დემოკრატია არის ასევე ხელოვნება, რომ მოვისმინოთ ასევე სრული ტყუილები. ამ კლოუნს, რომელიც დღეს აქ გამოვიდა, რა თქმა უნდა, არცერთი სიტყვა იმისა, რაც თქვა, არ სჯერა, მაგრამ მე მინდა უბრალოდ, გაგცეთ თქვენ პასუხი, წინა გამომსვლელს მინდა გავცე პასუხი.

დარბაზი ისევ აზრიალდა, ნეტავ, რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ გაიფიქრეს, სჯობს ყურს მიღმა გაატაროს, აღელვებულმა რამე ისეთი არ თქვას, რომ საკუთარი სიტყვები მისივე საწინააღმდეგოდ შეტრიალდესო? აბა, რას ნიშნავს პრეზიდენტის ამ ნათქვამზე ყურისწამღები ხმაურის ატეხვა?

პრეზიდენტის პასუხი: — „თქვენ რასაც აკეთებთ, ეს არ არის მარტო თქვენი ლაპარაკი. თქვენ გაქვთ ძალიან ბევრი გაზეთი მფლობელობაში, რამდენიმე ტელეარხი, — ამას აკეთებთ წლობით, ამას აკეთებთ თვეობით. ჩემი ოჯახი, ამას, დიდი ხანია შეგუებულია. მე არა მყავს ოჯახში არცერთი მეწარმე და თქვენ ეს ძალიან კარგად იცით, მაგრამ მთავარი ამაში არ არი. მე მართლაც მიმაჩნია, რომ ჩვენი მატერიალური მდგომარეობა, ჩემი მატერიალური მდგომარეობა გავიუმჯობესე ბოლო რვა წლის განმავლობაში. იცით, რის ხარჯზე — საქართველოს სრული კაპიტალიზაცია იყო 8 მლრდ ლარი, ეხლა არი 24 მლრდ და ეს ნიშნავს იმას, რომ მართლაც სამჯერ გაიზარდა საქართველოს ეკონომიკის მოცულობა. წელს მარტო, დღეს, ბიუჯეტი გვაქვს 8 მლრდ ლარი. 50%-ით შემცირდა გადასახადები, მაგრამ იმ პირობებში, როცა 50% მინიმუმ, შემცირდა გადასახადები, ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა მინიმუმ, ათჯერ. ე. ი რეალური ზრდა ბიუჯეტის, იმასთან შედარებით, რაც იყო, არის ოცმაგი ოდენობის.“

ჩემდა სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ჯეროვნად ვერ ვერკვევი „პროცენტების საკითხში“ და ამიტომ ვერ გავიგე რა ბრძანა პრეზიდენტმა, რისი გადასახადი შემცირდა 50%-ითო, ან ბოლო-ბოლო, რამდენია საქართველოს ათჯერ გაზრდილი ბიუჯეტი, გამაგებინეთ ვინმემ! — ვამრავლე, ვამრავლე და პრეზიდენტის დასახელებული ციფრების კომბინაციით რომ ვერაფერით გამოვიყვანე ამ თავსატეხის პრეზიდენტისეული შედეგი, მივხვდი, რომ სრულებით არ მცოდნია არითმეტიკა, გნებავთ, მათემატიკა...

პრეზიდენტის პასუხი: — „მართლა ვინმეს სჯერა, რომ ვანო მერაბიშვილს აქვს სახლი? — მაგრამ ეგ თითონაც არ სჯერათ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იციან, რომ სრული სისულელეა. მაგაში კი არ არის საქმე, საქმე არის იმაში, რომ მათთვის, ჩვენ რომ ვარსებობთ, რომ არსებობს ზურაბ ადეიშვილი, ვის სახლთანაც აპირებდნენ მიტინგის ჩატარებას და ვერ იპოვეს სახ-



ლი, იმიტო, რომ მამამისს შალვას რაცა აქვს, „სავხოზის“ დირექტორობის დროს აშენებული, მის შემდეგ მარტო ჩამოცვივდა იმ სახლს ბათქაში... როგორ შეიძლება! — მათი წარმოდგენით და ბაღათურიას ტვინით და მეორე სუბიექტის, ვინც აქ გამოვიდა, იყო ადამიანი რამდენიმე წელი იუსტიციის მინისტრი, გენერალური პროკურორი და მამაშენის სახლს ერთი აგური არ მიამატო, ეს არი ფარჩაკი, სულელი, ბრიყვი, რომელსაც მართლა არაფერი არ ესაქმება ხელისუფლებაში, აბა, ასეთ ადგილს გააცდენდა ადამიანი? წარმოიდგინე, ერთი უბრალო „გაიშნიკი“ იყო ერთი აქ გამომსვლელი და ის რასაც აკეთებდა წელიწადში, იმან, ადეიშვილის ხელფასი რომ დაამატოს რამდენიმე წლის, იმდენი არ გამოუვა, — და ვერ წარმოუდგენია, რა!“

საქართველოს ბიუჯეტის მსგავსად, ახლაც ახალი თავსატეხი გააჩინა ბატონმა პრეზიდენტმა, რადგან მოცემულობაა ძალზე ბუნდოვანი და კიდევ ის, სად მიაქვს უსახლკარო ადეიშვილს წლების განმავლობაში აღებული, კუთვნილი „მწირი“ ხელფასი, დაღესტნის მთებში, ერთი კლდის ქვეშ მარხავს? ასევე უსახლკარო და ძველებურადვე გაღლეტილ ივანე მერაბიშვილზე ხომ ენა საერთოდ არ მოუბრუნდება ნამუსიან კაცს...

პრეზიდენტის პასუხი: — „მათ ვერც-კი წარმოუდგენიათ რომ ადამიანი შეიძლება იყოს აღსავსე ამ იდეალიზმით, როგორც ჩვენი მთავრობის წევრები (დასაზუსტებელია „ღატაკი წევრები“?), რო აი, მთელი გულით უნდოდეს, რო ახალი ქვეყანა ააშენოს. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ჩვენი სიმდიდრე ის კი არ იქნება, ვიღაცამ, მართლა ეს უბადრუკი კორპუსები აიშენოს, მათ ვერც-კი წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება გიხაროდეს, რო ა, ეს სახლი ვერ აიშენო, მაგრამ სამაგიეროდ ააშენო ახალი ბათუმი, ახალი სიღნაღი, ახალი თელავი, ახალი მესტია...“

დარბაზში ტაშმა იქუხა. ნეტავ, ეს ტაში რაღას უნდა ნიშნავდეს?

პრეზიდენტის „საამაყო ნამოქმედარების“ შეხსენებამ კიდევ ერთხელ და მერამდენედ გაახარა და აღაფრთოვანა მისი მორჩილი საპარლამენტო უმრავლესობა, ლამის ბეჭი ამოიგდეს ტაშისკვრისას.

ამ ყველაფრის მაყურებელმა ხალხმა ვარაუდი გამოთქვა, — თუ ესენი, მართლა გულწრფელად უკრავენ ტაშს ამ ერთი კაცის ბოდვას, ყველანი, უკლებლად, სულით ავადმყოფები არიან და იმდენად მძიმედ გამოხატულ ფორმებში აქვთ გადასული შიზოფრენია, ტარტაროზის კანჭის ძვლის ნახარში და იყიყის ოყნაც ვერ უშველითო...

ოპოზიციისა თუ ხელისუფლების დანარჩენი წარმომადგენლების გამოსვლა სახსენებელიც არ არის, ოპოზიცია მოკრძალებული პრეტენზიებით და ხელისუფლება უკბილო შედარებებით, მხოლოდ დროის გასაყვანად და სიმბოლურად ირჯებოდა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ისე დასრულდა საპარლამენტო სანახაობა, ოპოზიციის არცერთ წარმომადგენელს არ გახსენებია 26 მაისის დარბევა და პოლიტპატიმრები...

ამ გახსენებაზე, ნეტავ, ეკა ტყეშელაშვილს საინტერესოდ ეჩვენა დებატებად წოდებული მორიგი დომხალი?

**მაია ჭელიძე**




## „ძალიან საინტერესო იქნება დებატები,“ — ეკა ტყეშელაშვილი

დებატები, როგორც ამ სიტყვის მნიშვნელობა გულისხმობს, წარმოუდგენელია საქართველოს პარლამენტში, მაგრამ მაინც, ვნახოთ, ითქვა თუ არ ითქვა ქალბატონი ტყეშელაშვილისთვის რაიმე, საინტერესო?

ნუგზარ წიკლაურის სიტყვებით, კაცი, რომელიც საკუთარ თავზე მაინც უნდა ხვდებოდეს, რა მოუტანა „ვარდების რევოლუციამ“, იყო თარგამაძის „გაიშნიკი“ და არის საქართველოს პარლამენტის წევრი, გიორგი ცაგარეიშვილი, ფაქტია ვერ მიხვდა „სიამეს.“ ბატონმა ცაგარეიშვილმა პრეზიდენტ სააკაშვილის ძველი „ლეგეთი“ გაიმეორა, მისი კორუმპირებუ-

# saakaSvilisTvis biZina ivaniSvilis miliardebi ki ara, misi didi avtoritetia saxifaTo

***გვესუბრება პოეტი ბადათერ არაბული:***

**— ბატონო ბადათერ, როგორ შეაფასებთ იმ პოლიტიკურ პროცესებს, რაც დღეს მიმდინარეობს. შეიქმნა ივანიშვილის გუნდის კოალიცია, რა მოლოდინები გაქვთ?**

— პოლიტიკური დისბალანსის შეცვლისთვის ბიძინა ივანიშვილის ჩართვა ამ პროცესებში აუცილებელი იყო, რადგანაც ნაცებს ამ კუთხით მონოპოლია ჰქონდათ. ივანიშვილს პოლიტიკური კონკურენციის, პოლიტიკური ცხოვრების, აზროვნების გაუმჯობესების საშუალება გააჩინა. წლების მანძილზე ივანიშვილი ჩუმად, უხმაუროდ ეწეოდა ქველმოქმედებას. ხშირად მსმენია, რომ ხელისუფლებას ივანიშვილის მილიარდების ეშინია, თუმცა ხაზგასმით მინდა ვთქვა — სააკაშვილისთვის ბატონი ბიძინას ფული კი არა, არამედ მისი დიდი ავტორიტეტია სახიფათო. მოგეხსენებათ, რომ უზნეობით, ტყუილებით, ელიტური კორუფციით სახელგატეხილ და ბოლომდე გაკოტრებულ ხელისუფლებას ნაკლები მილიარდები როდი აქვს, მაგრამ ივანიშვილის ავტორიტეტი ყველაფერს გადასწონის. თუ ბატონი ბიძინა სწორად გათვლის და ირგვლივ იმ ხალხს შემოიკრებს, რომელთა ავტორიტეტი, ზნეობა თუ პროფესიონალიზმი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. კოალიციაში საკმაოდ ერუდირებული, პრინციპული, სუფთა პოლიტიკოსები გაერთიანდნენ, რომელთაც სააკაშვილი წარსულის ბნელ მოციქულებს, მუმიებს და შევარდნაძის მიმდევრებს უწოდებს. ეს პრეზიდენტისთვის სამარცხვინო, შეუფერებელი საქციელია. იგი დიდი ოჯახის ხელმძღვანელივით — შვილებზე, შვილიშვილებზე და ა.შ. სიყვარულით, პატივისცემით უნდა საუბრობდეს. მას რატომღაც დაავიწყდა, რომ თავად შევარდნაძის გამოზრდილია. ასევე, დაავიწყდა, რომ მის მთავრობაში მყოფი: გოგორიშვილი, მაჭავარიანი, გაბაშვილები, წერეთელი და სხვები, სწორედ შევარდნაძის ფრთის ქვეშ დაიზარდნენ. სააკაშვილი კი უფროსი თაობის წარმომადგენლებს ეძახის მუმიებს. ამ ლოგიკით გამოდის, რომ შეხვედრებზე მოხუცი ქალბატონები რომ ესევიან, ისინიც მუმიები ყოფილან. ამით იმის თქმა მინდა, რომ 8 წლის მმართველობის მიუხედავად, სააკაშვილი სახალხო (ხალხის) პრეზიდენტი ვერ გახდა! იგი ისევ ნაციონალების თავმჯდომარეა და სწორედ ესაა მისი ტრაგედია.

მან კარგად უნდა იცოდეს, რომ ვადის ამოწურვის შემდეგ, აუცილებლად წასვლა მოუწევს. დასავლეთის, აშშ-ს მხრიდან მასზე უკვე ზეწოლა ხორციელდება, რაც კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგან სააკაშვილი რეგიონში დესტაბილიზაციის დიდი მუხტის მატარებელია. იგი პარტნიორებისთვის, თანდათანობით მოსაწყენი და აუტანელი ხდება და მისთვის პოლიტიკური ცხოვრების გახანგრძლივება აფრიკელი ლიდერების ავანტიურის და ამბიციების საშიშროებას შეიცავს, რასაც უკვე ამერიკაშიც და ევროპაშიც კარგად გრძნობენ! სააკაშვილის დიქტატორული და არადემოკრატიული ქმედებანი ამის დასტურია.

**— როგორ ფიქრობთ, ამერიკაში ვიზიტის დროსაც დაუქნიეს სააკაშვილს თითი?**

— ბარაკ ობამამ, არაერთი მცდელობის მიუხედავად, 3 წლის მანძილზე მიშა ახლოს არ გაიკარა, მაგრამ წელს, როცა საქართველოში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, სააკაშვილის ლობისტების ჩარევით, მისი მიღება გადაწყდა. ობამამ პირდაპირ მიუთითა სააკაშვილს სამართლიანი არჩევნების ჩატარებისკენ და ძალაუფლების დემოკრატიულად გადაცემისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკისგან არავითარი მხარდაჭერა არ იქნებაო. მოსახლეობაში სააკაშვილის აღმადაღმა სირბილი განწირული კაცის ქმედებას ჰგავს, რომელმაც იცის, რომ დასასრული ახლოვდება. საუბრობენ, რომ მას პარლამენტის თავმჯდომარეობა სურს, თუმცა არჩევნების ნორმალურად ჩატარების შემთხვევაში ამის გაკეთებას ვერ შეძლებს!



**— ობამამ კი მიუთითა სამართლიანი არჩევნებისკენ, მაგრამ სააკაშვილი ხელისუფლებიდან წასვლას არც ფიქრობს, მას ნაკლებად აღელვებს რა თქვა ობამამ. განა ტყუილად დაიწყო მან საარჩევო კამპანია?**

— მართალი ბრძანდებით, საარჩევნო კამპანია მას უკვე დიდი ხანია დაწყებული აქვს. ყოველდღე ან საავადმყოფოს ხსნის ან პოლიციის შენობას. ამ საავადმყოფოებში მოსახლეობის 80 პროცენტი ვერ შეძლებს მკურნალობას, პოლიციის შენობები კი არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებისთვის მზადდება.

**რა ენაღვლება ხელისუფლებას, მათ თავისთვის ახალი საქართველო, ახალი სახელმწიფო შექმნეს, სადაც ცხოვრება დუღს და გადმოდუღს, იქ ყველა მდიდარი და ბედნიერია, იქ ევროპის ქვეყნების მსგავსი ცხოვრებაა, იქ ყველაფერში მოწინავენი ვართ და მსოფლიოს ვუსწრებთ, იქ ყველაფერი ყვავის, მაგრამ არსებობს მეორე საქართველოც, გაღატაკებული, მშიერი საქართველო, სოფლებდაცლილი, სახლებგამოკეტილი, უცხოეთში მოსამსახურეებად, მონებად გადახვეწილი, შიმშილის პირზე მდგარი, სანაგვეში საჭმლის მძებნელი საქართველო... ეს ჩვენი საქართველოა და მას შველა, მკურნალობა, მოსულიერება, გაძლიერება სჭირდება! ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ,**

ისინი — მეორე საქართველოში მცხოვრებნი, ამას არასოდეს გააკეთებენ. მათ ჩვენთვის მხოლოდ საავადმყოფოები, ციხეები და პოლიციის შენობები ემეტებათ. ჩვენ ისინი იმ მათი „სახელმწიფო-კომუნიზმიდან“ უნდა გამოვყაროთ და ორი საქართველო გავაერთიანოთ! ამის გაკეთება, ჩვენთან — საზოგადოებასთან ერთად, მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ შეუძლია. თქვენ სწორად ახსენეთ სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს პრეზიდენტობის გასახანგრძლივებლად, ცდილობს დასავლელ პარტნიორებს თავი მოაწონოს და ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცების რიცხვს 1000-ით ზრდის. ფაქტობრივად, ნატოს წევრ ქვეყნებზე ბევრად მეტ, 1700 ჯარისკაცს იმეტებს სასიკვდილოდ. სამწუხაროდ, ამ დღეებში კიდევ სამი ქართველი მეომარი დაიღუპა. პრეზიდენტი კი ამაყად ამბობს — ეს საქართველოს ბრწყინვალე მომავლისთვის შეწირული ბიჭები არიანო (!) სად ავღანეთი და სად საქართველოს ბრწყინვალე მომავალი? და ეს ხდება მაშინ, როცა აშშ-ს, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის მთავრობებს ჯარის ნაწილები ავღანეთიდან გაჰყავთ! ეს შეიძლება ნატოში გაწევრიანებისთვისაა საჭირო, მაგრამ ამისთვის ქართველები წინა რიგებში დგომით არ უნდა წირავდნენ თავს. მეორეც — ჩვენი ნატოში შესვლის საკითხიც გაურკვეველია. თუ იქ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონის გარეშე შევდივართ, ეს ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებზე უარს ვამბობთ, რადგანაც შემდეგში მას აღარავინ დაგვიბრუნებს. გარდა ამისა, დღევანდელობის გათვალისწინებით, კონფლიქტური რეგიონებით (აფხაზეთი, სამაჩაბლო) ნატოში არავინ მიგვიღებს. გამოდის, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც მოსახლეობას ატყუებს და ამომრჩევლებთან და დასავლელ პარტნიორებთან მანიპულირებს. უპირველესად დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის წარმოებაა საჭირო დასავლეთთან და რუსეთთან ურთიერთობებშიც. აშკარაა, რომ ამ ხელისუფლებას არ შესწევს ძალა მის მიერვე დაშლილი ქვეყნის გაერთიანების. დღეს, მხოლოდ დასავლეთის იმედზე ვართ დარჩენილი, არ ველაპარაკებით რუსებს, ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი გვაქვს აფხაზებთან და ოსებთან. ევროპა და აშშ კი ამ დროს გვეუბნება გამოძებნეთ გზები რუსეთთან დიალოგისთვისო. ჩვენი ხელისუფლება კი იმით კმაყოფილდება, დასავლეთმა დაკარგულ ტერიტორიებს „ოკუპირებული“, ხოლო რუსეთს — „ოკუპანტი“ რომ უწოდა. ჩემი აზრით, თუ რეალურად გვინდა ქვეყნის გაერთიანება, ხელისუფლება უნდა შევცვალოთ და მხარი იმ ძალებს დავუჭიროთ, რომელთაც შექმნილ პრობლემებზე, დასავლეთთანაც და ჩრდილოეთთანაც თავისუფლად შეეძლებათ საუბარი. ასეთ ძალად ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ მესახება.

**— თუმცა, ხელისუფლებას არ სძინავს და ყველაფერს აკეთებს, რათა ამ ძალას მიზნის განხორციელებაში ხელი შეუშალოს.**

— გეთანხმებით, ფულის ხარჯვის ნაწილში, ისინი ახალ-ახალ კანონებს იღებენ, რათა „ქართულმა ოცნებამ“ ნორმალური საქმიანობა ვერ შეძლოს. ივანიშვილს პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაც კი აუკრძალეს, ვითომ მოსახლეობის მოქრთამვის თავიდან ასაცილებლად. ამ დროს კი პრეზიდენტის პროგრამით ხელისუფლება 1 მილიონ 200 ათას ოჯახს 20 ლარიან დენის ვაუჩერს ურიგებს ქრთამის სახით. კონტროლის პალატა კი ამ ყველაფერში მიუღებელს ვერაფერს „ამჩნევს“. რატომღაც, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ გახდა ხელისუფლება ასეთი „სამართლიანი“, მაგრამ მათი „სამართალი“ უკვე გაღიზიანებას იწვევს მოსახლეობაში. როგორც გაზაფხულის მოსვლას ვერ შეაჩერებენ მსგავსი კანონების მიღებით, ასევე ვერ შეაჩერებენ პოლიტიკურ ცვლილებებს.

**— პოლიტიკური ცვლილებისთვის რა გზას ხედავთ. დღევანდელი საარჩევნო გარემოთი ხელისუფლების დამარცხება შესაძლებელია?**

— დღეს, საარჩევნო კანონი არადემოკრატიულია, დაუზუსტებელი და გაბერილია ამომრჩეველთა სიები, ხელისუფლება განსხვავებული აზრის მოქალაქეებზე ტერორს ახორციელებს, 30 ათასი პატიმრიდან უმრავლესობა სასჯელს ტყუილად იხდის, ქვეყანას ჰყავს 200 ათასამდე პრობაციონერი, მონოპოლიზებულია ტელევიზიები, პოლიტიზებულია ძალოვანი სტრუქტურები — ბუნებრივია, ამ ფონზე გამარჯვების მოპოვება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ზვიად გამსახურდიას დროსაც, როცა ეროვნულ ძალებს რწმენისა და სამშობლოს სიყვარულის გარდა არაფერი გააჩნდათ, ზვიადმა გაერთიანებულ, გულანთებულ ხალხთან ერთად კომუნისტური რეჟიმის დამარცხება შეძლო. დღესაც, ასე უნდა მოხდეს. ხალხის ძალას და შემართებას წინ ვერავინ აღუდგება.

**— როგორ ფიქრობთ, რა ვითარებაა ამ კუთხით რეგიონებში, რამდენად აღწევს იქ სიმართლე?**

— განსაკუთრებული ყურადღება, სწორედ რეგიონებს უნდა მიექცეს, სადაც ხელისუფლებას მოსახლეობაზე ზემოქმედების მეტი ბერკეტი გააჩნია. ყურადღებამისაქცევია არაქართული მოსახლეობით დასახლებული რაიონებიც, მათ ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ. ასევე, უნდა შეიქმნას კოორდინატორთა, რჩეულ პიროვნებათა ინსტიტუტი, რომელიც იქ მცხოვრებ ადამიანებთან საინფორმაციო და ორგანიზაციულ საქმიანობას კოორდინაციას გაუწევს, ტელევიზიის, პრესისა და ბუკლეტების მეშვეობით ადგილებზე მიიტანს „ქართული ოცნების“ პროგრამას, რათა ქართველმაც და არაქართველმაც კარგად გაიგოს, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია მათთვის ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლას. აუცილებლად უნდა გადაისინჯოს ნაცების მიერ ორმაგად გაბერილი სიები. დღეს, მოსახლეობის მხოლოდ 53 პროცენტი ცხოვრობს რეგისტრაციის ადგილზე, 20 პროცენტამდე უცხოეთშია გადახვეწილი, დანარჩენი კი ადგილმონაცვლეობით გადაადგილებულია, რაც ხელისუფლებას მანიპულირების საშუალებას აძლევს. ამიტომ, სიების დაზუსტება აუცილებელია.

დაბოლოს, მინდა მივმართო „ეროვნულ-დემოკრატებს“, „მემარჯვენეებს“, თორთლაძის პარტიას — ხელისუფლებასთან წაწლაობას და ვითომ ოპოზიციონერობას თავი დაანებონ. მათი რეიტინგი 0 პროცენტიდან 3 პროცენტამდე მერყეობს, ისინი ხელისუფლებასთან გარიგებულნი არიან და სწორედ მას უჭერენ მხარს, რაც სამშობლოს ღალატის ტოლფასია. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს 20-30 წლის მანძილზე ერთი და იგივე პარტიების, ლიდერების მონოპოლია ქართულ პოლიტიკაში. გადექით გვერდზე და გზა ახალ მოძრაობას, ჭეშმარიტ პატრიოტს, მამულიშვილს, მოღვაწეს — ბიძინა ივანიშვილს დაუთმეთ. თუ სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება და საქართველოს გადარჩენა მართლაც გსურთ, ასე უნდა მოიქცეთ! წინააღმდეგ შემთხვევაში სჯობს ნაციონალების სახელით ღიად გამოხვიდეთ არჩევნებში. ეს უფრო ღირსეული საქციელი იქნება, ვიდრე ხალხის მოტყუების მცდელობა ვითომ ოპოზიციონერობით.

**ათას კლდეზე გადამხტარ-გადმომხტარი ლიდერების დრო უნდა დამთავრდეს და ასპარეზი ეროვნულ, პატიოსან და პროფესიონალ ძალას — „ქართულ ოცნებას“ მიეცეს.**

**თამარ შველიძე**





# `axla erTi Seni Tavi loginSi gamigora da mTeli qarTuli politika sul aqa mkidia~...



*გვესაუბრება მსახიობი, რეჟისორი, „სახალხო კრების“ წევრი* ***სოსო ჯაჭვლიანი***

**— ბატონო სოსო, სააკაშვილის გამოსვლამ პარლამენტის წინაშე თქვენზე რა შთაბეჭდილება მოახდინა?**

— პარლამენტში გამოსვლით სააკაშვილმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ხალხს, რომ არ შეიძლება ეს ადამიანი ხელისუფლებაში იყოს.

ჩვენს ხალხს, ეტყობა, ამნეზია სჭირს, ან საშინელი გულგრილობა, ვითომ, არ მეხება, რა ჩემი საქმეა და გაჩუმებული არიან რაღაცის თუ ვიღაცის შიშით. როცა ქვეყანა იღუპება, ვიღაცას კი არა, საკუთარ შვილსაც არ უნდა გაუწიო ანგარიში. ბოლოს და ბოლოს „ხევისბერი გოჩა“ საქართველოში არ შეიქმნა? იმდენჯერ უნდა აყურებინო, უნდა დაახეპირებინო ეს ფილმი ქართველ ხალხს.

**ოპოზიცია რომ გამოვიდა და ბოლოს და ბოლოს, ამოიღო ხმა სააკაშვილის ქონება არის მხოლოდ პრობლემა? ხალხია დახოცილი. 26 მაისს რაც გააკეთა: პარადი ჩაიბარა მაშინ, როცა მკვდარი ხალხი სახურავებზე ეყარა, ეს არაა დანაშაული?**

ცაგარეიშვილმა ორი პოლიტპატიმარი ახსენა, 26 მაისის შემდეგ 40-მდე ადამიანია პოლიტპატიმრად აღიარებული. ამაზე როდის უნდა ილაპარაკონ, მომავალ დებატებზე? მაშინ, როცა მიშა და ნაციონალები კვლავ ხელისუფლებაში დარჩებიან?

**არარავინ ლაპარაკობს 7 ნოემბერზე, 2008 წლის ომზე, 26 მაისზე, უამრავ სხვა დანაშაულზე. მიშა გამდიდრებულია თურმე, გამდიდრდა კი არა, ყელში ამოსდის ქართველი ხალხის ყვლეფით შეძენილი ქონება და ყელამდეა ქართველი ხალხის სისხლში. ავღანეთში დახოცილი ბიჭების ცოდვაც მაგის კისერზეა.**



სასამართლოზე როცა წარსდგება, იმედია, მხოლოდ ქონებაზე არ მოედავებიან. შეკვეთილ და დაგეგმილ მკვლელობებზეც უნდა გასამართლდეს.

**— წელან ჩანაწერებზე საუბრობდით... თქვენ რომელი ჩანაწერი გაქვთ მხედველობაშიც?**

— მოკლედ, არის ბათუმში. უკვე პოლიტიკოსად მოაქვს თავი და მოწინააღმდეგესთან — ასლან აბაშიძესთან არის ჩასული. სასტუმროშია დაბინავებული და ვერ ხვდება, რომ მეთვალყურეობის გარეშე არ დატოვებენ? ჯერ ერთი, ჩემთვის ისიც მიუღებელია, თვალი დაუწყო ვინმეს, მაგრამ დავანებოთ ამას თავი.

**ერთი სიტყვით, მიშა ნებივრობს ფეშენებელურ სასტუმროში, წამოწოლილია, გადაფარებული აქვს თავზე საბანი და არის ერთ კრუსუნში და ჟინთვაში. ცალ ხელში ტელეფონი უკავია და საზღვარგარეთ ელაპარაკება „კოლმეურნეობის თავმჯდომარის დას“. საქართველომ კარგად იცის, ვისაც შეიძლება ელაპარაკებოდეს. იმ ქალს ეუბნება: ოხ, შენი თავი ახლა აქ გამიგორა და მთელი საქართველო და ქართული პოლიტიკა, აი, აქ მკიდიაო და ხელს იკიდებს იმ ადგილას. ამ კაცს მაშინაც და ახლაც საქართველო და ქართული პოლიტიკა ჰკიდია „იქ“.**

საპარლამენტო დებატების დროს ამ რეპეტიციის წარმოდგენა იყო ბენეფისი.

მაგრამ, ესეც ვერ გააკეთა ნერვიულობის გარეშე. გავარდა სადღაც. იქ დაარჭეს, ალბათ, ნემსები, პიარშიჩკებმა უბიძგეს — შედი, დამშვიდდი. მაგრამ ვერ მოითმინა და თქვა: მაინც მკიდიხართო.

მე მეგონა, დღეს მთელი საქართველო გარეთ იქნებოდა. ქალები ძაძებში, კაცები — თავდახრილი.

ოპოზიცია კიდევ ამბობს, ეს ხალხი არჩევნებით უნდა დავამარცხოთო.

ახლა მე ამ ბოლო ხანებში რაღაც ანეკდოტებით დავიწყე ლაპარაკი, მაგრამ, არჩევნების იმედი ერთ ანეკდოტს მაგონებს და უნდა მოგიყვეთ.

თბილისში ომია. ერთი თბილისელი კაცი გაერიდა ამ უბედურებას და კოჯორში ტყეში დასეირნობს. გაიხედა, კუდიანი დედაბერი მოფრინავს. დაუდგა კაცს წინ. გაგიჟდა კაცი და ეუბნება:

— ვაა, ტო, მართლა არსებობ?

— ვარსებობ კი არა, მთხოვე, რაც გინდა და შეგისრულებო.

— მაგარი მანქანა მინდაო.

— კიდევ?

— ვაკეში 5 ოთახიანი.

— მეტი არაფერიო?

— ფული მინდა კიდე ცოტაო.

— ყველაფერი გექნება. ბარნოვის ამა და ამ ნომერში მიდი, სახლი, მანქანა, ფული იქ არისო.

— კი, მაგრამ მე რა პატივი გცე ამის საფასურადო, — უთხრა.

— არაფერი არ მინდა, მაგრამ თუ მაინცდამაინც პატივისცემა გინდა, 800 წელიწადია კაცი არ მინახავს და მიქენი რამეო.

ეცა ეს კაცი და თუ რამე იცოდა, ყველაფერი უჩვენა. როცა მორჩა საქმეს, სასწრაფოდ დაიწყო შარვლის შეკვრა და ვაკისკენ გაიქცა კუდიანის ნაჩუქარ ბინაში. კუდიანმა მიაძახა:

— ეე, ბიჭო, რა გქვია?

— გივი.

— რამდენი წლის ხარ?

— 40-ის.

— ამხელა კაცი ხარ და კიდევ გჯერა კოჯრის ტყის სიზმრებისო.

ასეა ჩვენი საქმეც. კიდევ გვჯერა არჩევნების? კაცი დეპუტატს ეუბნება: დაგზელ, გაგარღვევ ცემაში, გაგორავებ ტალახში, კლოუნი ხარ და უვარგისი, თუ დამჭირდა, მოგკლავ. არ შეიძლება ასეთი ადამიანი ხელისუფლებაში იყოს, პრეზიდენტობა ხომ წარმოუდგენელია. რაც მან პარლამენტში დებატებზე გააკეთა, მარტო ამ სიტყვებზე შეიძლებოდა ამ კაცის მხილება ყველაფერში, რაც არის და რაც ჩაუდენია.

**— თქვენი აზრით, საერთაშორისო საზოგადოებას, დიპლომატებს რა რეაქცია ექნებათ?**

— მე ერთი რამ მაინტერესებს, ჯონ ბასი, ამერიკის ელჩი ხომ უყურებდა რა არანორმალურიც არის ეს. ახლა მაინც ვეღარ მიხვდებიან, რანაირი დემოკრატი არის ეს კაცი?! მაგრამ საქართველო არავის არ აინტერესებს. აქაურობა პოლიგონად სჭირდებათ და წყალსაც წაუღია ქართველები.



**— ელჩებმა დადებითად შეაფასეს პრეზიდენტის გამოსვლა და დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯები უწოდეს დებატებს.**

— ვინც ეს თქვა, ის არის საქართველოს მოსისხლე მტერი.

**— ეს ხელოვანის განცხადებაა.**

— რას ემახით თქვენ ხელოვანის განცხადებას, მწერლის, ინჟინრის განცხადებას? ჩემს ოჯახს თუ დაემუქრებიან ამოწყვეტით, რა ვქნა, მე ენა მოვუჩლიქო და კონსტრუქციული განცხადებები გავაკეთო?!

**პირდაპირ ვამბობ, აქ, საქართველოში, საქმე გვაქვს ბიჭებთან და კრიმინალებთან.**

ხომ არის ცნობილი ფაქტი და თვითონვე თქვა — აფრასიძეების ოჯახის ამოხოცვის ბრძანება მე გავეციო. წარმოიდგინეთ, პარლამენტის ტრიბუნიდან დეპუტატს დაემუქრა — დავაზელინებ შენ თავს კარგადო და აფრასიძეებზე კულისებს მიღმა რას იტყოდა?! გული, შეიძლება გაგისკდეს ამათი შემხედვარე. შეიძლება ჭკუიდან გადახვიდე ადამიანი.

**საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ეჭვი მაქვს, ჯონდი ბაღათურია მარტო დარჩება, არავინ დაუდგება გვერდით, რადგან ყველას თავისი ტყავის ეშინია და თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი. სააკაშვილი კი სახალხოდ გვეუბნება — მთელი საქართველო ფეხზე მკიდიხართო, რასაც მინდა იმას გიზამთ, საერთაშორისო საზოგადოებაც და თვით პატივცემული ამერიკაც ფეხზე მკიდიაო.**

ანუ საბოლოოდ გაგიჟდა ეს კაცი, ჩვენს მეტი პატრონი არავინ ჰყავს და მივხედოთ, ჩამოვაშოროთ ხელისუფლებას.

**ირანდა კალანდაძე**

## გიორგი ცაგარეიშვილი: სააკაშვილის გააქტიურება პარლამენტში დაშვებული შეცდომის გამოსწორების მცდელობაა



საპარლამენტო ფრაქციის – “ერთობა სამართლიანობისათვის” – წევრი გიორგი ცაგარეიშვილი სხვადასხვა სოციალურ ფენასთან შეხვედრების თვალსაზრისით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გააქტიურებას წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირებს.

დეპუტატმა “მედიანიუსთან” საუბრისას სტუდენტებთან მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა შეაფასა, რომელიც დღეს გაიმართა. ასეთი აქტივობის მეორე მიზეზად ცაგარეიშვილი პოლიტიკური დებატებისას “ჩადენილი შეცდომების” გამოსწორების მცდელობას ასახელებს.

“წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. იმიტომაც არის ის ასეთი აქტიური, რომ პარლამენტში რაც ისაუბრა, ახლა მოსახლეობაში გაიტანოს და ამ ინიციატივების სისწორეში დაარწმუნოს. მეორე მხრივ, მან საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას უმძიმესი დარტყმა მიიღო და როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ თავი მოიჭრა. ყველამ დაინახა, რომ ეს არის ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი ადამიანი, რომლის ხელშიც ქვეყნის მართვის სადავეების დატოვება ქვეყნისათვის სრულ კატასტროფას მოასწავებს. მიხეილ სააკაშვილი, ეტყობა, გამოფხიზლდა, მიხვდა, რომ მან სწორედ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა იქ შეკრებილ საზოგადოებაზე, ასევე ქვეყნის შიგნით და გარეთ და როგორმე ამ მიუტევებელი შეცდომების გამოსწორება უნდა”, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა. მისი მოსაზრებით, დებატებისას შეცდომა პრეზიდენტის პოლიტიკურმა გუნდმაც ჩაიდინა, როცა “სხდომათა დარბაზში ლამის ყირაზე გადავიდა”.

დეპუტატი ეჭვობს, რომ პარლამენტში გამოსვლის შემდეგ სააკაშვილი რომელიმე ფენაში, მათ შორის, სტუდენტობაში, პოპულარული დარჩენილიყო.

“თუ როზგების ქვეშ არ შეყრიან ადამიანებს, როგორც ამას რეგიონებში აკეთებენ და პოლიციის თანამშრომლები შეხვედრაზე ძალით არ მიიყვანენ, არ მგონია, რომ მას რაიმე ავტორიტეტი შერჩენოდა. ეს რეალობაა. იგი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე ზეგავლენის მოხდენას, რა თქმა უნდა, შეეცდება. ის სტრუქტურები, რომლებიც მას სტუდკავშირების სახით შექმნილი აქვს, სხვა არაფერია, თუ არა სახელისუფლებო სტრუქტურების გაგრძელება. ლადო ვარძელაშვილს და მის უწყებას ეს მიმართულება პირდაპირ ჩაბარებული აქვს. ამკვიდრებენ იმ აზრს, რომ სააკაშვილი ერთ-ერთი და განუმეორებელი ადამიანია”, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა. თუმცა იგი მიიჩნევს, ახალგაზრდობა ჩვენი საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც ჩვენი ქვეყნის მომავალს ყველაზე რეალურად უყურებს.

**„მედიანიუსი“**

# mixeil saakaSvili:
# `putins patiosani Tvalebi aqvs... me mas vende da arc Sevmcdarvar, man gaakeTa yvelaferi, rasac dampirda!~





საქართველოს პრეზიდენტად წოდებულმა გრძელმა ბიჭმა გუშინწინ სრულიად საქართველოს ომახიანად აუწყა, რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსვლა, აწ და მარადის, ვიზების გარეშე იქნება შესაძლებელიო! ძალიანაც კარგი ეს თუ ასე იქნება, მაგრამ როგორც ცნობილია, რუსებისათვის საქართველოში შემოსვლა არც აქამდე ყოფილა პრობლემა და უფრო მეტი სიზუსტისათვის კი განვმარტავ, რომ ისინი საზღვარზე მესაზღვრეების მიერ ერთი „ჩარტყმული“ ბეჭდის შემდეგ უპრობლემოდ გადაადგილდებოდნენ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ წერტილში და რა საჭირო იყო, უფრო მეტი სიკეთე, ისიც პუტინის არჩევნებამდე 4 დღით ადრე, საკითხავი, აი, ეს არის!

**გაუგონარი ამბავია, არა, გაუგონარი კი არა, გამაოგნებელი ამბავია ოკუპანტად წოდებულ ქვეყანას, ფართოდ უღებდე კარს და სიყვარულს ცალმხრივად უმტკიცებდე. უფრო კონკრეტულად კი სავიზო რეჟიმს აუქმებდე ქვეყანასთან, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებული აქვს, რომელთანაც დღემდე კონფრონტაციაში ხარ, რომელთანაც სავაჭრო ურთიერთობები, ისევე როგორც დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილი გაქვს, რომელთანაც „ლილიპუტინის“ დონეზე „დიალოგი“ გაქვს და რაც ყველაზე მთავარია, რომელ ქვეყანასთანაც ფაქტობრივად, ცივი ომის რეჟიმში ხარ!**

ვფიქრობ, ასეთი ანალოგი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა და თუ რატომ მოხდა ეს მაინცდამაინც საქართველოში, ზუსტად ამის ახსნას შევეცდები ფაქტობრივ მაგალითებზე დაყრდნობით!

მიხეილ სააკაშვილი, რომ კოლაბორაციონისტი და „კგბ“-ს ავადმყოფი „მართვეა“, ამას 2000 წლიდან ვიძახი, მაგრამ მაშინ ჩემი კოლეგები დამცინოდნენ და ნიშნისმოგებით მეუბნებოდნენ: „ნუ იცი ხოლმე ასეთი აჩემება, მიშა ამერიკელების პროექტია და მათი რეკომენდაციებით მოხდება მისი გაპრეზიდენტებაო!“ გავიდა 9 წელი და რომელიმე კოლეგამ იქნებ ერთი მაგალითი დამისახელოს თუნდაც ერთი ამერიკული ინვესტიციისა, საქართველოში, თუნდაც მათი ერთი რეკომენდაციის გათვალისწინებისა, თუნდაც ერთი, „პროამერიკული“ მართვის სტილის საგარეო საკითხებში.

რაც კი სააკაშვილმა ვითომ ამერიკული კურსით აკეთა, 9 წლის შემდეგ, რუსული რა ჯადოქრობით გამოვიდა, ამიხსენით, რა? არა, რუსული კი არა, საბჭოური როგორ გამოვიდა?

**„ამერიკა, ამერიკაო“ — იძახდნენ, მაგრამ წყალი, ენერგეტიკა, წიაღისეული სიმდიდრეები, ტერიტორიები რუსეთის მფლობელობაში საიდან აღმოჩნდა? არა, აღმოჩნდა კი არა, რუსეთის ძალოვანი უმაღლესი ეშელონების მაღალჩინოსნების ხელში როგორ გადავიდა, ჰა?**

„ნაც.მოძრაობის“ დებილთა ხროვა ტაშისკვრით რომ შეხვდა თავისი ბელადის ინიციატივას რუსეთთან ვიზების გაუქმების შესახებ, ვიდრე ამას იტყოდა სააკაშვილი სიტყვა ოკუპაცია რომ არცერთხელ არ უხსენებია „მაღალი ტრიბუნიდან“, ეს როგორ გავიგოთ? ანდა ყველა „სიკეთესთან“ ერთად

**თავისი დედის ძმა რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი „გაეროში“ „კგბ“-ს გენერალი თემურ ალასანია, რომ მიუსვა გვერდით, ასევე რუსეთის მოქალაქე გრიშა ვაშაძეს და ამ ორ რუსეთის მოქალაქეს ჩააბარა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეგ როგორი ამერიკული კურსი იყო?**

ანდა 31 დეკემბერს ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე საიდუმლო ვითარებაში რუსეთს რომ უფეშქაშა ენგურჰესი, ეს ფაქტი იყო ამერიკელების რეკომენდაცია?

ვიზუალურად არანაირად არ მაღიზიანებს კახა ბენდუქიძე, პირიქით ძალიან კარგ ხასიათზე მაყენებს მისი ყოველი გამოჩენა ეკრანზე, მაგრამ ჩემი დამოკიდებულება ერთია და მეორეა, სააკაშვილმა ვისი რეკომენდაციებით იხელმძღვანელა მაშინ, როცა ასევე რუსეთის მოქალაქე, ქართველი ოლიგარქი ეკონომიკის მინისტრად დანიშნა და სულ პანტა-პუნტით გააყიდინა რაც კი სარფიანად გასაყიდი იყო, დაწყებული სტრატეგიული ობიექტებით, დამთავრებული უამრავი „წვრილი“ ლოტებით?

და საერთოდ, ტერმინი „სტრატეგიული ობიექტი“ ამერიკელების კარნახით მოაშთო საკანონმდებლო სივრციდან, თუ იმ მწყერების კარნახით განახორციელა, ტვინში რომ დაუფრენენ ხოლმე დილას, საღამოს, შუადღისას?

**გახსოვთ რამდენი ეხვეწა სააკაშვილს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II — ქართულ წყალს მაინც ნუ მიჰყიდი ნურავისო?**

მაგრამ ხომ მიჰყიდა? ისიც ხომ ვიცით, ვისაც მიჰყიდა?

ისევ და ისევ რუსებს ხომ? და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, გაზის, წყლის, საწვავის, დენის გადასახადის (ყოველ წუთს რომ გვიძვირებენ) ფულის უდიდესი ნაწილი სად მიდის და ვის ვამდიდრებთ — ადვილი მისახვედრი ხდება, რომ

**ჩვენ, ქართველები, ოკუპანტი ქვეყნის გამდიდრება-გაძლიერებაზე ვყოფილვართ სინამდვილეში დამწკრივებულნი და იქნებ, მითხრას ვინმემ — აქაც ამერიკული რეკომენდაციებით ხელმძღვანელობს საქართველოს ხელისუფლებად წოდებულ სახელმწიფო დამნაშავეთა ხროვა?**

ცოტა ხნის წინ რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენლებთან ასევე საქართველოს ოფიციალური დელეგაციის შეხვედრა რომ შედგა ევროპაში, საიდუმლო ვითარებაში და ამ შეხვედრას 2003 წლის ევროპაში, საიდუმლო ვითარებაში და ამ შეხვედრას 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი „ახმეტელი ბიჭი“ იგორ ივანოვი რომ ხელმძღვანელობდა, ეს შეხვედრაც ამერიკული გეგმის ნაწილი იყო?

იქნებ ის იყო ამერიკული ორიენტაცია — ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სააკაშვილმა ეგრევე კრემლში, ვლადიმერ პუტინთან რომ დურთა თავი? არ ვიცი, ვინმეს ახსოვს თუ არა, მაგრამ საპრეზიდენტო ინაუგურაციის შემდეგ, ფაქტიურად, რამდენიმე დღეში სააკაშვილის პირველი ოფიციალური ვიზიტი სწორედ რუსეთში განხორციელდა და ამერიკაში კი მოგვიანებით!

**2004-2008 წლების კონფლიქტები ცხინვალში ვინ და რატომ დაიწყო? ანდა სად იყო ამ ორი სისხლიანი ავანტიურის მიღმა ამერიკული ინტერესები? ხომ ფაქტია, რომ სწორედ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მოძლიერდა რუსეთი, როგორც მოქალაქე და მსოფლიო წესრიგის მოკარნახე ქვეყნად?**

ამდენი წლის შემდეგაც ეპარება ვინმეს ეჭვი იმაში, რომ სააკაშვილი პროამერიკელი დემოკრატი მმართველი კი არა, სინამდვილეში, პროსაბჭოური მმართველია? რაღა შორს წავიდე, განა გუშინწინ თავისი პირით არ თქვა სააკაშვილმა: „ნატოსა“ და ევროკავშირში ჩვენი გაწევრიანება შორეული პერსპექტივაა“-ო? ამის შემდეგ განა ლოგიკური არ იქნება დავსვათ შეკითხვა: მაშ, სად გველიან და სად მიგვიღებენ სიამოვნებით, თუკი დასავლეთი უვადოდ გვიკეტავს კარებს?

სააკაშვილი რომ ვერაფერი დემოკრატი დადგებოდა, ეს დასავლეთის რიგმა პოლიტიკურმა წრეებმაც მშვენივრად იცოდნენ, მაგრამ რატომ ვერ გახდა ამხანაგი მიშა პროგრესზე ორიენტირებული, ჭეშმარიტად თავისუფალი ლიდერი, ვფიქრობ, მათთვისაც გამოცანად დარჩა და თუ 2004 წელს მოსკოვში სააკაშვილის ყოვლისმთქმელ, სიღრმისეულ ისტორიულ სიტყვებს გავიხსენებთ, მათთვისაც და ზოგი ქართველისთვისაც ყველაფერი ცხადზე უცხადესი გახდება.

2004 წლის აპრილში სააკაშვილი გაზეთ **„იზვესტიას“** შემდეგ სიტყვებს ეუბნება:

**„მე, რომანტიკული ადამიანი ვარ, მაგრამ მერწმუნეთ არცთუ ცოტა რამ მინახავს... პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს — ეს სწორედ ასეა! მე მას ვენდე და არც შევმცდარვარ. მან გააკეთა ყველაფერი, რასაც დამპირდა! ამიტომ დღეს რუსეთში თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ, ვიდრე სხვა ქვეყნებში! პუტინი უფრო პრაგმატულია აზროვნების სტილით და მეტიც, უფრო თანამედროვეა, ვიდრე დასავლეთის ბევრი პოლიტიკოსი!“**

აჰა, ეს სააკაშვილის სიტყვებია, მაგრამ მაშინ, ვიდრე სააკაშვილს პარლამენტის შენობაში ვარდებით ხელში შეიყვანდნენ ვალერი ხაბურზანია (უშიშროების მაშინდელი მინისტრი), ავთო იოსელიანი (უშიშროების მინისტრის მოადგილე), ბადრი ბიწაძე (სასაზღვრო ჯარის უფროსი) და სხვა მაღალჩინოსანნი, ხომ საინტერესოა, იქამდე — სად, როდის და რას დაპირდა ვოვა პუტინი ქართული „დემოკრატიის“ ბელად სააკაშვილს?

ანდა, განა ვინმემ იცის 2003 წლის ნოემბრამდე კრემლის კულუარებში რა გეგმა იხაზებოდა იმისთვის, რომ ეს გიჟი ხელისუფლებაში უეჭველად მოსულიყო?

**„პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს“-ო, როცა ბრძანა სააკაშვილმა („დრუგ, უ ტებია დობრიე გლაზა“) ხომ საინტერესოა, როდის ანდა რა ვითარებაში ჩაჰხედა თვალებში ჟურადღებით?**

ანდა, როცა ბრძანა. — „მე მას ვენდე და არც შევმცდარვარ. მან გააკეთა ყველაფერი, რასაც დამპირდა“-ო, რა დაპირებაზეა ლაპარაკი და 5 თვის თავზე ასეთ ხოტბას რისი გულისთვის უძღვნის ადამიანს, რომელსაც ყველა წესით და რიგით, სიღრმისეულად არც კი უნდა იცნობდეს?


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში

www.saertogazeti.net

შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე

საერთო გაზეთი

ჩვენ არც ის უნდა ვიცოდეთ (მხოლოდ უნდა ვივარაუდოთ და ლოგიკურად დავალაგოთ. – ი.გ) სააკაშვილი და პუტინი ასე რატომ ჰბაძავენ ერთმანეთს, რატომ გრძნობენ ისინი თავს კომფორტულად მაშინაც კი, როცა უდანაშაულო ადამიანები, ქართველი და რუსი ჯარისკაცები იღუპებიან და საქართველოც რუსეთის დარად ავტორიტარიზმის ჭაობში როცა მიექანება?

იქნებ ორივეს გასიგრძეგანებული აქვს ცნობილი ფრაზა: „ანარხია მატ პორიადკა“ (ანარქია წესრიგის დედაა) და ამიტომაც არიან ასე სიამის ტყუპებივით ერთმანეთზე მიკრული? მაგრამ, ხომ საინტერესოა, მათეული „წესრიგი“ რას გულისხმობს და ეს „წესრიგი“ როდის უნდა დამკვიდრდეს ან რუსეთში, ანდა საქართველოში? ერთი სული აქვთ საქართველოს მთელი მასშტაბით ოკუპაციისა, მაგრამ,

**ვიმეორებ, „ნაც.მოძრაობა“, რომელმაც ერთ სიტყვა „ოკუპაციაზე“ ალმა-დალმა იფრინა, რომელმაც აუარება ფული დახარჯა, რომელმაც ყურები გამოგვიჭედა „ობამამ ახსენა სიტყვა ოკუპაცია“-ს და ასე შემდეგ, ხანგრძლივი ტაშით რატომ შეხვდა ოკუპანტ ქვეყანასთან საზღვრის გახსნის ინიციატივას?**

რა მაგის პასუხია და... სააკაშვილის „ჰუმანურ“ ინიციატივას წინასწარ რომ ჩამოასწრო მოსკოვიდან მოქანდაკე ზურაბ წერეთელმა და თავის რეზიდენციაში დიდი პურობა რომ მოაწყო სააკაშვილთან, უგულავასთან, მერაბიშვილთან, ბაქრაძესთან და სხვა უამრავ პუტინთან „კონფრონტაციაში“ მყოფი „პოლიტიკოსების“ საპატივსაცემოდ – შემთხვევითია?

ანდა, ის არის შემთხვევითი, ბატონი ზურაბის სტუმართა ამქარში რუსი ჟურნალისტებიც რომ მოხვდნენ და ქართველ ჟურნალისტებს ცხვირიც არ შეაყოფინეს იქ?

**შესაძლოა, ბევრმა არ მიაქცია ყურადღება, მაგრამ „რუსთავი-2“-ის მიერ მომზადებულ სიუჟეტში ზურაბ წერეთლის რეზიდენციის კარებთან მიშა სააკაშვილმა „ისტორიული“ ფრაზა თქვა: რუსეთი ჩვენი გეოგრაფიული მეზობელია და ჩვენ არ გვძალუძს ამის შეცვლაო! ჩვენ რუს ხალხთან მარტო მეგობრობა კი არა, ისტორიულ-რელიგიური თანაცხოვრება გვაკავშირებსო!**

აბა, გაიხსენეთ, რა თქვა ვლადიმერ პუტინმა სამხედროებთან შეხვედრისას – „ჩვენ ქართველებთან როგორც ისტორიული, ასევე რელიგიურ-კულტურული კავშირები გვაქვსო“, – ხომ?

ანუ რა გამოდის, თურმე ჩვენ რუსები და ქართველი რიგითი ადამიანები ვუპირისპირდებით ერთმანეთს და ეს ორი ლიდერი კიდევ არაფერ შუაში ყოფილან?

„სააკაშვილი ნადო პოვესიტ იაიცამი“ – ბრძანა პუტინმა და როცა მიშა ამბობს, პუტინი სიტყვის კაციაო – არ ეშინია? თუმცა რისი უნდა ეშინოდეს, გვერდზე არ ჰყავს თავისი ბიძა თემური და ზურაბი ბიძია, რომლის უნიჭო ქანდაკებებსაც ასე ზარზეიმით ხსნიან მთელ საქართველოში?

არასოდეს დამავიწყდება სააკაშვილის ჩაქროლება თელავში, სადაც მან თეთრი „ლამბორჯინითაც“ იკატავა და ერეკლე მეორის ძეგლთანაც კარგად მოილხინა. ალბათ, ბევრს არ ახსოვს, მისი მაშინდელი გამოსვლა, მაგრამ „გავთავხედდები“ და შევახსენებ ბევრს:

**„ბევრი გმირი მეფე ჰყოლია საქართველოს, ისტორია კი მხოლოდ რამდენიმე მათგანის მიმართ იყო კეთილგანწყობილი. ერეკლე მეორე, იგივე პატარა კახი ერთადერთი მეფე იყო, რომელსაც 300 ომი წაუგებლად ჰქონდა მოგებული და მინდა გითხრათ, რომ სწორედ მეფე ერეკლეა ჩემი ფავორიტი მეფე, ის დიდი მოღვაწეა ჩვენი ქვეყნისა და მე ვამაყობ, რომ დღეს მის მშობლიურ ქალაქში ვესაუბრები ახალგაზრდებს მის საგმირო საქმეებზე!“ – გაგახსენდათ?**

ახლა, მიშა სააკაშვილს მეფე ერეკლეს ტოლობა და მისი „ფანობა“ ომების მოგების თვალსაზრისით რომ არ გახსენებია, ფაქტია, მაგრამ მაშინ იქ, თელავში რა მიანიშნა, ისტორიის რომელი მონაკვეთი იგულისხმა, განა ძნელი გამოსაცნობია?!

სავარაუდოა ისიც, რომ „პატიოსანი ადამიანების თვალების“ მქონე პუტინს სააკაშვილმა (პარლამენტში საანგარიშო გამოსვლისას) უნებლიედ გაუკეთა „ჰუმანური ჟესტი და საქართველოს საზღვრების გახსნაც ასე ჰაიჰარად „მიახალა!“

არც ის არის შემთხვევითი „ნაც.მოძრაობის“ ნეობოლშევიკურმა შემადგენლობამ, სიხარულით სავსე სახეები რომ შეაგება „დიდ ბელადს“. ამის გამო და არც ის არის შემთხვევითი, რომ – ნანინანატრად მოპოვებული სიტყვა „ოკუპაცია“ საქართველოს პარლამენტად წოდებულმა მუმიათა სარკოფაგმა სწრაფად რომ გააყოლეს ისტორიის უსარგებლო ტერმინოლოგიას!

წინ დიდი ძვრები გველოდება, ამხანაგებო!

ეჭვგარეშეა, რომ „კგბ“-ს მართვე, თვალებბრიალა სააკაშვილი, „გაღლეტილი“ მერაბიშვილი, „რუხი კარდინალი“ ადეიშვილი, თბილისის მიერ „არჩეული“ მერი გიგი უგულავა, ძველი და ახალი „ფეის კონტროლ“ გავლილი პატივცემული გვამები, ნებისმიერ შემთხვევაში ჩრდილოეთის ციალში ჩაგვიტარებენ მორიგ შოუებს, მაგრამ, ხომ საინტერესოა, ამ 20- წლიანი დაპირისპირების მიღმა ვინ იდგა, ვინ აკონტროლებდა ქართველთა ემოციურ გემოვნება-უგემოვნობას და ვის ეწადა თავის მეგობრებთან ერთად ახალი „საბჭოთა კავშირის“ აღდგენა?



დღეს, როცა საქართველომ უკვე აამოქმედა რუსი მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი, დახეთ, რა თქვეს რუსეთის სათათბიროს წევრებმა? „ჩვენც შეგვიძლია გავაუქმოთ სავიზო რეჟიმი საქართველოსთან, ჩვენც შეგვიძლია ეს ერთ დღეში გავაკეთოთ, მაგრამ ამის აუცილებლობას დღეს ვერ ვხედავთო!“ ანუ რუსებმა, სააკაშვილისგან განსხვავებით, თავპატიჟის პოზიცია აირჩიეს და სავარაუდოდ, არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან რუსებს დაჩოქებული მოწინაალმდეგე ურჩევნია და ჩვენ როცა დავიჩოქებთ და შევეხვეწებით – გვიშველეთო, აი, ზუსტად მაშინ გადაწყვეტენ, უნდათ თუ არ უნდათ ჩვენი დახმარება!

დღეს მსოფლიოს ყურადღება ირან-ამერიკის შესაძლო ომისკენაა მიქცეული, მაგრამ საქართველოში ბევრმა არ იცის, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ომში, რუსეთი უეჭველად მიიღებს მონაწილეობას გარკვეული მოსაზრებებით და გეოსტრატეგიული აუცილებლობიდან გამომდინარე!

საქართველოსთან მიმართებაში კი რუსეთი ვერც ამ ომის მიმდინარეობისას იქნება გულგრილი და თუ ოტო ბისმარკისეული მოსაზრებიდან გამომდინარე „რუსეთს ან პატიოსნად უნდა ეთამაშო, ან საერთოდ არანაირად“ იხელმძღვანელებენ, მივალთ იქამდე, რომ ჩვენ რუსეთთან ან ახალი ომის საფრთხის წინაშე დავდგებით, ან არადა ისევ არც ომი გვექნება და არც მშვიდობა, როგორც ამას ტროცკი ამბობდა!

დღეს, როცა „საერთო გაზეთის“ მკითხველი ამ სტატიას ეცნობა, რუსეთში ვლადიმერ პუტინის ხელმესამე გაპრეზიდენტებისათვის ყველა პირობაა შექმნილი! ნაკლებად

**მეფე ერეკლე კრწანისის ომში დამარცხდა! ეს იყო მისი უკანასკნელი ბრძოლა საქართველოსთვის და ის მაშინ 77 წლის გახლდათ, ხოლო გამარჯვებული 78 წლის აღა-მაჰმად-ხანი იყო! მაშინაც ღალატმა მოუღო ბოლო საქართველოს და ახლაც ასეა, ოღონდ მეფე ერეკლე საკუთარმა შვილიშვილებმა ძლივძლივობით გამოათრიეს ბრძოლის ველიდან, ხოლო სააკაშვილი და მისი ხროვა ბორდელის კუტანკებივით ელოდებიან ტანკიანი სიძის ჩამოსვლას საქართველოში!**

სიმბოლურია ისიც, რომ დღეს საქართველოს დამარცხების ადგილზე კრწანისში ცხოვრობს სააკაშვილის პოლიტიკური მშობელი ედუარდ შევარდნაძე და ეს ბევრს უკვე აღარც კი ახსოვს და აღარც ის ახსოვთ –„პუტინს უყვარს ქართველებიო!“ – როცა შიგადაშიგ შეგვახსენებდა ხოლმე!

ვინ ვართ ჩვენ? ანდა რით შეგვიძლია შევცვალოთ პოლიტიკის ჩარხის უკუღმა ტრიალი?

ვერაფრით... ჰოდა, აბა, წამოვდგეთ ყველა, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რაც დაგვემართა, და რაც მომავალში დაგვემართება, განა თითოეული ჩვენთაგანის ბრალია არ არის?

**ირინე გოგოსაშვილი**

# facebook

# xa l xis az r iT

უპრეცენდენტო შემთხვევაა, როდესაც პრეზიდენტი საჯაროდ ემუქრება დეპუტატს მანდატურებს დავავალებ ტალახში გაგორავონ და მაგრად დაგზილონო. ამაზე პასუხი არ უნდა აგოს?

ბედნიერებისგან გადავირიო ლამის... ეს რა პატრონი ჰყოლია ჩემს ქვაყანას სააკაშვილის სახით! მივხვდი. ჩვენ ვართ უვარგისი და უმადური,დაბრმავებული ხალხი, ვერ ვხედავთ იმ უხვ სიკეთეს შენ რომ აკეთებ, ამიტომ ჩემო მიშა ადექი და დაგვტოვე, დაგვსაჯე! ჩვენ არ ვიმსახურებთ შენნაირ პრეზიდენტს.

ცაგარეიშვილის და ჯონდის ძეგლის დადგმას ვითხოვ ილიაკაკის ნაცვლად გიმნაზიის წინ( ძეგლების გადატანა დამხეცებული გავქვს უკვე). საგულისხმოა, რომ სააკაშვილმა არც ცაგარეიშვილის და არც ბაღათურიას ბრალდებებს არ უპასუხა და მხოლოდ მათი მუქარით, შეურაცყობით შემოიფარგალა. ფაქტიურად მან აღიარა ის რაშიც ბრალი დასდეს ამ დეპუტატებმა.

მიშამ გუშინ მაგრად იბორძიკა თავის გამოსვლაში ! ისტერიას და სურათების იქით აქეთ გადაყრა გადმოყრაზე აღარაფერს ვამბობ!!! ბატონი ედუარდის დროის ძაგებაზე ქონდათ აქცენტები გადატანილი ,მაგრამ ერთი რამ ავიწყდებათ თუ როგორ იცავდა შევარდნაძე თავის მინისტრებს. თქვენ გემასხოვრებათ და თან კარგად!!! ანალოგიურად იქცევა თავადაც !!! ზოგი მინისტრის გავლენა უკვე აშკარააა პრეზიდენტზე!!!

რუსებს უვიზო შემოსვლა დაუწესეთ და... ამის მერე კიდე მე ვარ ამის დედა ვატირე, რუსებისკენ მაცქირალი და ივნიშვილი კიდე, პუტინის ბოლო შანსი და იმედი? მაგრად ეპატხალიმება პუტინს მიშა, ღმერთმანი!

ანუ ახლა რა გამოდის?... 40 კილომეტრში რო რუსები დგანან თბილისიდან, ის ხალხი დღეის ამას იქეთ, ოკუპანტი კი არა, საქართველოში ოფიციალურად უვიზოდ შემოსულები არიან?

ჩვენი პრეზდენტი ამტკიცებს,რომ მისთვის მთავარი ფულია და არა სამშობლო ან მოსახლეობა...ასეთი არაადექვატურ ნაბიჯს,რუსების უვიზო მიმოსვლას რუსული ფულის სუნი ასდის...

შე მამაცხონებულოოო... თუ რუსებისთვის უვიზოდ შემოსვლა გინდოდა დაგეწესებინააა... რას მახავლე ეს ორი წელიწადი და მაგინებინე ეს ჩემის ტრულაილები?... ესენი ახლა “უვიზო ოკუპანტები” არიან თუუუუ...”ოკუპანტ-მეგობრები”?

იცის მიშამ უკვე, რომ ერთადერთი, ვინც მის პოზიციას გაამყარებს და ისევ ხელისუფლებაში დატოვებს...რუსეთია. გუშინდელმა გამოსვლამ საბოლოოდ დამარწმუნა.თუ გაუჭირდება ცოტა ხანში იტყვის – რუსეთი ჩვენი სტრატეგიული მეგობრები არიან, გაუგებრობას ქონდა ადგილიო. რუსეთი ვერც კი ინატრებს მისთვის უკეთეს ხელისუფალს საქართველოში. ამან ისე აიწყვიტააა... ერთი ორ თვეში ალბათ აფხაზეთს და ოსეთსაც აღიარებს და უვიზო რეჟიმსაც დაუწესებს

გუშინ ნახევარ დარბაზს ეძინა და ნახევარი ტელეფონზე თამაშით იქცევდა თავს, ტაშსაც იმიტომ უკრავდნენ, მძინარეები რომ გაეღვიძებინათ :) ვანიკოსაც ეძინა ერთხანობას :) არ ვიცოდი მთავრობაშიც თუ იძინებდნენ :) მე ვანოსი გამიკვირდა, ის ხომ სულ ფხიზლობს :) ნათქვამია- „ერთი ძილი, წყალსაც ჩაეძინებაო” :))




Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook

# `saxalxo kreba~ opoziciur Zalebs erTiani opoziciuri frontis Seqmnisken mouwodebs

***პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლასთან დაკავშირებით „სახალხო კრება“ აღმასრულებელ საბჭოს შეხვდა. შეხვედრის დეტალებზე „საერთო გაზეთს“ „სახალხო კრების“ ლიდერები ესაუბრნენ***

**გია ბურჯანანაძე, „სახალხო კრების“ ლიდერი:** — მიხეილ სააკაშვილის მოხსენებიდან კარგად გამოჩნდა, რომ ის თავის გუნდთან ერთად არსად წასვლას



არ აპირებს და საკმაოდ შორს მიმავალი გეგმებიც აქვთ. შესაბამისად, მიჩნდება შეკითხვა, როდემდე შეიძლება ავიტანოთ კრიმინალი, ბანდიტი მიხეილ სააკაშვილი? თუმცა ხელისუფლების მხრიდან უპრეცედენტო ტერორისა და რეპრესიების მიუხედავად კრება კვლავ რჩება ავტორიტარულ რეჟიმთან შეურიგებელ ძალად. ამიტომ „სახალხო კრება“ ყველა იმ ადამიანთან ერთად, ვინც 26 მაისს მსოფლიოს დაანახეს, რომ არ შეეეგუებიან სამშობლოს განადგურებას, ღირსების შელახვას, ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ საქართველო ჩამოყალიბდეს ნორმალურ, სრულფასოვან, დემკრატიულ სახელმწიფოდ და ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდეს დიქტატორი სააკაშვილისგან.

**— როგორ აპირებს „სახალხო კრება“ რეალობის შეცვლას?**

— ზღაპრებია ის რომ, თითქოს, არსებული საარჩევნო კანონმდებლობით შესაძლებელია წარმატების მიღწევა. დამერწმუნეთ, მიხეილ სააკაშვილი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას არ დაუშვებს, ამიტომ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ერის კონსოლიდაცია, რათა ხელისუფლებას ხელიდან გამოვგლიჯოთ ყველანაირი ბერკეტი.

**ელიზბარ ჯაველიძე, „სახალხო კრების“ წევრი:** აბსოლუტურად ყველა მიმართულებით ქვეყანაში კატასტროფული მდგომარეობაა, სამწუხაროდ, ახლა საქართველოს, ქართველი ერის, ყოფნა არ ყოფნის საკითხი დგას. პოლიტიკოსების უმრავლესობა დღეს არჩევნების თემით მანიპულირებს, მაგრამ ჯერ არჩევნებამდე მისვლაა საჭირო, რადგან იქამდე, შესაძლოა, ისეთი პროცესები განვითარდეს, არჩევნები მეათეხარისოვანი გახდეს. ირან-სრაელის პრობლემას ვგულისხმობ და ამ გლობალურ საკითხთან მიმართვებაში ჩვენი ქვეყნის დამოკიდებულებას. ჩვენი ვაი— ხელისუფლება სტრატეგიულ პარტნიორთან აშშ-თან ერთად მზადაა ომი გამოუცხადოს ირანს და მინდა ვუთხრა მათ: აქლემების ჭიდილში კოზაკი გაიჭყლიტა, ამიტომ საზოგადოება დროულად უნდა გამოფხიზლდეს, გამოვიდეს სახლებიდან და მონაწილეობა მიიღოს რეალობის შეცვლაში.

**— როგორ ფიქრობთ, დღევანდელ სიტუაციაში შესაძლებელია არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა?**

— ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში პირადად და „სახალხო კრებასაც“ თავისი დამოკიდებულება გააჩნია. ვფიქრობ, მოცემულ სიტუაციაში არჩევნების საშუალებით ხელისუფლების შეცვლა წარმოუდგენია, რადგან საარჩევნო გარემო ამის არანაირ რესურსს არ იძლევა. ამას უახლოესი წარსულის მაგალითებიც ცხადყოფს, როცა თითქმის ყველა არჩევნები არადემოკრატიულად ჩატარდა.

**— პოლიტიკოსების უმრავლესობა თანხმდება, რომ ქვეყნის განვითარებისთვის რევოლუციები, ქუჩის აქციები, გამართლებული არაა?**



— მინდა გითხრათ, რომ საქართველოსთვის ყველაზე დამღუპველი სწორედ ისაა, რაც დღეს ხდება, როგორი ხელისუფლებაც გვყავს და როგორი განუკითხაობაცაა სახელმწიფოში. მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდია ქვეყნის პირველი მტერი, ისინი ანგრევენ ანადგურებენ, ყველაფერ ქართულს, ყველაფერ იმას, რასაც ქართული სურნელი ასდის. ამიტომ არც ერთ ნორმალურ პოლიტიკოსის მხრიდან ქუჩის აქციების უდიერად მოხსენიება არ შეიძლება. მიხეილ სააკაშვილს გამოსვლამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, იგი მზადაა საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად მთლიანად ქართველი ერი გაწიროს. ეს კი საქართველოს, ქართველობას კარგს არაფერს მოუტანს.

**რეზო ესაძე, „სახალხო კრების“ერთ-ერთი ლიდერი:** მიხეილ სააკაშვილის 2012 წლის მოხსენება იმით იყო გამორჩეული, რომ გამორჩეული არაფრით იყო.



მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლას ენთუზიაზმით ველოდი, თუმცა შემდეგ საქმე ისე წავიდა, რომ ყურს არ დავუჯერე, როცა სამოქალაქო საზოგადოება დაყვეს ჩარეცხილებად და ჩაურეცხავებად. როგორ შეიძლება საკუთარ ხალხთან ასე ურთიერთობა, მათი ასეთი შეურაცხყოფა, პიროვნებების ასე დამცირება. უპირველეს ყოვლისა, მე ვარ ქართველი ამ ქვეყნის მოქალაქე და კეთილი ინებოს მიხეილ სააკაშვილმა და დამელაპარაკოს ნორმალურად, ადამიანურ ენაზე.

**ლუკა კურტანიძე, „სახალხო კრების“ ერთ ერთი ლიდერი:** პირველ რიგში, სააკაშვილის გამოსვლამ ცხადყჰო, რომ ის არსად წასვლას არ აპირებს. მისი მხრიდან პარლამენტში გამოსვლა უმცირესობის დეპუტატებსა და ქართველ ხალხი აბუჩად, მასხარად აგდება იყო. დამერწმუნეთ, ოპოზიციას თავის დროზე საპარლამენტო მანდატებზე უარი რომ არ ეთქვა, ასეთ საცოდავ მდგომარეობაში აღარ აღმოჩნდებოდა, იქნებოდა გაცილებით მძლავრი და უმრავლესობაც ასეთი გათავხედებული არ იქნებოდა.

**— სააკაშვილის თქმით, 2012 წლის არჩევნები იქნება ყველაზე ლიბერალური და თავისუფლი. თუმცა ბატონო ლუკა, თქვენი თქმით, ხელისუფლება დემოკრატიულ არჩევნებს არ დაუშვებს, მაშ, რატომ გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა ასეთი განაცხადი?**

— ეს იყო დიპლომატიური კორპუსის თვალის ასახვევად გაკეთებული გზავნილი, თითქოს სააკაშვილის გუნდში დემოკრატები არიან და საქართველოში ლიბერალურ პრინციპებს ამკვიდრებენ.

**— ბიძინა ივანიშვილი არჩევნების გზით აპირებს ხელისუფლების შეცვლას, როგორია თქვენეული ხედვა, რა ფორმით გეგმავთ წარმატების მიღწევას?**

— „სახლხო კრებამ“ და კრებაში შემავალმა თითოეულმა წევრმა ბრძოლა დღეს კი არ დაიწყო, არამედ წლებია იბრძვის არსებული დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. ყველამ კარგად დაინახა, კრება რასაც ამბობს, იმას ქმედებით ამტკიცებს. ჩვენ არათუ ხელი არ შეგვიშლია არც ერთი პროცესისთვის, რომელიც სიტყვით ან, მით უფრო, საქმით მიმართული იყო რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ მეტიც, ყოველთვის ვცდილობდით ხელი შეგვეწყო ამ პროცესებისთვის, იმის მიუხედავად, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა „სახალხო კრებას“ ამა თუ იმ ძალის მიმართ.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას რაც შეეხება, „სახალხო კრება“ თავიდანვე მიესალმა მის გამოჩენას, თუმცა კრებას აქვს ხელისუფლების შეცვლის მისეული გეგმა. ჩვენ ვამბობთ ასეთ რამეს-რეჟიმის შესაცვლელად აუცილებელია ერთიანი სამოქალაქო ფრონტის ჩამოყალიბება, როგორ, რა გზით მოხერხდება, ეს დასალაგებელია.

**— ბატონო ლუკა, უახლოესი წარსული ცხადყოფს, რომ ოპოზიციის ერთობა ვერ ხერხდება?**

— შემოდგომამდე ჯერ კიდევ



დიდი დროა, ყველაფერი წინაა. ყველამ კარგად იცის, ვინ არის მებრძოლი ორგანიზმი, მებრძოლი ადამიანები და კრება ნაბიჯ- ნაბიჯ დიდი მოთმინებით მიდის იმისკენ, რომ მოხდეს პროცესების გარდატეხვა და იმედია, საზოგადოება სწორ არჩევანს გააკეთებს.

**მირანდა ნაბახტეველი**

## „ქართული ოცნების“ ახალგაზრდები დედის დღეს სანდრო გირგვლიანის დედის საფლავთან აღნიშნავენ



3 მარტს დედის დღის აღნიშვნას „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთა სანდრო გირგვლიანის დედის — ირინა ენუქიძის საფლავზე მისვლითა და ყვავილების მიტანით აპირებს. მათი აზრით, ირინა ენუქიძის გმირობა, რომელმაც უკან არ დაიხია სამართლიანობისათვის ბრძოლაში და შვილის მკვლელების წინააღმდეგ, მაგალითი უნდა გახდეს ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც შიშის გამო უარს ამბობს, შეეწინააღმდეგოს ძალადობას და მიაღწიოს სამართალს, — აცნობეს „მედიანიუსს“ „ქართული ოცნებიდან“.

## „მე-9 არხის“ დირექტორად კახა ბექაური დაინიშნა



ტელეკომპანია „მე-9 არხის’’ გენერალურ დირექტორად კახა ბექაური დაინიშნა. ამის შესახებ ინფორმაციას მედია.გე ავრცელებს.

კახა ბექაურმა, რომელიც 2010 წელს ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალური დირექტორი იყო, აღნიშნულ ინფორმაციაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

„ორშაბათს, 5 მარტს, ჩავატარებ პრესკონფერენციას და ყველა კითხვას იქ გავცემ პასუხს“, - აღნიშნა ბექაურმა.

აქამდე ტელეკომპანიის დირექტორი ლაშა შონია იყო. საჯარო რეესტრის სააგენტოს დოკუმენტაციაში ტელეკომპანიის დირექტორად ისევ ლაშა შონიაა მითითებული.

კახა ბექაური ტელეკომპანია “მაესტროს” გენერალური დირექტორი იყო. ბექაურმა ეს თანამდებობა 2010 წლის 31 დეკემბერს დატოვა, მას შემდეგ, რაც „მაესტროს“ მმართველი კომპანიის დამფუძნებელი ეროსი კიწმარიშვილი ტელეკომპანიის საინფორმაციო პოლიტიკაზე ზეწოლაში დაადანაშაულა.

ბექაური ბოლო პერიოდში ინტერნეტ ტელევიზიის დაარსებას გეგმავდა. ამის შესახებ მან პრესასთანაც ისაუბრა.

„მე-9 არხი“ (შპს „იგრიკა“) ამჟამად საერთო საკაბელო და სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზიას ფლობს.

ტელეკომპანიის 100-პროცენტიანი წილის მესაკუთრე ბიძინა ივანიშვილის მეუღლის, ეკატერინა ხვედელიძის კომპანია შპს „აქცეპტია“. „აქცეპტმა“ შპს „იგრიკა“ 20 ათას ლარად ტელეკომპანია „მაესტროს“ დირექტორ, ილია კიკაბიძისგან 2012 წლის 18 იანვარს შეიძინა.

## ბარაკ ობამა: მე არ ვიტყუები ირანთან დაკავშირებით



აშშ-ის პრეზიდენტის ბარაქ ობამას განცხადებით, ის არ იტყუება, როდესაც ირწმუნება, რომ ირანის მიერ ბირთვული იარაღის ფლობა-მიუღებელია. ამის შესახებ „ბი-ბი-სი’’ იუწყება.

მისი თქმით, ირანმა და ისრაელმა უნდა გააცნობიერონ, რომ ის სინამდვილეში იმას გულისხმობს რასაც ამბობს.

ობამა ირანზე დარტყმის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

თუმცა აშშ-ის პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ დარტყმის შემთხვევაში თეირანს საფუძველი ექნება მსხვერპლის როლში წარმოიდგინოს თავი, რითიც სიმპათიებს მიიზიდავს.

„მედიანიუსი“

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

*გვესაუბრება „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე* ***მამუკა გიორგაძე***

**-ბატონო მამუკა, როგორი შთაბეჭდილება დაგიტოვათ პრეზიდენტის გამოსვლამ და პარლამენტში შემდეგ გამართულმა დებატებმა?**

-სრულიად ვეთანხმები პრეზიდენტის დასკვნას, ჩავაბულბულეთ დღევანდელი დღეო რომ თქვა. მართლაც ჩააბულბულეს, -შეიქმნა წარმოდგენა, თითქოს პოლიტიკური ცხოვრება დუღს პარლამენტში. მთელმა მსოფლიომ დაინახა, რა დემოკრატიაა თურმე ჩვენთან. პრეზიდენტმა გააგზავნა მთავარი მესიჯები იქ, სადაც მას სჭირდებოდა. ასე რომ, სააკაშვილი უკმაყოფილო ნამდვილად არ უნდა იყოს. შეიძლება ბოლომდე არ იყო გათვლილი მისი ნერვების ასე გაღიზიანება. მაინც პირდაპირი ეთერია და როგორც არჩევნებზე იღებენ ხმებს, 107 ან 115-პროცენტით, მთლად ისე არ გამოვიდა *(იცინის)*. მაგრამ სხვა მხრივ, ყველაფერი ბრწყინვალედ ჩაატარა სააკაშვილმა. გაუგზავნა რუსეთს მესიჯი, თქვენი ვარ, ოღონდ დამტოვეთ და ყველაფერს გავაკეთებ თქვენთვისო, ანუ კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ერთგულება. „ნაცმოძრაობას“ უთხრა, რომ თქვენი პატრონი მხოლოდ მე ვარ, სხვა არავინ არ დაგიცავთ და ისევ ჩემი მზე იფიცეთ. მე კი ყველაფერს გავაკეთებ, რომ თქვენი კეთილდღეობა გარანტირებული გავხადოო და ყველაზე დიდი ტაშიც ამ დროს მიიღო. რა თქმა უნდა, აფხაზეთი, სამაჩაბლო, ცხინვალის რეგიონი არც გახსენებია, იმიტომ, რომ ეს თემა მისთვის უკვე ამოწურულია, ჩააბარა რუსეთს ეს ტერიტორიები და ახლა იქიდანაც საპასუხო ხელშეწყობას ელის ხელისუფლებაში დასარჩენად.

**ამ გამოსვლის შემდეგ, პრაქტიკულად, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ეს მთავრობა ბოლშევიკური მმართველობის გაგრძელებაა.**

ბოლშევიზმი ეს ცხოვრების წესია. შეიძლება იდეოლოგია შეიცვალოს, იყოს მარქსიზმი, ლენინიზმი ან ფსევდო-ლიბერალიზმი, მაგრამ ცხოვრების წესით ესენი ბოლშევიკების ნაშიერები არიან და შესაბამისად, იქცევიან ისე, როგორც იქცეოდნენ ბოლშევიკები. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ მოქმედება. ეს იგივეა, თავის დროზე ქართველ ხალხს რომ ეთქვა, — როსტომ-ხან, ნუ იქცევი ასე, ან დაუდ-ხან, წესიერად მოიქეცი, შენ შეცდომებს უშვებ. ასე ნამდვილად არ შეიძლებაო.

**-რა იყო ის სათქმელი, რაც ოპოზიციას უნდა ეთქვა სააკაშვილისთვის და არ უთქვამს?**

-ძალიან მარტივია. სააკაშვილი იქცევა ადეკვატურად, მაგრამ ოპოზიცია არა. თუ მიგაჩნია, რომ ეს ხელისუფლება არის არალეგიტიმური, ტოტალური გაყალბების გზით მოსული. თუ მიგაჩნია, რომ ის არის სხვა ქვეყნის მარიონეტი, თავისი ბუნებით ანტი-სახელმწიფოებრივი, მოქმედების და ცხოვრების წესით ტირანული, შინაგანი თვისებით ანტიმართლმადიდებლური და ანტიქართული. შეცდომებზე, შენიშვნებზე და რეფორმების მიმდინარეობის საკითხებზე კი აღარ უნდა ესაუბრო, არამედ უთხრა, რომ შენ ხარ დამნაშავე და უნდა წახვიდე. ისე კი არ უნდა წარმოაჩინო, თითქოს რაღაც შეცდომები იქნა დაშვებული რეფორმების გზაზე და მეტი არაფერი. არ უნდა თქვა, რომ პატრული ძალიან კარგია, მაგრამ აი, ამ ნაწილში ცდება, განათლების რეფორმა კარგია, მაგრამ აი, ლოტოტრონი არ ვარგა და მსგავსი სხვადასხვა საკითხები. ამ დროს, პირდაპირ, მკაცრად უნდა დასვა საკითხი და შესაბამისად ქმედებაც განახორციელო. სააკაშვილს ვირტუალურ ბრძოლაში კი არ უნდა აჰყვე, შენს მოედანზე უნდა გადმოიტანო თამაში, ინიციატივა შენ აიღო ხელში. არა ის, რომ სააკაშვილმა მოგახვიოს თავისი თამაშის წესი და ჩვენ ვიმსჯელოთ ახლა იმაზე, ავღანეთში ქართველი ჯარისკაცები 20-ში დაგველუპნენ თუ 21-ში. ოპოზიციის ტაქტიკა უნდა იყოს მისთვის ინიციატივის წართმევა. მას ჩვენ უნდა შევთავაზოთ თემები. იქით უნდა ჩავაყენოთ დაცვის პოზიციაში. დღეს ჩვენ ვიცავთ თავს. ყველა თავს იმართლებს ან ქილიკობს, ან თავისი თავი მოსწონს, რა კარგად თქვა რაღაც. ზოგიერთი ისეთი ფრაზა ითქვა, რომ მეც ძალიან დიდი სიამოვნებით ვისმენ ხოლმე, მაგრამ შემდეგ ქმედება არ არის. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ეს რეჟიმი ფლობს ინიციატივას, აქეთ არის შეტევაზე გადმოსული. ქართველი ხალხი თუ მთელი ოპოზიციური სპექტრი კი თავდაცვის რეჟიმშია ჩაყენებული და ვკამათობთ ხუთი წელიწადია, არჩევნები თუ აქციები. თითქოს ეს რაიმე განსაკუთრებული მოვლენა იყოს. ერთიც და მეორეც ბრძოლის საშუალებაა. დაგჭირდება, აქცია უნდა ჩაატარო, დაგჭირდება არჩევნები-არჩევნებზე უნდა წახვიდე. თუ საჭიროა დებატებშიც უნდა მოუგო და მახვილსიტყვაობაშიც მომზადებული იყო. ჩვენ ხშირად ერთმანეთში ვურევთ მიზნებს და საშუალებებს. რატომღაც წინა პლანზე გამოდის საშუალება, არა ბატონო, საშუალება მიზნის მისაღწევად არსებობს.



**-დიახ, მაგრამ ხომ არსებობს საშუალება, რომელმაც, შესაძლოა, მიზნამდე სულაც არ მიგიყვანოს? ამ შემთხვევაში ვგულისხმობ არჩევნებს და მისი საშუალებით სააკაშვილის შეცვლას..**

-მიზნამდე რაც მიგიყვანს, ის ნაბიჯები უნდა გადადგა. შესაბამისად, თავისთავად საშუალების წინა პლანზე წამოწევა არასწორია. ზამთარში პალტო შეუცვლელია, მაგრამ ზაფხულში არ გვჭირდება არაფერში, ამიტომ გადავაგდოთ? ამიტომ, არჩევნები იქნება, აქციები, დებატებში მონაწილეობა თუ პრესაში აქტიურობა, ესენი ყველა საშუალებებია და ყველა მათგანი უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ შედეგს მივაღწიოთ. მაგრამ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რა არის ჩვენთვის შედეგი. სააკაშვილის წასვლაა შედეგი ჩვენთვის თუ ქართული სახელმწიფოს აშენება?! თუ სააკაშვილის წასვლაა შედეგი, მაშინ ქვა-ქვაზეც ნუ დარჩენილა საქართველოში და შესაძლებელია, რომ რაღაც სხვა ნაბიჯები გადავდგათ. თუ ჩვენთვის სააკაშვილის წასვლა საშუალებაა, იმისათვის, რომ ქართული სახელმწიფო ავაშენოთ, მაშინ დღესვე შევთანხმდეთ იმაზე, თუ რა არის ქართული სახელმწიფოს საფუძვლები. რა გვიშლის ხელს იმაში, რომ ქართული საზოგადოება და ოპოზიციური სპექტრი შევთანხმდეთ, თუ რა რეფორმებია საჭირო კონსტიტუციაში. რა გვიშლის ხელს შევთანხმდეთ იმაში, რა ღირებულებებს უნდა ეფუძნებოდეს მომავალი ქართული სახელმწიფო? ამაში ხომ ვერ შეგვიშლის ხელს სააკაშვილი, მაგრამ რადგან ამას არ ვაკეთებთ, ე.ი არ ვფიქრობთ, მომავალ ქართულ სახელმწიფოზე და მთელი ენერგია გადადის სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში. მის წინააღმდეგ ბრძოლაში გადასული ენერგია კი უქმად იქნება დახარჯული, იმიტომ, რომ ამ დროს მოწინააღმდეგე ახალ სააკაშვილს შემოგიგდებს. რვა წლის წინანდელ მწარე გამოცდილებაზე მაინც ვისწავლოთ. ვინც გინდა ის, ოღონდ შევარდნაძე არა,-მაშინ ასე დაისვა საკითხი. შესაბამისად, მოვიყვანეთ სააკაშვილი და უარესი სიტუაციაში აღმოვჩნდით. არავის არ უკითხავს სააკაშვილისთვის, აბა, რა გეგმები ან რა პროგრამა გაქვს?კონსტიტუციას როგორ ცვლი? როგორ უყურებ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას? -დავამარცხებ კორუფციას, წავართმევ შევარდნაძეს მოგცემთ თქვენო, გაიძახოდა. წაართვა იმას, მაგრამ ხალხისთვის არაფერი მიუცია.

# aranairi dasavluri mfarvelebi saakaSvils ar hyavs _ is emsaxureba rusebs da rusebis miTiTebiT axorcielebs antiqarTul proeqtebSi



**-მაშინ არ უკითხავთ, მაგრამ როგორ ფიქრობთ, დღეს რა გეგმა აქვს სააკაშვილს, ან რომელ ლოგიკაში ჯდება, რომ ქვეყანას, რომელსაც ოკუპანტს ეძახი და მისი ჯარი ჯერაც თბილისიდან 20 კილომეტრში გყავს, სავიზო რეჟიმი გაუუქმო?**

-ყველაზე საუკეთესო პარტნიორი რუსეთისთვის საქართველოში არის მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი. ყველანაირად ემსახურება რუსეთის ინტერესებს და ბუნებრივია, რუსეთიც ცდილობს, რომ ხელი შეუწყოს მისი ძალაუფლების გამყარებას საქართველოში. დანარჩენი ყველაფერი ხდება ამ გეგმის შესატყვისად. თუნდაც ეს ისტერიკამდე მისული ლანძღვა-გინება, ერთი რომ ლილიპუტს ეძახის და მეორე ერთი ადგილით დაკიდებას პირდება. სინამდვილეში ისინი ერთმანეთს ეხმარებიან და ამის ნათელი გამოხატულებაა ეს იდეაც. ერთის მხრივ, ეძახი ოკუპანტს და მეორეს მხრივ ეუბნები: ბატონო ოკუპანტებო, მობრძანდით და გვიყიდეთო. წარმოვიდგინოთ ახლა, მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინს რომ ეთქვა, ბატონო კრუპოვ, კი აკეთებთ ფულს გერმანიაში, მაგრამ, მოდით, ეს ფული დააბანდეთ საბჭოთა კავშირშიო და კრუპოვიც, ჰიტლერის ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებელი რომ ჩამოსულიყო რუსეთში და დაეწყო საბჭოთა კავშირის ენერგეტიკის შესყიდვა. ხომ კომიკური სიტუაციაა? არანაირი დასავლური მფარველები სააკაშვილს არ ჰყავს, ის ემსახურება რუსებს და რუსეთის ნებართვით მონაწილეობს სხვა ანტი ქართულ პროექტებშიც, ვისიც არ უნდა იყოს ის. როცა მთელ მსოფლიოში შენ თვითონ დაიწყებ „პიარს“, რომ კრიმინალი ერი ვართ და ყოველი მეორე ქართველი დამნაშავეა, ბუნებრივია, მთელი მსოფლიო ასე შემოგხედავს. იმიტომ, რომ მათ ფსიქიკაში არ ზის, როგორ შეიძლება კაცი თავისი ქვეყნის წინააღმდეგ წავიდეს. როგორ შეიძლება იმის კეთება, რაც ხდება ბათუმში ან სხვა რეგიონებში, ეს ხომ საქართველოს გეგმაზომიერი ნგრევაა. ჩვენ მიწის გაყიდვის ან გასხვისების წინააღმდეგი კი არ ვართ, მაგრამ მისი გასაყიდად გამოტანა მაშინ, როდესაც მისი მყიდველი მხოლოდ და მხოლოდ არა ქართველია, ეს დანაშულია. როცა იცი, რომ იმ ბინების მყიდველები ბათუმელები არ არიან და მხოლოდ თურქი ან სხვა ეროვნების წარმომადგენელი შეიძენს, დანაშაულია. ეს არის გეგმაზომიერი ხელოვნური დემოგრაფიული ცვლილება ქართული სახელმწიფოსი. იგივე „ლაზიკის“ თემატიკა.. ის ხომ ელემენტარულად დემოგრაფიულ სურათს შეცვლის. მე ბათუმი ბათუმელების გამო მიყვარს, სამეგრელო მეგრელების გამო, გურია გურულების გამო და თუ ეს მოიშალა, აირდაირია,

**თუ განსხვავება ვერ ვნახე ჩოხატაურსა და წალენჯიხას შორის, საქართველო უკვე აღარ იქნება საქართველო.**

ამას გამოიწვევს სწორედ ხელოვნური ცვლილებები.დავკარგავთ ჩვენს მრავალფეროვნებას და თვითმყოფადობას. აი, აქეთ მივდივართ სწორედ და ახლა საჭიროა ამისთვის რეალური წინააღმდეგობის გაწევა. კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბება, თუ რითი უნდა შეიცვალოს ეს. მერე კი არა, ახლა უნდა ჩამოვყალიბდეთ. თითოეული პარტიის მხრიდან უნდა დაიდოს დოკუმენტალურად, თუ როგორ ხედავს საქართველოს მომავალს, შეჯერდეს ეს ყოველივე და ამით გავაგრძელოთ ბრძოლა საბოლოო მიზნამდე. ამ დროს კი ჩვენთან რა ხდება?-ვინ ვის დაელაპარაკა, ვინ ვისთან თანამშრომლობს, ვინ ვის უთხრა უარი და ა.შ. ე.ი. მიმდინარე პროცესებზე მახვილდება ყურადღება და არა ფუნდამენტალურ საკითხებზე. ასეთ დროს ყოველთვის მოწინააღმდეგე იგებს, იმიტომ, რომ ის თავის სტრატეგიულ ხაზს მიჰყვება. დღეს შეიძლება უკან დაიხიოს, ხვალ წინ წამოვიდეს, მაგრამ მაინც გეგმის მიხედვით მოქმედებს. ჩვენ კი ასეთი სტრატეგიული ხაზი არ გაგვაჩნია და ამიტომ, როგორც დინებას მიყოლილი ნაფოტი, ხან სად შევეხეთქებით, ხან სად და ამ შეხეთქებებს შორის, სულაც არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ჩვენც გავხდეთ სუბიექტი, ვისწავლოთ ცურვა და მივიდეთ იმ წერტილამდე, საითაც გეზი გვაქვს.

**ლელა არაბული**

# Tu daakvirdiT vin wamoxta `gaiSniki~ cagareiSvilisgan prezidentis dasacavad? _ univermaRis direqtori eldari!

**გვესაუბრება მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი:**

**— ბატონო თემურ, პრეზიდენტმა პარლამენტს ანგარიში წარუდგინა. მან ახალ ინიციატივებსა და გამოწვევებზეც ისაუბრა, რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე და რას უპასუხებდით პრეზიდენტს საპარლამენტო ოპოზიციაში რომ ყოფილიყავით?**

— პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლაზე, ლაკონურად გიპასუხებთ, ქვეყნისთვის და სააკაშვილისთვისაც სჯობდა ეს გამოსვლა საერთოდ არ შემდგარიყო. მისი გა-



მოსვლიდან 48 საათი გავიდა და ამ თემაზე ერთი კომენტარიც არ გამიკეთებია. პირველი კომენტარი, რომელსაც გავაკეთებ, თქვენი გაზეთით მოხდება. ყველა სააგენტოს და გაზეთს უარს ვეუბნებოდი მარტივი რამის გამო — ემოციური განწყობით არაფერი არ უნდა თქვა, პოლიტიკაში გონებაა მთავარი. ჩვენი პოლიტიკა ემოციაზეა აგებული, საქართველოში გონებადაკარგული პოლიტიკა გვაქვს. სააკაშვილის გამოსვლა თავიდან ბოლომდე ემოციური, გონებადაკარგული იყო. ეს მოხსენება, წესით ანგარიში უნდა ყოფილიყო, რისი მსგავსიც ვერაფერი მოვისმინე. მეორეც, მოხსენება სისტემაზე ორიენტირებულია, როგორ უნდა შეიცვალოს ხვალ ქვეყანა. ერთი თვის წინ მთავრობამ 10 პუნქტიანი გეგმა ახსენა, პარლამენტში პრეზიდენტმა ხუთ პუნქტს შემოგთავაზებთო, თუმცა რეალურად სამი მოვისმინეთ, იგი განათლებას, სოციალურ საკითხებს და სოფლის მეურნეობას შეეხო. ეს ყველაფერი ტყუილით იყო გადაჭედილი. სააკაშვილს საკუთარი ტყუილების თავად არ სჯერა, მაგრამ ჩვენ გვაჯერებს. ეს ტრაგედიაა. მარტივ მაგალითს მოვიყვან: სააკაშვილმა თქვა ბოლო პერიოდში ქვეყანაში 100 ათასი სამეწარმეო სუბიექტი შეიქმნაო. რეალურად, საქართველოში სულ 600 ათასი ადამიანია დასაქმებული, აქედან 300 ათასი ბიუჯეტიდან იღებს ხელფასს. ეს კატასტროფული მაჩვენებელია. ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანთან, რომელმაც 20-ე საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში ორი ყველაზე დიდი ტყუილი, აფიორა ჩაიდინა, ესენია: დაპირება მილიონი სამუშაო ადგილის შექმნის თაობაზე და საქართველო სიღარიბის გარეშე. მილიონი სამუშაო ადგილის დაპირების დროს იგი უმრავლესობის ლიდერი და ფრაქცია— მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელი იყო. მას მისი მოღვაწეობის ეს პერიოდი ბიოგრაფიიდან ამოშლილი აქვს. რეალურად, მილიონი სამუშაო ადგილის ნაცვლად, ქვეყანაში მილიონ ნახევარი უმუშევარი შეიქმნა, ხოლო 1 მილიონი ქვეყნის გარეთ გავიდა. რაც შეეხება საქართველოს სიღარიბის გარეშე. პლატონი და არისტოტელე ამბობდნენ — გეშინოდეთ ხალხის ენაზე მოლაპარაკე პოლიტიკოსის, ისინი ხალხს აბრუებენ და მხოლოდ სკამზე ფიქრობენო. დღეს, ქვეყანაში თავის ენაზე მოლაპარაკე პრეზიდენტი მოსწონთ, რომელსაც უხარია თუ ვინმეს დაიჭერს, თუ იტყვის — პენსიას გაგიზრდით, ტრაქტორს მოგცემთო და ა.შ. აქედან პრეზიდენტის საქმე არცერთი არ არის. რაც სააკაშვილმა პარლამენტში ისაუბრა 90 პროცენტი ნორმალურ ქვეყანაში, პრეზიდენტის საქმე არ არის. არცერთ რეფორმატორულ ქვეყანაში, მსგავს თემებზე პრეზიდენტი არ საუბრობს. თქვენი გაზეთის მეშვეობით დემოკრატიული ქვეყნების ელჩებს მინდა მივმართო — სააკაშვილის გამოსვლა სოციალური დემაგოგია იყო. მან ამ გამოსვლით საქართველო ფოჩიანი კანფეტებით სავაჭრო ადგილად აქცია. ელემენტარული გათვლებით, დღეს ქვეყნის ბიუჯეტი 7-8 მილიარდის ნაცვლად 26-30 უნდა იყოს, პენსია 5-ჯერ მეტი. ხშირად მესმის, რა ქნას სააკაშვილმა, რაც შეუძლია აკეთებსო. კი, ბატონო, მადლობა ამისთვის, მაგრამ თუ ამაზე მეტი არ შეუძლია, იგი ქვეყნის პრეზიდენტი არ უნდა იყოს.

თუ გინდა ქვეყანა დაწყევლო გოკა გაბაშვილის, წიკლაურისნაირი ხალხი უნდა გაუგზავნო ხელისუფლებაში. 95 პროცენტი ბიზნესმენები არიან. შეიძლება ტრიბუნასთან ყოველთვის გაბაშვილი, წიკლაური გამოდიოდეს. ეს იმიტომ ხდება, რომ სხვებს ლაპარაკი არ შეუძლიათ, უბრალოდ ფულის ტომრები არიან. ვიცე-სპიკერების დრო დადგაო და არცერთი მათგანი არ გამოიყვანეს. რატომ არ გამოიყვანეს ტრიბუნასთან რჩეულიშვილი? — იმიტომ, რომ ერთი თვის წინ ხალხმა მოითხოვა დაიჭირეთო. ხალხი საუბრობს, რომ პრეზიდენტი გაიქცა პარლამენტიდან. ჩემთვის ეს მნიშვნელოვანი არ არის, არამედ ის, რომ ეს არ იყო ანგარიში, არ იყო რეფორმატორული, არ იყო მომავალზე ორიენტირებული, ეს იყო ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა — ვაუჩერს მოგცემთ, დაგაზღვევთ და ა.შ. ხალხს მინდა მივმართო — პენსიას, ხელფასს ეკონომიკა ზრდის. მიმოიხედეთ ირგვლივ სოფელსა თუ ქალაქში რა მდგომარეობაა. სააკაშვილმა რომ ბრძანა სოფელი აყვავდაო — კარგად დააკვირდით რა აყვავდა სოფელში. ამერიკის ელჩს მინდა მივმართო — რა დაინახა სააკაშვილში თანამედროვე რეფორმატორის? აშშ-ში პრეზიდენტი რომ გამოვიდეს და ხალხს უთხრას ტრაქტორს მოგცემთო, ეს ხომ წარმოუდგენელია.

**— როგორ მოგეწონათ საპარლამენტო ოპოზხიციის გამოსვლა?**

— ოპოზიციამ გასულ წლებთან შედარებით ბევრი რამის თქმა გაბედა. თუმცა, მათ არ ჩათვალეს საჭიროდ 26 მაისს დატრიალებული მოვლენების ხსენება. დღეს, ლევან სანიკიძე ცოცხალი რომ იყოს იტყოდა, ამაზე დიდი სირცხვილი საქართველოს არ ჰქონია. საქართველოს თავისუფლების დღეს, პრეზიდენტმა, რომელიც ომის დროს მიწაზე დაწვა, ალლუმი მიიღო. გვყავს პოლიტიკური პატიმრები, რომელიც არავის უხსენებია. ყველა პარტიას დავუგზავნეთ ანალიტიკური მასალა სააკაშვილის პრეზიდენტობის რვა წლის მოღვაწეობის შესახებ. ვინმეს მაინც ხომ შეეძლო დაესვა კითხვა — თუ ეს ციფრები მართალია, რატომ ზიხართ ამ სკამზეო? მაგრამ ეს არავინ გააკეთა. ამ დღემ დაადასტურა, რომ ნაციონალური მოძრაობა და ქრისტიან-დემოკრატები ერთნი არიან, უბრალოდ ხელოვნურად ქმნიან დაპირისპირებას. ვითომ ერთმანეთს ეჩხუბებიან, სინამდვილეში ერთმანეთს ავსებენ. ყველაზე მეტად ხელისუფლებამ გია ცაგარეიშვილს, ჯონდი ბაღათურიას დაარტყა, დანარჩენებმა ხელისუფლების სიმღერები იმღერეს.

**— ამ პიროვნებების გამოსვლის შემდეგ სააკაშვილმა მერაბიშვილი და ადეიშვილი შეიცოდა ისევ იქ ცხოვრობენ, სადაც ბავშვობაში გაიზარდნენო.**

— ვანო მერაბიშვილს მარტო ერთი სახლი კი არ აქვს, ეს დღეს დადასტურებულია. ამერიკელებმა გადაიღეს ფილმი და სააკაშვილის სახლი გვაჩვენეს. ვეკითხები ოპოზიციას — რატომ ვერ გაბედეთ ბატონებო სააკაშვილის სახლის ფოტოს მიტანა? თავის დროზე „თეთრებმა“ და „არა“-მ გამოვაქვეყნეთ ეს ფოტოები, მხილების მუზეუმი გავაკეთეთ, რომელიც ხელისუფლე-



ბას აქვს დაპატიმრებული. დღეს ხომ 1000 პროცენტით დასტურდება, რომ სააკაშვილმა სიხარულიძის ქ.№5-ში სახლი აიშენა.

**— სახლები არ უხსენებიათ, თუმცა პრეზიდენტი გაცილებით სერიოზულ წაყენებულ ბრალდებებს წარბშეუხრელი შეხვდა და არამგონია ფოტოებს აეღელვებინა.**

— პირიქით, წყობიდან გამოვიდა. ჩვენ 50 პროცენტიც არ გვაქვს მის ქონებაზე ინფორმაცია მოპოვებული, რაც მას რეალურად აქვს. სააკაშვილის ვილაზე, როგორც მოგახსენეთ ამერიკელებმა გადაიღეს ფილმი. ორი ძმა — კუბლაშვილი კალოშებით ჩამოვიდნენ ტყიბულიდან და ორი სახლი აიშენეს ბუკიას ბაღში, ეს საკამათოა? ვანო მერაბიშვილის მამა მთელ ახალციხეს მართავს, მათ შორის ახალციხის ტელევიზიაც მისია — განა ეს დღეს საკამათოა? ნახეთ, როგორ გადანაწილდა ტელევიზიებისთვის და პრესისთვის შემოსული 14 მილიონი. აქ გამოკვეთილია უგულავას, მერაბიშვილის, სააკაშვილის ინტერესები. მინისტრის მოადგილეების ცოლებს მიჰყავთ გადაცემები. მსოფლიოში სადმე თუ გინახავთ შსს-ს მინისტრის ორი მოადგილის ცოლებს გადაცემა წაეყვანათ ტელევიზიით? საქართველოში სისტემაა კორუმპირებული, ჩვენ კი პიროვნებებს ვებრძვით. სისტემა უნდა შეიცვალოს, რასაც კონკურენტული გარემოს შექმნა განაპირობებს. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა ჩვენს მოქალაქეებს ვურჩიო წაიკითხონ წიგნი „რეიგანი“ და მიხვდებიან, რას ნიშნავს სიტყვა რეფორმატორი. მისი სიტყვებია — ამერიკა კრიზისშია და იგი დილემის წინაშე დგას, ან კუჭი იმარჯვებს გონებაზე, ან გონება იმარჯვებს კუჭზე. თუ კუჭმა გაიმარჯვა ამერიკა დამთავრდება, თუ გონებამ — ამერიკა მსოფლიოში უპირველესი ქვეყანა იქნებაო. იგი ხალხს მოუწოდებდა კუჭს არ აჰყვეთო, სწორედ ამის გამო ორჯერ არ აირჩიეს პრეზიდენტად. ბოლოს 70 წლის ასაკში აირჩიეს. საქართველოში კი იმდენად კორუმპირებული სისტემაა, რომ 1992 წლიდან მოყოლებული პოლიტიკური ხელისუფლება არ შეცვლილა. მოვიდა კვლავ მაჭავარიანი, ბარამიძე, სააკაშვილი, გოგორიშვილი, წერეთელი. შევარდნაძემ უბედურება მოუტანა ქვეყანას. ჟვანიასთან ერთად ამერიკაში სომხურ, პეტერსონ ბელქნაფის ფირმაში მივიდა, სადაც სააკაშვილი მუშაობდა. ეს ლობისტი ფირმაა სომხების და აქ მუშაობდა სააკაშვილი. შევარდნაძემ, წამოიყვანა აქედან სააკაშვილი და იგი პრეზიდენტად აქცია. ამ დროს სხვებს ეძახის შევარდნაძის კადრებს.

**— პრეზიდენტმა საკმაოდ შეურაცხმყოფელი ფრაზები გამოიყენა ოპოზიციის მისამართით...**

— სამ მაგალითს მოგიყვანთ, რომლის გამოც ნებისმიერ ქვეყანაში პრეზიდენტს იმპიჩმენტს მოუწყობდნენ. პირველი — დეპუტატს კლოუნი უწოდა, მეორე — 15 წლის ბავშვზე თქვა კრმინალიაო და მესამე — ბაღათურიას უთხრა ტალახში გაგორავებენ, კარგად დაგზელენ და მაგ იდეებისგან გაგათავისუფლებენო. ერთხელ კლინტონს წამოსცდა, ჩვენსა და ხალხს შორის ოპოზიცია დგას და „დვორნიკები“ გვჭირდებაო. მას ეს არ აპატიეს და ამის გავლენით მისმა პარტიამ არჩევნები წააგო. სააკაშვილს კი ყველაფერი როდემდე უნდა შევარჩინოთ?! მისი ვიზიტი პარლამენტში მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს — ოპოზიციისგან გალახული პრეზიდენტი და პრეზიდენტისგან შეურაცხყოფილი საქართველო. ცაგარეიშვილის გამოსვლის დროს უკადრებელი იკადრა, მას გაიშნიკი უწოდა. თუ დააკვირდით ვინ წამოხტა მაშინ დარბაზში პრეზიდენტის დასაცავად? — უნივერმაღის დირექტორი ელდარი. უნივერმაღის დირექტორი გიცავს, დღეს შენ სააკაშვილო და ქვეყანაში სისუფთავეზე და წესრიგზე მელაპარაკები? ბაღათურიას ეუბნებოდნენ, „ქართულ ოცნებაში“ ჩაიწერე ქულებიო. ბაღათურია ვაჟკაცი ბიჭია, იგი არასდროს დაჩოქილი, ვიღაცასთან ხელგაწვდილი არ მინახავს და ამიტომ ვაფასებ მას. ცაგარეიშვილისგან ჩემი მიმართულებით ბევრი მწარე გამონათქვამი მახსოვს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ იგი ინტელიგენტი ბიჭია. თუ საქართველოს ასეთი ავტოინსპექტორები ჰყავდა, მაშინ ჰყოლია ავტოინსპექცია. პრეზიდენტი გვეუბნება, ნუ გგონიათ ვინმე წამიყვანსო. მისი ბედი ივანოვმა გადაწყვიტა. ჟირინოვსკის კი ფული გადაუხადა, რათა მასთან დებატებში დამჯდარიყო. სააკაშვილს არ აინტერესებს რა მდგომარეობა იქნება ქვეყანაში, იგი ამბობს, იმას, რაც ხალხში იყიდება. მას დავალება აქვს მიცემული. პირველი — ტერიტორიების დაკარგვა, უკვე შეასრულა. მეორე, ქვეყანაში სომხური გავლენის გაზრდაა.

**— ბოლოს არჩევნებზე მინდა გკითხოთ, სააკაშვილმა ოპოზიციას მიმართა, იმდენს არკვევთ რას ვაპირებ 2013 წელს, ე.ი. აღიარებთ, რომ 2012 წლის არჩევნებში მარცხდებითო.**

— სააკაშვილი იძულებულია თანამდებობისთვის იბრძოლოს იმიტომ, რომ ეშინია, იცის, პოლიტიკურ თავისუფლებას დაკარგავს. ნებისმიერ ქვეყანაში ასეთი პიროვნება უნდა გასამართლდეს, ამიტომ იგი ყველაფერზე წავა, სისხლიც შეიძლება დაღვაროს. არჩევნებში დამარცხებული კი არ ვართ, არჩევნებია გამარჯვებული. თუ ბატონი ბიძინა წესიერ ხალხს ეძებს, ძალიან ბევრ წესიერებას მან გვერდზე გაუარა და უწესოებით სავსე ხალხი ჰყავს გარშემო. დარწმუნებული ვარ, იგი ნელ-ნელა ყველაფერში გაერკვევა. მინდა საქართველოში ცვლილება განხორციელდეს, ივანიშვილის მწამს, რომ ქვეყნისთვის ძალიან ბევრს გააკეთებს.

მესამე ძალა ივანიშვილის ინტერესებში შედის. დღეს დიდი რაოდენობა ადამიანების არც კოალიციას და არც ხელისუფლებას არ უჭერენ მხარს. რაც დრო გადის ამ ხალხის რიცხვი იზრდება. სად გაიბნევა ეს ხალხი? — რა თქმა უნდა, სააკაშვილის სასარგებლო ძალებში. ამიტომ, მესამე ძალა ივანიშვილის, საქართველოს ინტერესებში შედის. ძალიან ძლიერი აღმოჩნდა „სახალხო კრება“. ნახეთ რა ხდება ევროპაში, მთელი ცივილიზებული სამყარო ქუჩაშია და აქ კიდევ ხალხს ეუბნებიან არ გამოხვიდეთ ქუჩაში, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერსო. ვერაფერს ვერ გააკეთებთ ბატონებო, ხალხის გარეშე. ეროვნული მოძრაობის დრო უნდა მობრუნდეს, როცა მოლაპარაკებაც მიდიოდა, არჩევნებიც, მაგრამ ხალხი ქუჩაში იდგა. ამ ორი პროცესის შეერთებას შეუძლია დიქტატურის დასრულება. ჩვენ ვერ ვაგებინებთ დანარჩენ მსოფლიოს რა ხდება აქ იმიტომ, რომ სააკაშვილი ზის ტელევიზიების თავზე და თავად დირიჟორობს. ეს უნდა დასრულდეს.

**თამარ შველიძე**

# linkoln mitCeli: saakaSvili aSS-sTvis Seucvleli ar aris

**DF Watch: სააკაშვილი-ობამას შეხვედრის შემდეგ განსხვავებული იტნერპრეტაციები გაჩნდა. ზოგი ამბობდა, რომ ამ შეხვედრაზე აშშ-მ სააკაშვილს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა, მაშინ როცა სააკაშვილის ოპონენტები აცხადებდნენ, რომ ობამამ მას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებისკენ და ძალაუფლების დათმობისკენ მოუწოდა.**

**ლინკოლნ მიტჩელი:** არც ერთი ინტერპრეტაცია ზუსტი არ არის. ჩვენ არ ვიცით, რა მოხდა ამ შეხვედრაზე, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო აშშ-ს მოკავშირეა, რომელიც ჯერ ერაყში გზავნიდა ჯარისკაცებს, ახლა კი ავღანეთში. ამ ყველაფრის მიუხედავად ობამას ოთხი წელი დასჭირდა სააკაშვილთან შესახვედრად. ეს დასტურია იმისა, რომ საქართველო-აშშ-ს შორის ურთიერთობები პერსონალური არ არის და სააკაშვილთან პირად კავშირებს არ ემყარება. ჩვენი ქვეყნები ჯერ კიდევ ობამას და სააკაშვილის მოსვლამდე იყვნენ მოკავშირეები და ასევე გაგრძელდება მათი პოსტებიდან წასვლის შემდეგ. ამას ვამბობ იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილი რაღაც ეტაპზე აღარ იქნება ქვეყნის სათავეში. ამიტომაც ინტერპრეტაცია, რომ ამ შეხვედრამ სააკაშვილის და აშშ-ს სიახლოვე დაადასტურა, არასწორია.

თუმცა, აშშ არც არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხზე აკეთებს მკვეთრ აქცენტს. დროსთან ერთად ყველაფერი კიდევ უფრო ცხადი გახდება. ამ დასკვნების გაკეთების საშუალებას აშშ-ს არჩევნებთან დაკავშირებული პოლიტიკა მოგვცემს, ამ საკითხზე ქვეყანაში განცხადებები უკვე კეთდება. ეს მმართველი პარტიის მიერ ხალხის დაფრთხობის სულ უფრო მეტ შემთხვევებსა და საარჩევნო კანონის ერთი პარტიის ან კოალიციის ინტერესების წინააღმდეგ ან სასარგებლოდ მორგებას უკავშირდება. თუ როგორ პასუხს გასცემს აშშ, მალე დავინახავთ. რაც შეეხება შეხვედრას, რთული სათქმელია, რა მოხდა იქ. ნამდვილად მოულოდნელი იყო, როდესაც ამ შეხვედრიდან ერთ დღეში სააკაშვილი სიტყვით გამოვიდა, სადაც მას ჰკითხეს, აპირებდა თუ არა საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ ძალაუფლების დათმობას. მან განაცხადა: „მე ამაზე არაფერს ვიტყვი, რადგან არ მინდა კოჭლი იხვი ვიყო." ობამას რომ ხაზგასმით ეთქვა სააკაშვილისთვის, რომ არ სურს მისი პრემიერ-მინისტრობა, სააკაშვილი ამ განაცხადებას ვერ გააკეთებდა.

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება საქართველოს მთავრობას შრომის კოდექსის გადახედვისკენ უბიძგებდა, რადგან ობამას ადმინისტრაცია არასოდეს გააფორმებს შეთანხმებას ქვეყანასთან, რომელიც დასაქმებულებს საქართველოს მსგავსად ეპყრობა. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში აშშ-დან იმპორტი გაგრძელდება. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით ამერიკელ მომხმარებელს ვერ აიძულებ ქართული პროდუქციის შეძენას, ხომ ასეა? საქართველოს ძალიან კონკურენტულ ბაზარზე მოუწევს გასვლა, სადაც ის უცებ ვერ შეძლებს თავისი პროდუქციის აშშ-თვის მიყიდვას. ამიტომაც ეკონომიკურ ჭრილში სიტუაცია კვლავაც რთულადაა.

მეორე საკითხი ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად ამერიკის მხარდაჭერას ეხება. ომის შემდეგ სამწელიწადნახევარი გავიდა და ამ დროის მანძილზე ამერიკას, ლაპარაკის გარდა არაფერი გაუკეთებია. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ აშშ მომავალში შეცვლის ტაქტიკას და საუბრიდან მოქმედებაზე გადავა. იგივე ითქმის ნატოზეც. აშშ კიდევ არაერთხელ დაადასტურებს თავის მხარდაჭერას საქართველოს ნატოში გაწევრიანების თაობაზე, თუმცა, ის ვერ შეძლებს ამის შესრულებას. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს შეხვედრა ფორმალობა იყო და სხვა არაფერი. აშშ სტატუს კვოს შეინარჩუნებს. არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები და, ისიც, იაქტიურებს თუ არა აშშ საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის, ჩემთვის კვლავაც ბუნდოვანია. საინტერესო იქნებოდა გვენახა, თუ რამდენად თანმიმდევრულ პასუხს გასცემდა აშშ, ვთქვათ, საქართველოში ოპოზიციური პარტიების აქტივისტების დაშინებას რომ ჰქონდეს ადგილი. ეს, რა თქმა უნდა, ხდება. ჯერ კიდევ არ არის ნათელი, რას განაცხადებს აშშ საჯაროდ, როდესაც საქართველოში ჩამოვა და სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი გახდება.



მათ ტრანზიციაზე ისაუბრეს, თუმცა პირდაპირობა აკლდათ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ ჰაერშია გამოკიდებული. მოულოდნელი იყო, რომ შეხვედრიდან ერთ დღეში სააკაშვილმა კიდევ ერთხელ განაცხადა: „არ ვაპირებ გავხდე კოჭლი იხვი", რაც შემდეგს ნიშნავდა: „არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ პრემიერ-მინისტრი არ გავხდები." ობამასთან შეხვედრისას საუბრის ენა მეტად მკაცრი რომ ყოფილიყო, სააკაშვილი ამას არ იტყოდა. შეხვედრიდან მეორე დღეს მას არ უთქვამს „მე ამას არ გავაკეთებ". მას არ განუცხადებია, რომ ამას გააკეთებს, თუმცა არც ის უთქვამს, რომ არ გააკეთებს. აშშ-ს მხრიდან მესიჯი უფრო მკაცრი რომ ყოფილიყო („შენ ვერ გააკეთებ ამას"), სააკაშვილი აი, რას განაცხადებდა: „მე ამას არ გავაკეთებ." ეს არ უთქვამს, რადგან აშშ-მ მას ამისკენ არ უბიძგა.

**DF Watch: თუმცა, საქართველოში სააკაშვილი საკმაოდ განსხვავებულ განცხადებებს აკეთებს. მაგალითად, ის ათი-თხუთმეტი წლით იყურება მომავალში და 2025 წლის გეგმებზე საუბრობს. აქ ყველა დარწმუნებულია, რომ ის და მისი პარტია აქტიურად ეძებენ გზებს მომავალში სააკაშვილისთვის ძალაუფლების შესანარჩუნებლად. როგორი რეაქცია ექნებოდა აშშ-ს მისი გაპრემიერების შემთხვევაში?**

**ლინკოლნ მიტჩელი:** თქვენი ანალიზი ნამდვილად სწორია. ქართველები, რომელთაც მე ვესაუბრები, ანალოგიურად ფიქრობენ. არა მგონია აშშ-მ მას დღესვე უთხრას, რომ ამის გაკეთება არ შეუძლია. თუმცა, არჩევნებამდე შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს. ასეც მოხდება, თუ ამერიკის მთავრობა უკეთ გაეცნობა სიტუაციას. ასე მოხდება თუ ამერიკაში უკეთ გაიცნობენ ქართული ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელს და მათ მიმართ ნდობით ალიჭურვებიან (რაც ვფიქრობ რომ რეალურია), ასე მოხდება თუ საქართველოს ხელისუფლება წინასაარჩევნოდ შეცდომებს დაუშვებს, რაც ამერიკისთვის იქნება მესიჯს, რომ ის კარგი პარტნიორი არაა.

კიდევ უფრო სახიფათო იქნება, თუ მოსალოდნელი არჩევნები სამართლიან გარემოში არ ჩატარდება და რესურსები მთლიანად ხელისუფლების მხარდაჭერას მოხმარდება. ყველაზე სერიოზული გამოწვევა ახლა ისაა, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების პირობებში არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ სააკაშვილის პარტია მცირედი განსხვავებით გაიმარჯვებს, რაც მათ სააკაშვილის გაპრემიერების შანსებს დაუკარგავს. მე, როგორც ამერიკელი ვისურვებდი, რომ აშშ-ს ხელისუფლებამ ყველა ღონე იხმაროს თავისი ძალაუფლების ფარგლებში, რათა სამართლიანი არჩევნების ჩატარებას შეუწყოს ხელი, ნაცვლად იმისა, რომ სააკაშვილს პრემიერ-მინისტრობაზე უარის თქმა მოსთხოვოს. თუ ეს არჩევნები კარგად ჩაივლის, ის გააცნობიერებს, რომ პრემიერ-მინისტრი ვერ გახდება. თუნდაც არჩევნებში მისმა პარტიამ გაიმარჯვოს.

**DF Watch: Asian Times-თვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ირან-აშშ-ს კონფლიქტი სააკაშვილს შეერთებული შტატებისთვის შეუცვლელს გახდიდა...**

**ლინკოლნ მიტჩელი:** ვთქვი, რომ ეს სააკაშვილს შესაძლებლობას მისცემდა წასულიყო აშშ-ში და ეთქვა, რომ შეუცვლელია. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ აშშ-თვის შეუცვლელია. საქართველოში არაერთი ლიდერია, რომელსაც შესწევს ძალა იყოს აშშ-ს კარგი მოკავშირე, როგორც პარტიის შიგნით, ასევე მის გარეთ. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საქართველოსთან მიმართებაში ყველაზე ღირებული აშშ-ს მხარდამჭერი ლიდერის ყოლაა, რომელსაც ამასთანავე დემოკრატიული ლეგიტიმაცია ექნება. თუ სააკაშვილი იქნება ასეთი, რატომაც არა. თუ ასეთი ივანიშვილი, ალასანია ან უგულავა იქნება, ესეც მისაღები იქნება. ანუ აუცილებელი არაა, ეს ლიდერი სააკაშვილი იყოს. თუმცა, ვფიქრობ შეერთებულ შტატებში არიან ისეთებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ სააკაშვილი შეუცვლელია. მე მჯერა, რომ თუ ის ჩამოვა ამერიკაში და იტყვის „მე შეუცვლელი ვარ", ზოგიერთი მას ნამდვილად დაუჯერებს. ამისი არ მჯერა.

**DF Watch: თუმცა სააკაშვილს მაინც შეუძლია აშშ-ირანის კონფლიქტიდან და ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების წყალობით სარგებლის მიღება?**

**ლინკოლნ მიტჩელი:** ეს ორი განსხვავებული საკითხია. ჯარები ავღანეთში რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი ფაქტორია. შეერთებული შტატებისთვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, ვფიქრობ ჩემს ქვეყანაში ბევრს არასწორი წარმოდგენები აქვს. იფიქრობენ, რომ თუ სააკაშვილი წავა, საქართველოს ავღანეთში ჯარები აღარ ეყოლება. ალიანსები ასეთი პრინციპით არ მუშაობს. თუ საქართველო მოკავშირეა, ის მხარს დაგვიჭერს და ჩვენთან ყოფნის სურვილი ექნება, განურჩევლად იმისა თუ ვინ იქნება პრეზიდენტი. ოპოზიციამ უკვე დაადასტურა, რომ გააგრძელებენ ამ პოლიტიკას. ვფიქრობ, ვაშინგტონში ზოგიერთებმა უკვე დაიწყეს გაცნობიერება, რომ ეს ჯარები ავღანეთში არა სააკაშვილის, არამედ საქართველოს და ქართველი ხალხის გამო არიან. ირანი ცოტა უფრო რთული თემაა. პირველ რიგში, ვიმედოვნებ, რომ აშშ-სა და ირანს შორის ომი არ იქნება. ეს შემზარავი მოვლენა იქნებოდა ყველა ჩართული მხარისთვის და მთლიანად რეგიონისთვის. დარწმუნებული ვარ აშშ-ში ბევრი გაიზიარებდა ჩემს პოზიციას. თუმცა, საქართველომ ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან საკვირველი მიდგომა გამოიყენა: ირანს დაუახლოვდა. მესმის სიტუაციის გეოგრაფიის და ირანის ანტი-რუსული სენტიმენტების, თუმცა, ამერიკელ ხალხს საეჭვოდ მაიჩნია ლიდერი რომელიც... ირანთან უვიზო რეჟიმის შემოღებამდე (ძალაში 2011 წლის დასაწყისში შევიდა) საქართველოში ადგილი არ ჰქონია ირანელებთან დაკავშირებულ ტერორისტულ აქტებს. თუმცა, თუ ისრაელის დიპლომატებზე თავდასხმის უკან ირანული კვალი აღმოჩნდება, საქართველოს აშშ-თან რეალური პრობლემები შეექმნება. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს საქართველოს პრეზიდენტის ძალიან რთულ სიტუაციაშია.

**DF Watch: თქვენი აზრით, რა იქნება ირანთან სრულმასშტაბიანი ომის ფასი?**

**ლინკოლნ მიტჩელი:** არ ვიცი. აშშ-ს პრეზიდენტი საკმარისად ჭკვიანია, რათა ხვდებოდეს, რომ ახლა ქვეყანას ყველაზე ნაკლებად კიდევ ერთი ომის წამოწყება სჭირდება და, რომ ავღანეთიდან და ერაყიდან ჯარების გამოყვანას უკვე ათეული წელია ვცდილობთ. ირანზე კიდევ ათ წელიწადს ვერ დავხარჯავთ. ვფიქრობ, აშშ-ს პრეზიდენტმა ეს იცის. მეორეს მხრივ, თუ ირანის ხელისუფლება კვლავაც გააგრძელებს ისრაელის განადგურების შესახებ მუქარებს, რთული წარმოსადგენი იქნება, რომ აშშ და ისრაელი არაფერს მოიმოქმედებენ. ამიტომაც, ახლა ამ დილემის წინაშე ვდგავართ. თუმცა, გამოსავალი არსებობს.



არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც რესპუბლიკური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატებს ეხება. ისინი ირანის დაბომბვას უჭერენ მხარს და აშშ-ს პრეზიდენტზე ზეწოლას ახორციელებენ. საბედნიეროდ, როგორც ჩანს არჩევნების რბოლაში ობამა ლიდერობს, ამიტომაც, მას შეუძლია საერთოდ არ მოუსმინოს ამ ადამიანებს. ვფიქრობ, ომის არიდება შესაძლებელია. ვფიქრობ, წინდახედულ ამერიკის მთავრობას და ჩვენს მოკავშირეებს შესწევთ სანანებელი გადაწყვეტილებების მიღების გარეშე ომის არიდების უნარი. თუმცა, ომის შესაძლებლობა მაინც რჩება და თავის მხრივ ირანელებსაც მოუწევთ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა კონფლიქტის ასაცილებლად. რამდენადაც წამგებიანი არ უნდა იყოს ომი აშშ-თვის, ფინანსური და დროის თვალსაზრისით, ირანისთვისაც ანალოგიურად ცუდი იქნება. უახლესმა ისტორიამ დაადასტურა, რომ აშშ-ს მიერ წარმოებულ ომებს არც მეორე ქვეყნისთვის მოაქვს სიკეთე.

**DF Watch: რაც შეეხება რუსეთის არჩევნებს, ყველა დარწმუნებულია, რომ პუტინი პირველივე რაუნდში გაიმარჯვებს. როგორ ფიქრობთ, უნდა ველოდოთ თუ არა ზოგად კონტექსტში საქართველოსთან მიმართებაში რუსული პოლიტიკის ცვლილებას?**

**ლინკოლნ მიტჩელი:** არჩევნები მომავალ კვირასაა, ამიტომაც, მალე შევიტყობთ გაიმარჯვებს თუ არა ის პირველივე რაუნდში. რუსეთში პუტინის ძალაუფლების ფუნდამენტი მორყეულია. ამ ფუნდამენტს მისი პერსონალური პოპულარობა და მზარდი რუსული ეკონომიკა წარმოადგენდა. რუსულ ელიტაში, ვგულისხმობ განათლებულ საშუალო კლასს, გაჩნდა სინტიმენტები რომელიც პუტინის გაპრემიერების არამართებულობას და ამით ხალხის შეურაცხყოფას ეხება. ეს ხალხი მიიჩნევს, რომ რუსეთის პოლიტიკურ ელიტას ადამიანების მობილიზებისთვის და მხარდაჭერის მისაღებად ახალი გზების მოძიება დასჭირდება. ნაციონალური რიტორიკა ამის ერთ-ერთი გზაა და ასეთ შემთხვევაში საქართველო შესაფერისი სამიზნეა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ ომი იქნება, თუმცა ყოველივე ეს საქართველოსთვის ცუდი იქნება.

**DF Watch: სპეკულირებენ, რომ ირანთან ან სირიასთან ომის შემთხვევაში, ამით, შესაძლოა, რუსეთმა ისარგებლოს და თბილისში ტანკები გაგზავნოს.**

**ლინკოლნ მიტჩელი:** არა მგონია, ასე მოხდეს. ასეთ საკითხებს, ვფიქრობ, ომის დაწყებამდე მოაგვარებენ. ჩვენ არ ვაპირებთ რუსეთის გაოცებას და შემდეგ ამის გაკეთებას. ჩვენ ჯერ მათ დაველაპარაკებით. ამიტომაც, არა მგონია ასეთი სცენარით განვითარდეს მოვლენები.

საქართველოში გარკვეული პოლიტიკური კულტურა არსებობს: ხელისუფლება იყენებს რაიმე რეალურ საფრთხეს - მაგალითად რუსეთს - და მას ადამიანების ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აქცევს, ხშირად არც თუ ისე კონსტრუქციული გზებით. ვაცნობიერებ, რომ საქართველოს მთავრობაში გამოჩნებიან ისეთები, რომლებიც იტყვიან, რომ „ლინკოლნი პრო-რუსია." ეს შეურაცხმყოფელია და ნონსენსია. ასეთ შემთხვევებში ცოტა უფრო რეალისტური მიდგომაა საჭირო. 2009 წელს ჩემი საქართველოში ვიზიტი მახსენდება. მაშინ ყველა ამბობდა, რომ ზაფხულში მორიგი ომი იქნებოდა, მე კი ვეუბნებოდი, რომ ეს არ მოხდებოდა. ამ ადამიანებს ჩემი პოზიცია აბრაზებდათ. რეალისტები უნდა ვიყოთ. არ მგონია, რომ აშშ ირანთან ომს დაიწყებს, ამასობაში კი რუსული ტანკები თბილისში შეიჭრებიან. მეორე საკითხია, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ თბილისში ტანკები სხვა მიზეზთა გამო აღმოჩნდეს? რა თქმა უნდა, შესაძლებელია. თუმცა, მიზეზი აშშ-ს ირანთან ომი ნამდვილად არ იქნება.

**თარგმნა დიანა ჩაჩუამ**

**(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)**

## მოგზაურობა სამშობლოში



# Cveni Zveli, didi saxli

## უფლისციხე

ერთი ისეთი ადგილი მეგულება ჩვენს მამულში, სადაც სოფლის სიავისაგან სასოწარკვეთილ და დამცირებული ქართველობას სულის მოთხვა შეუძლია, სადაც აწმყო წარსულთან მარცხდება და ბედუინივით მოხეტიალე ჩემნაირ მხედარს მყუდრო სენაკებით ელოდება.

საიდან იწყება სამშობლო და მისი სიყვარული? —შვილიდან, შვილიშვილიდან თუ საერთოდ ოჯახიდან, რომელიც, ერთი ინგლისური გამოთქმისა არ იყოს, ჩვენი ციხესიმაგრეა?

არა!

სამშობლო იწყება ერთობილი საქართველოს იმ სახლიდან, რომელშიც გვერდიგვერდ ვცხოვრობთ ჩვენც, ჩვენი შვილებიც და შვილიშვილებიც, ჩვენი მშობლებიც, მამა-პაპანიც და იმათი მამა-პაპანიც. ასეთი ერთი, კონკრეტული სახლი ევფრატისა და ტიგროსის, ღალისის, ჭოროხის სათავეებში, ვანისა და ურმიის ტბების ნაპირობებზეც შეიძლებოდა მეძებნა, მეძებნა წინააზისა და მესხეთის კლდეში ნაკვეთ სოფლებშიც, მეძებნა ციხე-გოჯშიც, მცხეთა-არმაზშიც, რიონის, ივრის და ალაზნის ველებზეც, მაგრამ გულმა ის სახლი აირჩია, რომელშიც ყველაზე უფრო გამიშინაურეს წინაპართა აჩრდილებმა.

ამ სახლს უფლისციხე ჰქვია!

„უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი...“

... ეს იყო დაახლოებით 15 წლის წინათ. „ფარსმან ქველის“ მთავარ გადასაღებ მოედნად უფლისციხე შევარჩიეთ. ხან რომელ ქვაბ-სენაკში და ხან რომელში ვიღებთ ზინა კვერენჩხილაძეს და ზაზა ბაწელაშვილს. აი, ქალბატონი ზინა „თამარის დარბაზიდან“ გამოდის და უფლისციხის ქუჩაზე ეშვება ანტიკური ხანის მოსასხამით. ვდგავარ და თვალს ვერ ვაშორებ, როგორ მოდის!... ნამდვილად წარსულიდან მოაბიჯებს...

აი, ეს არის, აქ არის ჩვენი სამშობლო, ჩემო მორბედო, აქ არის ჩემი და შენი თანმდევი უკვდავი ქართული სული.

იქნებ, ვახუშტისაც ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა ამბობდა: **„შენობა უცხო, კლდისაგან გამოკვეთილი, პალატნი დიდ-დიდნი,ქანდაკებულნი კლდისგანვე... გამოსული იხილვების სპალაშკარნი, შუბოსან-მშვილდოსანი, ცხენოსანი გალაშკრებულნი... ნიშვნენ მისნობით და უწოდებენ უფლისციხეს“.**

ტრადიციული გადმოცემით უფლოსი მცხეთოსის ძე, ესე იგი მცხეთოსის შემდგომი ეთნარქი ყოფილა, მაგრამ შესახედავად უფლისციხე მცხეთაზე ძველ, ჩვენი წარსულის ყველაზე ხანდაზმულ და მეტყველ მოწმესა ჰგავს. ჩვენი ცივილიზაციის სულ მცირე 30 საუკუნოვანი გადმოსახედიდან გვიმზერს იგი. უმოწყალო ჟამთა სვლას ულეწია, მაგრამ, თითქოს, ბევრი ვერაფერი დაუკლია. მთელ სამხრეთ კავკასიაში ამ და უფრო ძველი ეპოქის მსგავსი ძეგლი — ასე ერთიანად შემონახული და ვეება კომპლექსი მეორე არ არსებობს.

არ ვიცი რატომ, მაგრამ უფლისციხეში ამოსვლისას ყოველთვის ბიბლიური თუბალ-კაენი შემახსენებს ხოლმე თავს. ნოეს თანამედროვე ეს ეთნარქი რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი იყო. მის მარჩბივ დას ნაყამა, იგივე ნოემა ერქვა, ხოლო ნახევარძმებს — იაბალი და იუბალი. ერთი მწყემსი იყო, მეორე — პოეტი. „შესაქმეთა წიგნში“ ეს ოჯახი ყველაზე საინტერესოდ იკითხება და მე იგი უძველესი საქართველოს გამოხატულება მგონია. სულ მცირე 6000 წლის წინათ, წარღვნამდე ცხოვრობდა ეს ოჯახი და ნოეს კიდობნის დაუხმარებლად გადარჩა. „დაბადებაში“ მოტანილ თარიღებს თუ ჩავეძიებით, სწორედ ასეთ დასკვნამდე მივალთ. როგორ დავიჯერო, რომ ამას აქამდე არავინ მიაქცია ყურადღება! განა კი მათუსელა, რომელიც კიდობანში არ მჯდარა, წარღვნის მერეც ცოცხალი არ არის? მაგრამ ეს სულ სხვა საუბრის თემაა და აქ სათქმელს ვერ ამოვწურავთ.

ვინ იცის, როდის დაიწყო კვერნაქის მთებში ჩვენმა წინაპარმა ამ ქალაქის შენება, როდის მოვიდა თუ დაუბრუნდა იგი ამ ადგილს? ცხადი მხოლოდ ერთია: პრეისტორიულ ხანაში აქ ზღვა იყო. ამას ადასტურებს ნაქალაქარის არქეოლოგიურ შრეებში ნაპოვნი ზღვის ნიჟარები, უფრო მეტად კი ზვიგენის მსგავსი წყლის ბინადრების კბილები. ეს ბუნებრივია — ერთ დროს შავი ზღვა და კასპიის ზღვა ხომ ერთმანეთისაგან გამოყოფილი არ იყო.

დრო გადიოდა, სამხრეთ კავკასია ნელ-ნელა სახლდებოდა მიწათმოქმედი. ერთი ფუძეენის მქონე ტომებით. იქმნებოდა გორა-სოფლები. მერე ეს სოფლები ადგილს იცვლიდნენ და ხშირად ისევ ძველ ადგილს უბრუნდებოდნენ: დაიწყეს ციკლოპური ყორეების და დარბაზული ტიპის ნახევრად მიწური სახლების შენება. მკაფიოდ გამოხატული ღვთაებების თაყვანისცემა და მსხვერპლშეწირვა, მაგრამ, ფუძეენისა არ იყოს, ძირითადი კოსმოგენური წარმოდგენები ერთნაირი ჰქონდათ. ერთ-ერთი ასეთი ათვისებული ადგილი კასპი — უფლისციხე — ურბნისის ხაზი იყო მტკვრის გაყოლებაზე, რომელიც გაღმა მხარს არსებულ სოფლებს გასცქეროდა. იქნებოდა თანამშრომლობაც და იქნებოდა მტრობაც.

როგორც დავით ხახუტაშვილი დაასკვნის, აქ არსებული ბუნებრივი გამოქვაბულები ძვ. წ.-ის II ათასწლეულის II ნახევარში აუთვისებიათ. ისინი თავიანთი ზეპური მდგომარეობის გამოსახატავადაც გამოუყენებიათ იმ თემის წარმომადგენლებს, რომლებიც კარგა ხნის შემდეგ მეზობლად მდებარე ყათლანიხევის სოფელს შესევიან. „ტროგლოდიტებს“ (კლდის სოფლის მკვიდრებს) ყათლანიხევში უძველესი დედაღვთაების — ნანას ტაძარიც კი გაუნადგურებიათ. ეს ამბავი ძვ.წ.-ის XI-X საუკუნეებში მომხდარა. მაშინ უნდა დარქმეოდა კლდეში ნაკვეთ ქალაქს უფლისციხე, რაც ამ მიდამოების — თითქმის მთელ ქართლზე გაბატონებული თემის მამასახლისის — უფლის გამაგრებულ რეზიდენციას ნიშნავს. უფალი, როგორც ერისთავის ადრინდელი სახელწოდება, კარგა ხანს შემორჩა ქართლში და იგი სხვადასხვა წყაროებში, მათ შორის ლაპიდარულ წარწერებშიც გვხვდება.

უფლისციხე კარგახანს ითვლებოდა ქართლის ცენტრად და როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს, **„იყო ქალაქი ჩინგისამდე“,** — ე.ი. XIII საუკუნემდე. უფრო მეტიც — არაბების ბატონობის ხანაში, როცა თბილისში ამირა იჯდა და ქვეყანას მეფე არ ჰყავდა, ქართლის დედაქალაქის მაგივრობას უფლისციხე სწევდა. ამიტომ, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვინც უფლისციხეს დაიკავებდა, ჰეგემონობასაც ის მოიპოვებდა. IX საუკუნის 30-იან წლებში ბაგრატ აშოტის ძე კურაპალატმა მხარი დაუჭირა ხალიფატის ცენტრალური ხელისუფლების წარმგზავნილ მუჰამედ ხალილის ძეს. ის-ის იყო უფლისციხე თბილისის ამირას საჰაკს ჩამოართვეს, რომ ამ უკანასკნელს გარდაბნელი კახელები მიეშველნენ და ციხე-ქალაქი დაიბრუნეს. X საუკუნის დასაწყისში მას ჯერ აფხაზეთის მეფე კონსტანტინე იკავებს, მაგრამ აბულკასიმო ზღუდეებს მოუშლის. X საუკუნის მიწურულს კახეთსა და ტაოს შორის დაპირისპირება ტაოს პატრონის დიდი დავით კურაპალატის გამარჯვებით სრულდება, რომელიც სწორედ უფლისციხეში გამოაცხადებს ქართლის მეფედ ბაგრატ III-ს — მომავალი გაერთიანებული საქართველოს მეფეს.

უფლისციხეზე იმდენი რამ არის დაწერილი და ისეა გამოკვლეული, რომ ჩვენგან მისი აღწერა ნამდვილად ზედმეტი იქნება. ვიტყვი მხოლოდ ერთს: საერთო ხასიათით უფლისციხე, ვარძიისაგან განსხვავებით, არა კაბადუკიის, არამედ ურარტუს კლდეში ნაკვეთ კომპლექსებთან უფრო პოულობს საერთოს. ეს კიდევ ერთი დიდი თუ მცირე საბუთია იმისა, რომ ქართული კულტურა და, საერთოდ ჩვენი ეთნოსი საერთო უძველესი წინააზიური ფესვებით იკვებება. ნანა (გნებავთ, მზექალა) ჩვენი უმთავრესი ქალღვთაება იყო, მაგრამ უზენაესი ხვთაება, ბნებრივია, ან თუშები იქნებოდა ან ქალდი (იქნებ, ქართლოსი სწორედ ქალდის მადიდებელი ქალდოსია და სხვა არავინ). აღსანიშნავია, რომ ორთავე ეს წინააზიური მთავარი წარმართული ღვთაება ხარზე და ლომზე შემართული მებრძოლით გამოიხატებოდა. როგორც ჩანს, უძველეს ქართველურ ტომებს ამ ღვთაებათა სახეები უტარებიათ შუამდინარეთშიც, მცირე აზიაშიც და კავკასიაშიც.

ათასგზის მადლობა ჩვენს სახელოვან მოქანდაკეს ელგუჯა ამაშუკელს, რომელმაც ღვთის შეწევნით „ქალდის“ ახალი გამოსახულება შექმნა და მას ბინა სწორედ გორში — უფლისციხის მონაცვლე ქალაქში დაუდო. ამ ძეგლს „ბოროტსა სძლია კეთილმან ჰქვია“. ჩვენს წარმოდგენას ღმერთზე ყოველთვის ეს აზრი ჰქონდა საფუძვლად, მაგრამ ამასთანავე სიკეთის მხარეზე იყო ფიზიკური ძალაც, აქტიურობაც, შეურიგებელი ბრძოლაც. ამიტომაც იყო ქალდი ლომზე ამხედრებული კაცი. ამიტომაც არის ცხენზე ამხედრებული გველეშაპთან მებრძოლი წმინდა გიორგი ქრისტიანულ რელიგიაში ყველაზე უფრო დიდი და სათაყვანებელი წმინდანი.

გორიჯვარი, სადაც წმინდა გიორგის ცნობილი საყდარია აღმართული და ლეგენდის თანახმად მთავარმოწამის წმინდა ნაწილებია დავანებული, უფლისციხიდან ძალიან ლამაზად მოჩანს, უფრო ახლოს კი, სამხრეთით, მტკვრის მეორე მხარეს ასევე კლდეში ნაკვეთი კვირაცხოვლის კომპლექსია.

ჩრდილოეთით უფლისციხეს ქალაქში შემომავალი „კლდეკარი“ აქვს. კლდეში გაჭრილი დერეფნის სიგრძე 150 მეტრია, სიმაღლე 8-10 მეტრი. აქ ძველად ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა, იდგნენ მეციხოვნენი და მებაჟენი, მოედინებოდა და ჩერდებოდა ქარავანი, ახლა კი, ახლა ჩემნაირი ბედუინი თუ პოლიგრიმი გაივლის აქ წინაპართა აჩრდილებთან შესახვედრად. ხშირად მელანდებიან ისინი და თავისთან, ჩემს ძველ სახლში მიხმობენ:

**„რკინის კლდეებში ნაკვეთ ქალაქში
აწმყო წარსულთან ურჩ ქედს იხრიდა,
მთვარის პერანგი ეცვათ ქურუმებს
და ხელს მიქნევდნენ უფლისციხიდან“.**

**გელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები.







**ყათლანიხევის სამლოცველო: დიდი დედა (ძვ.წ.-ის XII-VIII ს.ს.); შიდაქალაქი: ჩანგზე დამკვრელი (ძვ.წ.-ის VII ს.) და ქალბატონის ტერაკოტი (ძვ.წ.-ის IV ს.)**







# მსოფლიო პრესის მიხედვით

**პუტინის განცხადებები მოსალოდნელი კატაკლიზმებისა და ოპოზიციის მხრიდან შესაძლო პროვოკაციების შესახებ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო საჭირბოროტო ელფერს იძენს. რა არის ეს — კვამლი უცეცხლოდ თუ სატყუარა? დასავლეთის პრესა და მისი მიმომხილველები აანალიზებენ იმ მიზეზებს, რის გამოც პრემიერ-მინისტრმა შიშისმომგვრელ რიტორიკას მიმართა. ამასთან, ერთ-ერთი კანდიდატი, ოლიგარქი პროხოროვი ცდილობს, რეგიონებში ანტიპუტინური განწყობილებებით სარგებელი ნახოს.**

## putini eleqtorats aSinebs, proxorovi _ acdunebs, xalxi ki mkiTxaobs: kidev ras moifiqreben?

**Financial Times:** თავისი საარჩევნო კამპანიის ბოლო ეტაპზე, სრულიად რუსეთის სახალხო ფრონტის წევრებთან შეხვედრისას, პუტინმა თავი დაიზღვია და ყველა გააფრთხილა: არ არის გამორიცხული, არჩევნების შემდეგ ოპოზიციონერებმა შეგნებულად მოაწყონ პროვოკაცია, — წერს გამოცემა. „კანდიდატმა აღიარა, რომ მოქალაქეებს აქვთ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, მაგრამ იმავდროულად, თავს დაესხა თავის ოპონენტებს: — ისინი შეეცდებიან, სიტუაცია ისე წარმოაჩინონ, თითქოს არჩევნები ჩაწყობილია, ამიტომაც არაფრის წინაშე არ დაიხევენ, რომ ჩემი გამარჯვება არ აღიარონ.

როგორც პუტინი ამბობს, ამ ხალხს შეტაკებები სურს და ცნობილ სახეებს შორის „საკრალურ მსხვერპლსაც" კი ეძებენ: „თვითონ გაადენინებე ბრაგვანს", შემდეგ კი ხელისუფლებას დაადანაშაულებენ". მან მოუწოდა ხალხს, არ წამოეგონ პროვოკაციას, თუკი მათ მართლაც სურთ ცვლილებები უკეთესობისკენ.

საპროტესტო მორაობის ლიდერებმა პუტინის სიტყვები გაფრთხილებად მიიღეს. „როცა მთავრობის მეთაური საჯაროდ აცხადებს, რომ მოსალოდნელ პროვოკაციასა და მსგავს დანაშაულზე ინფორმაცია გააჩნია, ყველაფერი უნდა გააკეთოს მის აღსაკვეთად და არ უნდა აშინებდეს რუსეთის მოსახლეობას მსგავსი სცენარებით", — ეს სიტყვები ბორის ნემცოვს ეკუთვნის.

„თუ პუტინს თავისი განცხადებით ჩვენი კომპრომეტირება სურს, სასაცილო მდგომარეობაში ვარდება, რადგან ასეთი გეგმა არ გვქონია და არც შეიძლება გვქონდეს — ჩვენ პასუხისმგებლობის გრძნობა გაგვაჩნია და მოვლენების ადეკვატურად შეფასებაც არ გვიჭირს", — აცხადებენ ოპოზიციონერები.

არჩევნებამდე დარჩენილი ერთი კვირის განმავლობაში პუტინი კიდევ უფრო მწვავედ აკრიტიკებს ამერიკას, აღნიშნავს გამოცემა. გაზეთ Êîììåðñàíò-ის ცნობით, პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმეში მთავარ ეჭვმიტანილად ბერეზოვსკია დასახელებული.

**The Washington Post:** „იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს „კაგებეს" დამტვერილი სახელმძღვანელოდან ან ცუდი კინოსცენარიდან მოჰყავს ციტატები", — ასე აფასებს გამოცემის მიმომხილველი პუტინის განცხადებებს სახალხო ფრონტის წევრებთან შეხვედრისას. „იგი იძლევა გაფრთხილებას, რომ მისი ოპონენტები მზად არიან მოკლან ვინმე თავისიანი, რომ ეს დანაშაული მას გადააბრალონ" — წერს ჟურნალისტი და განცხადებას „კაგებეს" ყაიდაზე მორგებულს უწოდებს.

„არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პუტინის განცხადება მოსალოდნელი კატაკლიზმების შესახებ სხვა არაფერია, თუ არა ასეთი ულიმღამო რიტორიკით ელექტორატზე ზემოქმედების მცდელობა. „ძნელია გათვალო, ეს უცეცხლო კვამლია თუ ავისმომასწავებელი „საცდელი ბუშტები".

**Frankfurter Allgemeine Seitung:** გამოცემა იმ მიზეზებზე წერს, რამაც პუტინი აიძულა, ასეთი რიტორიკით დააშინოს ხალხი. გერმანული გამოცემის აზრით. 2004 წლის არჩევნების შემდეგ უკვე 8 წელი გავიდა და იგი არც ისე დავდაჯერებულია და იძულებულიც კი არის, თავი დაიცვას. პუტინის განცხადებამ კრემლში ხელახლა დაბრუნების შესახებ, შეასრულა კატალიზატორის როლი — დიდი ქალაქების უკმაყოფილება გადაიზარდა საპროტესტო გამოსვლებში, რაზეც პრემიერი ხან დაბნეულად, ხან კი აგრესიულად რეაგირებს.



„პუტინს მისი პოლიტიკური კურსის კრიტიკის საპირწონედ ყოველთვის მოჰყავს არგუმენტი, რომ აუცილებელია სტაბილურობის შენარჩუნება", — წერს ჟურნალისტი. პუტინი დასავლეთის მტრის ხატს იმისთვის ქმნის, რომ რუსეთის მოსახლეობას შეუქმნას შეგრძნება, თითქოს ქვეყანა ალყაშემორტყმულია. მას ეიმედება „რკინის" ელექტორატი, ძირითადად პროვინციაში მცხოვრები, ვინც დაიჯერებს ლოზუნგს: „ან — მე, ან ამერიკისგან დაფინანსებული ქაოსი". გარდა ამისა, პრემიერი ისეთ დაპირებებს აფრქვევს, რომლებიც ბიუჯეტს ძვირად დაუჯდება და რასაც, მათი შესრულების შემთხვევაში, არჩევნების შემდეგ ფინანსური პრობლემები მოჰყვება.

პოლიტიკური რეფორმები, რომელთა შესახებ განცხადებები ქუჩის ზემოქმედებით გაკეთდა, მხოლოდ რამდენიმე წელიწადში ამოქმედდება და შემუშავებულია ისეთნაირად, რომ „პუტინის გარშემო შექმნილი ძალაუფლებრივი კარტელი არ დაზარალდეს". რეფორმებზე განცხადებები, თავისთავად, იმისთვის სჭირდება, რომ თავი „კონსერვატორ მოდერნიზატორად" წარმოაჩინოს. ზუსტად ასე იყო 8 წლის წინათაც, — წერს მიმომხილველი.

**Le Temps:** ფრანგი ჟურნალისტი ანა ნივა შვედური გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში პუტინის ხელახლა არჩევას ვარაუდობს, თუმცა იქვე დასძენს, რომ „პირველ პერიოდთან შედარებით, მისი პოპულარობა აშკარად დაეცა". მიუხედავად ამისა, ბევრი მაინც მისთვის ხმის მიცემას აპირებს განწყობით: „თუ პუტინი არა, აბა, სხვა ვინ?"

„პუტინისდროინდელმა მზაკვრულმა პოლიტიკურმა სამზარეულომ" მოახერხა ოპოზიციის განადგურება, ახალი პოლიტიკური ფიგურების გამოჩენა კი შეუძლებელი გახადა. ქუჩაში ოპოზიციის გამოჩენა უკვე წარმატებაა", — აღნიშნავს იგი და დასძენს: სამწუხაროდ, ოპოზიცია დაქსაქსულია, ხანდახან უცნაურ ალიანსებად არის გაერთიანებული და რაც ყველაზე სამწუხაროა, ჯერჯერობით, ხვალინდელ დღეზე არ ფიქრობენ.

ქალაქში გამართულ მიტინგებზე — პოლიტიკური, ხოლო პროვინციებში სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები გაისმის. „როცა ყველას რისხვა და გულისწყრომა გაერთიანდება, რევოლუციას უნდა ველოდოთ". რუსეთში ყველა დარწმუნებულია, რომ პუტინის რეჟიმი აბსოლუტურად კორუმპირებულია. „საზოგადოება შეიცვალა, პუტინი ისევ ძველებური პუტინია. მათ შორის განსხვავება სულ უფრო იზრდება. ახალგაზრდობა არ ეპუება კორუფციასა და ადამიანის უფლებების დარღვევას. ამიტომაც პუტინის ახლანდელი საპრეზიდენტო ვადა ნამდვილად ვერ იქნება მშვიდი".

უცხოურ პრესას შეუმჩნეველი არ დარჩენია კიდევ ერთი კანდიდატის — ოლიგარქ მიხაილ პროხოროვის მანევრი — იგი შეეცადა, რუსეთის რეგიონებში მოსახლეობის ანტიპუტინური განწყობა სათავისოდ გამოეყენებინა. კრასნოიარსკში სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ პუტინის სტაბილურობა — ეს არის „სიღარიბისა და ჩამორჩენილობის სტაბილურობა" და რომ „იგი უკვე 12 წელია ხელისუფლებაშია და ეყოფა".

როგორც ჩანს, მისმა გამოსვლამ კრასნოიარსკელი ბევრი სტუდენტი მოხიბლა, მაგრამ მოსკოველი კრიტიკოსები პროხოროვს სერიოზულად არ აღიქვამენ. მათი აზრით, პროხოროვი კრემლის პაიკია, რომელმაც საშუალო ფენების საპროტესტო განწყობილებები უნდა გაანეიტრალოს. იგი არანაირ საფრთხეს არ უქმნის პუტინს, რადგან ამომრჩეველი მას ხმას არ მისცემს", — ვკითხულობთ პრესაში.

რეიტინგის ზრდის კვალობაზე, პროხოროვი უფრო კრიტიკული ხდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკურ არენაზე პროხოროვის გამოჩენა არის ნიშანი იმისა, რომ შიდაპოლიტიკური მდგომარეობა შეიცვლება. თვითონ პროხოროვი ირწმუნება, რომ პოლიტიკაში ხანგრძლივად დასარჩენად მოვიდა.

## erTiani kavkasia: miSa farTod aRebs kars

**მოსკოვში „პროპაგანდისტულ აქციად" შეფასდა მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა რუსეთთან სავიზო რეჟიმის ცალმხრივად გაუქმების შესახებ, ვიღაცა კი აღშფოთდა, რომ „ოკუპანტებს შეღავათები მიართვეს". სააკაშვილი ამ ნაბიჯს უკავშირებს კავკასიის გაერთიანებას და რუსეთელი ბიზნესმენებისთვის ინვესტიციების ჩადების შესაძლებლობას... რაც მთავარია, მას თურმე მშვიდობა სურს რუსეთთან და „ამ მშვიდობას კიდევ ერთი შანსი უნდა მიეცეს".**

ვის გაუგორა კოჭი საქართველოს პრეზიდენტმა?

რუსეთიდან საქართველოში ჩამოსული სტუმრები ისედაც უპრობლემოდ იღებენ სამთვიან ვიზას საზღვარზევე და არც საქართველოში ცხოვრების უფლების მისაღები აუცილებელი პროცედურაა რთული. რუსული ბიზნესისთვის ხომ კარი უკვე კარგა ხანია ღიაა!

ამიტომაც ეს უფრო პოლიტიკური ჟესტია:

1. უცხოელი ლიდერები დაჟინებით ითხოვენ რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის განმუხტვას და მათ საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნა უჩვენა.

2. ამ ნაბიჯს „შიდამოხმარების" ფუნქციაც აკისრია — საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობასაც სურს მოსკოვ-თბილისის ურთიერთობის დათბობა.




3. სავიზო რეჟიმის გაუქმება წაადგება ქვეყნის პირველი პირის იმიჯს უცხოეთში.

უცნაურია, რომ სავიზო რეჟიმი სააკაშვილის პარლამენტში გამოსვლიდან რამდენსამე საათში ფაქტობრივად გაუქმდა; არადა, საქართველოს საგარეო უწყება აცხადებდა, ამ ინიციატივის განხორციელებას ტექნიკური პროცედურები სჭირდებაო. დილითვე, თბილისში ჩამოფრენილ რუსეთის მოქალაქეებს სავიზო მოსაკრებელი არ გადაახდევინეს და ამით გაოცებულები დატოვეს.

საქართველოს ხელისუფლება ორმაგი სტანდარტებით რომ მოქმედებს, ეს არავისთვის არის უცხო: თუ ოპოზიცია რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაზე სიტყვას დაძრავს, მას მაშინვე მიაკერებენ „მეხუთე კოლონის" იარლიყს და რუსული ტანკების თბილისში შემოსვლის სურვილსაც დააბრალებენ... თვითონ კი... ასე რომ: რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს...

ქართველი ექსპერტების უმრავლესობა იწონებს სააკაშვილის ამ გადაწყვეტილებას, თუმცა თითოეულს განსხვავებული არგუმენტები აქვს: მოსკოვის მიმართ აგრესიული რიტორიკა შერბილდა, ან მას ჰუმანიტარული მისია აკისრია, ან კიდევ — პრაგმატულია, რადგან უფრო მეტი ტურისტი ჩამოვა და ეს ქვეყანასაც და მის მოსახლეობასაც წაადგება.

რუსეთი დელიკატურ სიტუაციაში აღმოჩნდა: თუ ამ ნაბიჯს უარყოფითად შეხვდება, გამომჟღავნდება მოსკოვის დამოკიდებულება — მას არ სურს საქართველოსთან ურთიერთობის დალაგება. „პროპაგანდისტული აქციის" ნაცვლად, სჯობს საქართველომ 2008 წლის აგვისტოში დაშვებული შეცდომები აღიაროს და იმის პირობაც დადოს, რომ არ გამოიყენებს ძალას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ, ურთიერთობის მოწესრიგებაზე მხოლოდ ამის შემდეგ ვილაპარაკოთ, — აცხადებს სახელმწიფო სათათბიროს მაღალჩინოსანი კოსაჩევი.

**rosbalt.ru**

## saqarTveloSi myof ruseTis moqalaqeebs xmis micema mezobel qveynebSi SeeZlebaT



რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო უბნები თბილისში არ გაიხსნება და რუსეთის მოქალაქეებს შეეძლებათ, არჩევნებში ხმა რუსეთის ტერიტორიაზე — ვლადიკავკაზში, აგრეთვე ბაქოსა და ერევანში მისცენ", — აცხადებს თბილისში შვეიცარიის საელჩოს რუსული სექციის წარმომადგენელი.

შვეიცარიის საელჩოს არ გააჩნია მონაცემები, ამ დროისთვის რუსეთის რამდენი მოქალაქე იმყოფება საქართველოში.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად, საქართველოს და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, თბილისში, შვეიცარიის საელჩოში გაიხსნა რუსეთის ინტერესების სექცია, ხოლო მოსკოვში — საქართველოს ინტერესების სექცია.

**rosbalt.ru**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა ᲒᲣᲚᲑᲐᲐᲗ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.**

# cnobili adamianebis sikvdilis ucnauri garemoebani

## ნიკ ადამსი

ნიკ ადამსი არის ერთ-ერთი იმ ცნობილ მსახიობთაგანი, რომლებიც გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალნენ და სავარაუდოდ, ძალადობის მსხვერპლნი არიან. 36 წლის ადამსი არ მივიდა დანიშნულ შეხვედრაზე მეგობართან, რომელიც მომდევნო დღეს მასთან სახლში მივიდა. ადამსის მანქანა ავტოსადგომ-



ზე იდგა, სახლის კარი ჩაკეტილი იყო. მას შემდეგ გადაწყვიტა მეგობარმა კარების შემტვრევა. მან საძინებელ ოთახში ადამსი იატაკზე იპოვა, კედელზე მიყრნობილი. თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი. ექსპერტიზამ დამტკიცა, რომ სიკვდილი უეცრად დადგა პრეპარატ პარალდეგიდისა და პრომაზინის მიღების შემდეგ. (ამ პრეპარატებს ქრონიკულ ალკოჰოლიკებს უნიშნავენ).

გარდაცვლილის სახლში ვერ აღმოაჩინეს ვერც შპრიცი და ვერც წამლის ამპულები, რითაც შეიძლებოდა ეს წამლები მიეღო მსახიობს.

## ელ ადამსი

საშინელებათა ფილმის რეჟისორი ელ ადამსი გარდაიცვალა მშენებელი მუშის ხელით, რომელიც მის სახლში რემონტს ატარებდა. მკვლელმა იგი სახლის ერთი ოთახის ქვეშ დამარხა. მუშა კარგა ხანს თავს ელ ადამსად ასაღებდა და სარგებლობდა მისი დოკუმენტებით და საკრედიტო ბარათებით.

## რექსი ალენი

ვესტერნების ვარსკვლავი რექსი ალენი საკუთარი მანქანის ბორბლებქვეშ დაიღუპა. საჭესთან მისი



მოსამსახურე იჯდა, რომელმაც უკუსვლით გამოიყვანა მანქანა ავტოსადგომიდან.

## როსკო არბაკლი

როსკო არბაკლი მიოკარდიული ინფარქტით გარდაიცვალა სადღესასწაულო ვახშმის შემდეგ, რომელიც გამართა თავისი პირველი ხმოვანი ფილმის დამთავრების აღსანიშნავად მას შემდეგ, რაც დამ-



თავრდა სკანდალური სასამართლო პროცესები მის მიერ მსახიობ ვირჯინი რაპის გაუპატიურებისა და გარდაცვალების გარემოებების გამოსძიებლად. სხვათა შორის, ვირჯინი რაპის სიკვდილი სწორედ როსკო არბაკლის ერთ-ერთ საღამოს დაემთხვა, რომელსაც არბაკლი ახალი ფილმის დასრულების გამო მართავდა.

## პედრო არმენდარესი

რეჟისორ პედრო არმენდარესს, ისევე როგორც გადამღები ჯგუფის უმეტეს წევრს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს მას შემდეგ, რაც გადაღე-



ბებს აწარმოებდნენ ბირთვული რეაქტორის მახლობლად. რაც გაიგო, რომ უკურნებელი დაავადება ჰქონდა, რეჟისორმა საავადმყოფოში თავი მოიკლა საკუთარი პისტოლეტით.

## პიტერ არნე

ცნობილი მსახიობი პიტერ არნე სასტიკად ნაცემი ნახეს საკუთა-



რი ბუხრის პირას. მკვლელი გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა. ერთ-ერთი ვერსიით არნე შეიძლებოდა მოეკლა მორიგ ბომჟს, რომელსაც ის საკუთარ სახლში იწვევდა სექსისთვის. სხვა ვერსიით, ის დასაჯეს ადგილობრივმა ნარკოდილერებმა, რადგან ამ საქმეში აქტიურად იყო ჩართული.

## ინგრიდ ბერგმანი

ინგრიდ ბერგმანი კიბოთი გარდაიცვალა თავისი დაბადების 67-ე წლისთავზე. სიკვდილამდე რამდე-



ნიმე დღით ადრე მას საშინელი ტკივილების გასაყუჩებლად ჰეროინის დიდ დოზებს უკეთებდნენ.

## პოლ ბერნი

პროდიუსერი და რეჟისორი პოლ ბერნი საკუთარ სახლში შუბლგახვრეტილი ნახეს ერთი კვირის



შემდეგ, რაც დაქორწინდა ჯინ ჰარლოუზე. თუკი ეს თვითმკვლელობა იყო, ამბობენ, რომ მას არ ჰქონდა ამის არავითარი საბაბი. სხვა ვერსიით, პოლ ბერნი ყოფილმა შეყვარებულმა დოროტი მილეტმა მოკლა, რომელმაც ასევე თავი მოიკლა ბერნის სიკვდილიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ჯინ ჰარლოუმ გადაიხადა დოროტი მილეტის დაკრძალვის ყველა ხარჯი და საფლავის ქვაზე დააწერა – დოროტი მილეტი-ბერნი.

## იულ ბრინერი

იულ ბრინერი გარდაიცვალა კიბოთი მას შემდეგ, რაც სიგარეტის წევას მოუკლო და დღეში 5



ყუთიდან 3 ყუთზე გადავიდა. იგი აქტიური მწეველი იყო 35 წლის განმავლობაში. ბრინერი მონაწილეობას იღებდა მოწევის საწინააღმდეგო რეკლამებში და მოუწოდებდა ყველას, სიგარეტისთვის თავი დაენებებინათ.

## ჯონ ბერიმორი

ჯონ ბერიმორი ღვიძლის ციროზით გარდაიცვალა, დაავადება



ალკოჰოლიზმის შედეგად ჩამოუყალიბდა. მის დაკრძალვას არ დასწრებია არც მეუღლე და არც შვილები. უკანასკნელ გზაზე ალკოჰოლიზმის „ტიტანმა“ უ.კ. ფილდზმა მაიცილა.

## რუდოლფო ვალენტინო

ცნობილი რუდოლფო ვალენტინო აპენდიციტით გარდაიცვალა თავისი პოპულარობის ზენიტში. რამ-



დენიმე მისმა თაყვანისმცემელმა მისი სიკვდილის შემდეგ თავი მოიკლა. პოლ ნეგრი რამდენიმეჯერ ჩავარდა კომაში მის ცხედართან ნიუიორკში დასაფლავების ცერემონიალზე.

## ერვე ვილშეზი

ერვე ვილშეზი ჰოლივუდის ყველაზე ცნობილი ჯუჯა მსახიობი



იყო. მან თავი მოიკლა 50 წლის ასაკში ერთი გასროლით გულში.

## ნატალი ვუდი

ნატალი ვუდს მთელი ცხოვრება წყლის შიში სტანჯავდა. იგი 43 წლის ასაკში კუნძულ სანტა კატალინაზე დაიხრჩო ღამით, სადაც დასასვენებლად იყო თავის ქმართან



რობერტ ვაგნერთან ერთად. ნატალიმ გაურკვეველი მიზეზის გამო სეირნობისას იახტიდან გადახტომა მოინდომა. ნაპირამდე არც ისე ცოტა მანძილი იყო დარჩენილი, მაგრამ ის გარდაიცვალა სავარაუდოდ, ჰიპოთერმიით.

## ჯუდი გარლანდი

ჯუდი გარლანდმა თავი მოიკლა 47 წლის ასაკში. მან საძილე საშუალების გადაჭარბებული დოზა



მიიღო ქმართან მორიგი კამათის შემდეგ. მეუღლემ იგი მეორე დღეს უკვე მკვდარი ნახა. მსახიობი სააბაზანოში იატაკზე ეგდო.

## ჯონ გილბერტი

ჯონ გილბერტი 36 წლის ასაკში გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც საძილე საშუალებების დიდი დოზა მიიღო. მან ძილში ენა გადაყლაპა. ოფიციალურ ვერსიად კი ინფარქტი



დასახელდა. მერლენ დიტრიხმა მის ცხედართან გონება დაკარგა. შემდეგ კი აუქციონზე გამოფინა თეთრეული, რომელშიც სექსი ჰქონდათ ჯილბერტსა და მერლენ დიტრიხს.

## დომინიკ დანი

დომინიკ დანი, რომელიც პოლტერგეისტის დის როლს ასრულებდა ფილმში „პოლტერგეისტი“ საკუთარმა ბოიფრენდმა გაგუდა, რომელიც ერთ-ერთ რესტორანში შეფ-მზარეულად მუშაობდა.

## ალბერტ დეკერი

62 წლის ალბერტ დეკერი, შეიძლება ითქვას, ყველაზე საოცარი სიკვდილით გარდაიცვლა ჰოლივუდის ისტორიაში. იგი 70-მდე ფილმში იყო გადაღებული და ცნობილი იყო, როგორც მაკარტიზმისადმი შეურიგებელი მებრძოლი და ერთგული მეუღლე. დეკერი სააბაზანოში მუხლებზე დაჩოქილი, მკვდარი იპოვეს. ორივე ხელზე ჰქონდა ღრმა ნაიარევები შპრიცით, ყელზე გადაჭერილი რკინის ჯაჭვით, თვა-



ლები ცხვირსახოცით ჰქონდა ახვეული. პირით ცხენის ლაგამი ეჭირა, რომელიც უკან, კეფაზე იყო შეკრული, სხეული თითებთან ერთად თოკებით იყო გადახლართულ-შეკრული. მარცხენა საკვერცხეზე, სადაც ასევე ნემსების კვალი ეტყობოდა, პომადით იყო დაწერილი WHIP, მკერდის გარშემო მზის სხივები ეხატა პომადით. მკერდზე ეწერა MAKE ME SUCK, SLAVE, COCKSUCKER, მუცელზე ქალის სასქესო ორგანო ჰქონდა დახატული. სახლიდან წაღებული იყო 70 000 დოლარი. გამოძიებამ ვერაფერი დაადგინა და ყველაფერი უბედურ შემთხვევას დააბრალეს.

მოამზადა
ანა ვადაჭკორიამ







## თავსატეხი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | | | | | | | | | | | | | | |
| ო | | | | | | ქ | | | | | | | | |
| თ | | | | | | ა | | | | რ | ი | შ | ტ | ა |
| უ | | | | | | ც | | | | | | | | |
| ა | | | | | | ვ | | | | | | | | |
| | | | | | | ი | | | | | | | | |
| მ | | | | | | | | | | | | | | ი |
| ა | | | | | | | | | | | | | | ძ |
| ნ | | | | | | | | | | | | | | ა |
| ტ | | | | | | ხ | ა | ლ | ხ | ი | | | | ლ |
| უ | | | | | | | | | | | | | | ა |
| | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | კ | ლ | ი | შ | ე |
| | | | | | | | | | | | | | | |
| ვ | ი | ნ | ტ | ი | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | |

ჰორიზონტალურად: [illegible]

ვერტიკალურად: [illegible]

## სამიდან ერთი

ვერტიკალურად: 1. [illegible] 2. [illegible] 3. [illegible] 4. [illegible] 5. [illegible] 6. [illegible] 11. [illegible] 12. [illegible] 13. [illegible] 14. [illegible] 15. [illegible] 16. [illegible]

ჰორიზონტალურად: 3. [illegible] 7. [illegible] 8. [illegible] 9. [illegible] 10. [illegible] 12. [illegible] 16. [illegible] 17. [illegible] 18. [illegible] 19. [illegible] 20. [illegible]

## შიფროვანი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 5 | ■ | 17 | ■ | 31 | 1 | 24 | 31 | 9 | 14 | 1 |
| 5 | 26 | 22 | 1 | 8 | 9 | ■ | 1 | ■ | 16 | ■ | 28 |
| ■ | 16 | ■ | 6 | ■ | 10 | 1 | 15 | 1 | 15 | 9 | 1 |
| 16 | 9 | 33 | 7 | 12 | 9 | ■ | 22 | ■ | 30 | ■ | 2 |
| ■ | 3 | ■ | ■ | 1 | ■ | 5 | 9 | 16 | 2 | 14 | 9 |
| 25 | 9 | 31 | 11 | 4 | 3 | 9 | ■ | ■ | 31 | ■ | ■ |
| 9 | ■ | 1 | ■ | 30 | ■ | 32 | ■ | 21 | 9 | 3 | 30 |
| 28 | ■ | 1 | ■ | 33 | 30 | 1 | 3 | 9 | ■ | ■ | 3 |
| 1 | 13 | 4 | 29 | 9 | ■ | ■ | ■ | 31 | ■ | ■ | 10 |
| 23 | ■ | ■ | 3 | ■ | 19 | ■ | 18 | 1 | 16 | 23 | 9 |
| 7 | 32 | 33 | 1 | 32 | 4 | 13 | 9 | ■ | 1 | ■ | ■ |
| 33 | ■ | ■ | 22 | ■ | 33 | ■ | 3 | 1 | 16 | 16 | 1 |
| 1 | 8 | 23 | 9 | 3 | 9 | ■ | 30 | ■ | 4 | ■ | 4 |
| ■ | 33 | ■ | ■ | 4 | ■ | ■ | 31 | ■ | 14 | ■ | 8 |
| 27 | 7 | 16 | 27 | 9 | ■ | 20 | 9 | 31 | 1 | 21 | 9 |

ა-1
ბ-
გ-
დ-
ე-30
ვ-
ზ-
თ-
ი-9
კ-
ლ-3
მ-
ნ-
ო-7
პ
ჟ
რ-
ს-2
ტ-
უ-
ფ-4
ქ
ღ-29
ყ
შ-
ჩ-
ც-
ძ-
წ-
ჭ-
ხ-32
ჯ
ჰ-

## 77 წლის სოფი ლორენმა მსოფლიო გააოცა



სოფი ლორენმა მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ დრო მის სილამაზეს ვეერაფერს აკლებს. მისი გარეგნობა დღესაც არ ტოვებს გულგრილს მილიონობით მამაკაცს.

პაპარაცებმა შეძლეს გადაეღოთ მისთვის ფოტო ვილაზე სარდინიაში. რაც ყველაზე საინტრესოა, იგი ამჩნევდა, რომ მას იღებდნენ, მაგრამ არც კი უცდია კამერებს დამალვოდა. ის მზის აბაზანებს იღებდა თითქმის შიშველი, საზოგადოებისთვის უცნობ მამაკაცთან ერთად, რომელიც, სავარაუდოდ, მისთვის ძალიან ახლობელი ადამიანია.

## ეზოთერიკული წინასწარმეტყველება 2012 წლის აპოკალიფსური მოვლენების შესახებ

12-დან 24 დეკემბრამდე 2012 წ. მოხდება გარდაუვალი შემთხვევა – კაცობრიობა თავისი არსებობის ახალ ფაზაში გადავა. მოხდება პლანეტარული ზემოქმედება ადამიანებზე, კვანტური ევოლუციური ნახტომი და გადასვლა მეხუთე განზომილებაში.

დღეს კაცობრიობა დროსთან შორიახლო, შეიძლება ითქვას, ნეიტრალურ ურთიერთობაშია, არადა, ერთდროულად სამი კოსმიური ციკლი მთავრდება უკვე. ერთი მათგანი 10 000 წელიწადი გაგრძელდა, მეორე – 100 მილიონი წელი, მესამე – სულ რამდენიმე მილიარდი წელიწადი. სამივე ციკლი კი 2012 წლის ბოლოს სრულდება. (ამ შემთხვევის ზუსტი დრო მაიას ტომის კალენდარში 2012 წლის 23 დეკემბრით თარიღდება).



2013 წლიდან ჩვენი გალაქტიკის პლანეტარული სისტემა გადავა შემდგომ, უფრო მაღალ ევოლუციურ ფაზაში, შეიცვლება ჩვენი მზის სისტემა და თვით პლანეტა დედამიწაც.

ამ მოვლენის წინა ნიშნები ბოლო ათასწლეულში უკვე შეინიშნებოდა. მეოცე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში მომხდარი მოვლენები კი პირდაპირ შეიცავდა საბედისწერო ნიშნებს. სტაბილური სისტემების ნგრევა, სტიქიური უბედურებები, ბუნებრივი კატაკლიზმები, ტექნიკური კატასტროფები და სხვა გაუთვალისწინებელი სიტუაციები. ნაწინასწარმეტყველევი ნიშნები უკვე ახდა. თუმცა უბედურება ჯერ არ მომხდარა. მაგრამ ამის ალბათობა კვლავ შეიჩნევა. ყველა წუხს, რომ არასასიამოვნო პროცესი გრძელდება და მსოფლიოში რაღაც ამოუხსნელი ხდება. ამის შესახებ გათვლები და წინასწარმეტყველებები არსებობს, მაგრამ რას ეყრდნობა ჰიპოტეზები მოსალოდნელ უბედურებასთან დაკავშირებით?

წინასწარმეტყველების მოზაიკაში გამოიკვეთა ასეთი მოსაზრება:

დღესდეობით კაცობრიობა 25-წლიან გარდამავალ პერიოდში ცხოვრობს, რომელიც არასტაბილური, ქაოსური ხასიათით აღინიშნება ადამიანის მოქმედების ყველა სფეროში და საერთოდ, მის გარშემო. ეს განსაკუთრებული პერიოდი 1987 წელს დაიწყო, დეკემბრის თვეში და 2012 წელს უნდა დამთავრდეს, რაც პლანეტარული ციკლის ცვალებადობაში, კვანტურ ევოლუციურ ნახტომსა და კაცობრიობის არსებობის უცხო ენერგეტიკულ განზომილებაში გადასვლით გამოიხატება. ეს მოვლენა შეეხება ყველას, გამონაკლისი არ არსებობს, არც მსოფლმხედველობრივ განსხვავებულობაში, არც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონეებში, არც რწმენაში, აღმსარებლობაში, ეროვნებაში, ამ შემთხვევას ვერ გაექცევა ვერავინ, სადაც უნდა ცხოვრობდეს, მართლები, ცოდვილები, მდიდრები, ღარიბები, ცუდები, კარგები, ,,შავები“ და ,,წითლები“, ყველას თვალწინ მოხდება ცვალებადობა.

იმ თანაბარმოქმედი ამაღლების შემდეგ, რაც უნდა მოხდეს, მთავარი რაცაა, ეს არის სიყვარული და სიწმინდე, რომელიც ყველაფრის მიუხედავად შენარჩუნდება, სწორედ ეს მოახდენს ისეთ სასწაულს, რაც აქამდე არასდროს მომხდარა. ეს იქნება ისეთი გრანდიოზული სახის, რომლის წარმოთქმა შეუძლებელია. დედამიწა იქცევა ,,კრისტალიზებულად“.

ამ ინფორმაციის გაცნობისთანავე ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნება, თითქოს ყველაფერი ფანტასტიკის სფეროს შეეხებოდეს და ლამაზი ზღაპარი იყოს, - ნუთუ ყველაფერი ეს შეიძლება სინმდვილეში მოხდეს? სამყაროს მატერიალისტური გაგება ყოველივე ამას მთლიანად გამორიცხავს. მაგრამ ეზოთერიკული გაგებით სხვა სურათი იხატება. ხოლო ყველაფერი რაც მოგახსენეთ, ეზოთერიკული ლიტერატურიდანაა ამოკრეფილი.

## მილოცვა

ლიკა ნიკოლაიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე კარგს, ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს.

ნათია გაზიძაშვილი

## სად ცხოვრობენ ყველაზე ლამაზი მამაკაცები

ასეთ ადგილად სტოკჰოლმი დაასახელეს. შვეციის დედაქალაქი იმ რეიტინგს შორის გამარჯვებულად გამოცხადდა, რომელიც მსოფლიოს 10 ქალაქში ჩატარდა. კარგა ხნის განმავლობაში შვედები საკუთარ თავში ჩაკეტილ, უემოციო ადამიანებად ითვლებოდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასე არ არის, შვედი მამაკაცები საკმაოდ ჯენტლმენები, გემოვნებიანი, ეტიკეტის მოყვარული და ქალთა სქესისადმი ყურადღებიანი ყოფილან.



რეიტინგში მეორე ადგილი ნიუიორკს ერგო. აქაური მამაკაცები გემოვნებით ჩაცმის მოყვარულნი და საკმაოდ ამბიციურები ყოფილან.

ამსტერდამელი მამაკაცები რეიტინგში მესამე ადგილზე გავიდნენ. ამ ქალაქის მცხოვრებლებმა იციან რას ნიშნავს კარგი სტილი. ისინი არ ჩამოუვარდებიან ევროპელებს არც ელიტურ და დახვეწილ საუბარში.

რეიტინგის დანარჩენი ადგილები ასე გადანაწილდა: მეოთხე ადგილი ერგო ლისაბონს, მერე მოდის ბუენოს-აირესი, სიდნეი, მადრიდი, ბერლინი, მილანი დაბოლოს, თელ-ავივი.

უფრო ადრე ჩაატარეს კვლევა ქალებზეც და აღმოჩნდა, რომ ყველაზე მომხიბვლელი ქალები კიევში ცხოვრობენ. მათთან შეიძლება საუბარი ფილოსოფიაზეც და ლიტერატურაზეც, – აღნიშნულია კვლევაში.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – კარგი სიახლე და საუკეთესო პერსპექტივები გელოდებათ. მოთმინება იქონიეთ ოჯახსა და სამსახურში. სირთულეებს ადვილად გაართმევთ თავს.

**კურო** – გაგიჩნდებათ პრობლემები და, მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა, მაინც ვერ დასძლევთ. გულს ნუ გაიტეხთ, თუ გადახედავთ განვლილ დღეებს, კმაყოფილი დარჩებით.

**ტყუპები** – თქვენს პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებები გაჩნდება. აგიხდებათ ულამაზესი სიზმარი. სასიამოვნო ცვლილებები გელით.

**კირჩხიბი** – გამოიჩინეთ სიფრთხილე. ერთ-ერთი ნაცნობი ეცდება, საკმაოდ უსიამოვნო საქმეში ჩაგითრიოთ. ხუთშაბათს პერსპექტიულ წინადადებებს შემოგთავაზებენ.

**ლომი** – სასურველია, ფული დახარჯოთ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ეს კვირა უფრო მეტად დაგარწმუნებთ საკუთარ შესაძლებლობებში. სამშაბათს გელოდებათ სოლიდური ჯილდო. ტელეფონით მიიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას.

**ქალწული** – შემოთავაზებული საქმე კარგად აწონდაწონეთ. ეს კვირა კარგ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს სამედიცინო თვალსაზრისით. დასაშვებია კბილების ყველანაირი მკურნალობა.

**სასწორი** – გირჩევთ, აქტიური ქმედებისაგან თავი შეიკავოთ. პარტნიორებისგან კარგი სიახლეა მოსალოდნელი. კვირის მეორე ნახევარში, სავარაუდოდ, ხუთშაბათს, აგისრულდებათ სურვილი, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობთ.

**მორიელი** – ეს დღე მნიშვნელოვან ცვლილებებს არ გპირდებათ. ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში წარიმართება.

**მშვილდოსანი** – შეიძლება, უხერხულ და გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, თუმცა ადვილად დაძლევთ პრობლემას, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია თქვენთვის.

**თხის რქა** – შანსი გაქვთ, გამონახოთ კარგი, შემოსავლიანი სამსახური. გელით საჩუქარი და მხიარული სუფრა თქვენთვის სასურველ საზოგადოებაში.

**მერწყული** – საფრთხე არ გემუქრებათ, მაგრამ სიფრთხილის გამოჩენა ურიგო არ იქნებოდა. მოულოდნელად შეიძლება უცხო გარემოში მოხვდეთ. გაგიჩნდებათ ახალი საქმიანი ურთიერთობა, აუცილებლად პერსპექტიული.

**თევზები** – სასიყვარულო შეხვედრა და შთამბეჭდავი მოვლენები გელოდებათ. იყავით კრიტიკული საკუთარი თავის მიმართ.

**ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:**

1.კარტოფილი. 2. კოლიზია. 3. კისრული. 4. ანდალუზია. 5. მრიცხველი. 6. ზაქიჭამია. 7. საამქრო. 8. ფოტოსინთეზი. 9. კანადა. 10. თელეთი. 11. ლანცა. 12. ნარკოზი. 13. ტოფობა. 14. მხალი. 15. ლაფათა. 16. ლი. 17. ზალცბურგი. 18. ზედიზედ. 19. არგონი. 20. იფიკლე. 21. ლაზიკა. 22. ფაბერჟე. 23. როკადა. 24. რაჟა. 25.გონი. 26. ფუტურო. 27. ამფსონი. 28. მაგნუმი. 29. კანდელაბრი. 30. კარია. 31. პატრიკი. 32. ცმუკვა. 33. აკორდეონი. 34. რქოვანა. 35. განგრენა. 36. ქრისტინე. 37. ლანა. 38. მონოგრამა. 39. მედრესე. 40. ილინჭა. 41. სოლარიუმი. 42. აპერკოტი. 43. ტომატი. 44. კვალი.45. ლასვეგასი. 46. დაიან. 47. ანალოგია. 48. კატანა. 49. კიკერი. 49ა. ლატი. 50. სარკომა. 51. კარიბი. 52. ლუტეცია. 53. კალკუტა. 54. პრიმა. 55. ირემი. 56. პაპუა. 57. გვიმი. 58. ულისე. 59. ეირი. 60. კრაგი. 61. თასმა. 62. კიო. 63. ეგზემა. 64. ხარო. 65. კოტრი. 66. მიოკარდი. 67. აპოლოგია.